

სემინარი: „ელექტრონული ფულადი გზავნილებისა და საგადახდო სისტემების საკანონმდებლო გარემო“

სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერია“ - თბილისი, ვარდების მოედანი N 1
2010 წლის 29 სექტემბერი

სემინარის მიმდინარეობა

მისალმება, სემინარის მიზნები და შინაარსი
ნიკოლოზ ლოლაძე, სს „მოზაილ ფაინენს ევრაზიას“ თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლოლაძე: მე გახლავართ ნიკოლოზ ლოლაძე, წარმოვადგენ კომპანიას „მოზაილ ფაინენს ევრაზია“, რომელიც არის ამ შეხვედრის ერთ – ერთი თანაორგანიზატორი. მაქვს პატივი გავუძღვე დღევანდელ შეხვედრას. პირველ რიგში, მინდა მადლობა გადაგიხადოთ მომზადებისთვის.

ნიკოლოზ ლოლაძე: „ჩვენ გვსურს მიმოვიხილოთ ელექტრონული გზავნილების და საგადახდო სისტემების მარეგულირებელი გარემო საქართველოში, მოვახდინოთ არსებული ბარიერების თუ პრობლემების იდენტიფიკაცია და ვისაუბროთ კონცენტრირებულად ამ კონკრეტული პრობლემების და ბარიერების აღმოფხვრის შესაძლებლობებზე და გზებზე“

ინტერესი ჩვენი შეხვედრის მიმართ უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობდით, რაც მოწმობს იმას, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების დღევანდელ ეტაპზე განსახილველი თემა ძალზე აქტუალური არის. დღეს ჩვენ გვესწრებიან ხელისუფლების და ეროვნული ბანკის წარმომადგენლები. აგრეთვე გვესწრებიან ბიზნეს-სექტორის, ძირითადად საფინანსო მომსახურების, საკომუნიკაციო მომსახურების განმახორციელებელი კომპანიების წარმომადგენლები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა ინტერესიც განსახილველი თემის მიმართ განპირობებულია

იმ უზარმაზარი პოტენციალით, რომელიც საფინანსო მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდას გააჩნია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის.



ნიკოლოზ ლოლაძე, „მფე“ (ცენტრში)

მე ვახსენებ ფინანსური მომსახურება - მოკლედ მიმოვიხილავ იმ კონტექსტს, რომელშიც ჩვენი დღევანდელი შეხვედრა მიმდინარეობს. ზოგადად, ელექტრონული გზავნილების და საგადახდო სისტემების განვითარება მთელ მსოფლიოში ძალიან სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ეს პროცესები და ტენდენციები განსაკუთრებით საინტერესო არის განვითარებად ქვეყნებში და

ახალი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც ხდება ახალი ინოვაციური, ტექნოლოგიური მიდგომების განვითარება, რომელიც საშუალებას აძლევს ამ ქვეყნებს მნიშვნელოვანი კვანტური ნახტომის - როგორც ინგლისელები ამბობენ „leap frog“ - გაკეთების შესაძლებლობას, და ამ პროცესებში მნიშვნელოვანი და

დიდი არის საერთაშორისო ორგანიზაციების – განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაციების - როლი ასეთი პილოტური პროექტების განხორციელებაში. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია არის სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD), რომლის ფინანსური დახმარებითაც ტარდება დღეს ჩვენი შეხვედრა. კერძოდ, IFAD აფინანსებს 2-წლიან პროექტს, რომლის განმახორციელებელიც არის სამი ორგანიზაციის კონსორციუმი: ფონდი „კრისტალი“- პროექტის მმართველი ორგანიზაცია, „მოზაილ ფაინენს ევრაზია“- ტექნოლოგიური საკონსულტაციო კომპანია და მიკროსაფინანსო კომპანია „კრისტალი“. ამ პროექტის დეტალებს გაგაცნობთ მოგვიანებით ბატონი არჩილ ბაკურაძე, რომელიც წარმოადგენს ფონდ „კრისტალს“ და არის ხსენებული პროექტის კოორდინატორი.



რა არის ჩვენი დღევანდელი სემინარის კონკრეტული მიზნები? ჯერ ერთი, ჩვენ გვსურს მიმოვიხილოთ ელექტრონული გზავნილების და საგადახდო სისტემების მარეგულირებელი გარემო საქართველოში, მოვახდინოთ არსებული ბარიერების თუ პრობლემების იდენტიფიკაცია და ვისაუბროთ კონცენტრირებულად ამ კონკრეტული პრობლემების და ბარიერების აღმოფხვრის

შესაძლებლობებზე და გზებზე. რამოდენიმე ტექნიკური შენიშვნა ჩვენი დღევანდელი შეხვედრისთვის; ჯერ ერთი, მოკლედ მოგახსენებთ ჩვენი დღევანდელი შეხვედრის დღის წესრიგს, რომელიც ყველას გაქვთ წინ. მოკლედ მაინც ჩავივლი მას:

- ბატონი არჩილ ბაკურაძე მოგვახსენებს მიმდინარე პროექტის შესახებ, IFAD-ის მიერ დაფინანსებული პროექტის შესახებ;
- „მოზაილ ფაინანს ევრაზიის“ წარმომადგენლები იურისტები, ქალბატონი თამარ ალავიძე და ლევან ნანობაშვილი მიმოიხილავენ საკანონმდებლო გარემოს;
- შემდეგ გვექნება დისკუსია, რომლის განმავლობაშიც შევეცდებით რამოდენიმე კონკრეტულ კითხვას ერთობლივად გავცეთ პასუხი.

დრო ცოტა გვაქვს, ინტერესი დიდია, ამიტომ მე ყველას ვთხოვ ვიყოთ კონცენტრირებულები, და მივცეთ ყველას შესაძლებლობა დასვას მისთვის საინტერესო კითხვა და მიიღოს კომპეტენტური, ადეკვატური პასუხი. გთხოვთ, ყველამ ვისაუბროთ მიკროფონებში, ვინაიდან მიმდინარეობს ჩაწერა ჩვენი დღევანდელი შეხვედრისა და თუ რაიმე არ არის მიკროფონში ნათქვამი, ასე ვთქვათ ისტორია ამას არ შეინარჩუნებს და არ გვაპატიებს და ასევე ვთხოვ დამსწრეებს, რომ გამოვრთოთ ხოლმე მიკროფონები კითხვების დასმის შემდეგ. უკაცრვად მობილურ ოპერატორებთან, მაგრამ ყველას გთხოვთ, რომ მობილურ ტელეფონებს ხმა ჩაუწიოთ ან გამორთოთ.

დიდი მადლობა. გადავცემ სიტყვას ბატონ არჩილ ბაკურაძეს, ფონდი „კრისტალის“ წარმომადგენელს.

**პროექტი „მობილური გზავნილები საქართველოს სოფლის მოსახლეობისათვის“
არჩილ ბაკურაძე, ფონდი „კრისტალის“ პროექტის კოორდინატორი**

არჩილ ბაკურაძე: მოგესალმებით ყველას! დიდი მადლობა, ნიკა. მართლაც პატივია თქვენთან შეხვედრა. ბევრი თქვენთაგანი მსგავს ღონისძიებას ესწრებოდა ზუსტად ერთი წლის წინ. ეს იყო 2009 წლის 29 სექტემბერი. ბევრს აქ მსხდომთაგან ახსოვს სემინარი, რომელიც ჩავატარეთ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით. დღეს ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი აქ გვესწრება და მივესალმები.

ჩემი პრეზენტაციის მიზანი არის გაამბოთ პროექტის შესახებ, ასევე გაგიზიაროთ ის მიდგომა, რომელიც ჩვენ შევიმუშავეთ პრობლემების შესწავლის შედეგად და გარკვეულწილად მოვამზადო საფუძველი, რათა ჩემმა კოლეგებმა, MFE-ს იურისტებმა, გაგაცნონ საკუთარი მოსაზრებები საკანონმდებლო გარემოსთან დაკავშირებით.

**პროექტის
განმახორციელებლები**




- მობილური გზავნილების კონსორციუმი
 - ფონდი კრისტალი
 - სს მისო კრისტალი
 - მობაილ ფაინენს ევრაზია
- დაფინანსებულია სასოფლო-სამეურნეო განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) ფულადი გზავნილების პროგრამის ფარგლებში.

ამიტომ მე დავიწყებ პირდაპირ პროექტის შესახებ საუბარით და აღვნიშნავ რომ ამ პროექტს ახორციელებს, როგორც უკვე ნიკამ ბრძანა, სამი ორგანიზაცია: ფონდი „კრისტალი“, რომელსაც მე წარმოვადგენ, ამ შემთხვევაში ვარ პროექტის კოორდინატორი, სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“- ჩვენი კოლეგები აქ არიან და „მობაილ ფაინენს ევრაზია“ (MFE), რომელიც გახლავთ მობილური ფინანსების სფეროში მომუშავე კომპანია. ჩვენ სამმა შევქმებით მობილური გზავნილების კონსორციუმი და ჩვენი ინიციატივა დააფინანსა „სასოფლო სამეურნეო განვითარების საერთაშორისო ფონდმა“ (IFAD), კერძოდ კი ფულადი გზავნილების პროგრამამ.


არჩილ ბაკურაძე: „ბევრი აქ მსხდომთაგან ესწრებოდა ჩვენს სემინარს, რომელიც ჩავატარეთ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ზუსტად ერთი წლის წინ 2009 წლის 29 სექტემბერს. დღეს მისი წარმომადგენელიც აქ გვესწრება და მივესალმებით“.

მინდა მცირედენი სტატისტიკა გაგიზიაროთ და გარკვეულწილად შევქმნა ფონი დისკუსიისთვის. როგორც იცით, ფულადი გზავნილები ჩვენი ქვეყნისათვის ვალუტის ნაკადის საკმაოდ მნიშვნელოვანი წყაროს წარმოადგენს და ის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 9%-ს უტოლდება. თუ გაიხსენებთ საუკეთესო საინვესტიციო წლებს, მაგალითად 2007, ეს ნაკადი საკმაოდ მნიშვნელოვანია და

კონკურენციას უწევს პირდაპირ გარე ინვესტიციებსაც კი, რომელიც ახლა ძალიან შემცირებულია. აღსანიშნავია ის, რომ გარე ინვესტიციები საკმაოდ შემცირდა და უფრო დრამატულად შემცირდა ვიდრე ფულადი გზავნილები. შესაბამისად, ფულადი გზავნილები არის სტაბილური წყარო ეკონომიკის მიმდინარე ბალანსის დაფინანსებისა და ზოგადად მნიშვნელოვანი წყარო იმ ოჯახებისთვის, რომელიც მნიშვნელოვანწილად ამ ნაკადზე არის დამოკიდებული. სხვადასხვა ორგანიზაციის მონაცემებით, იმ ხალხის რაოდენობა, რომელიც სარგებლობს ფულადი გზავნილებით არის 9%-დან 15%-მდე, ანუ რთულია ზუსტი რაოდენობის დადგენა, მაგრამ მოსახლეობის 9 - 15% საკმაოდ დიდი ნაწილს წარმოადგენს.

სტატისტიკა

- ფულადი გზავნილები - მ.შ.პ-ის 9%
- მოსახლეობის 9-დან 15% არის გზავნილის მიმღები
- სულ 1 მილიონი ქართველი იღებს სარგებელს
- საშუალოდ \$165; 8-ჯერ წელიწადში
- რუსეთი (63%), უკრაინა (7%), აშშ (6%), საბერძნეთი (5%), იტალია (4%)
- გზავნილების მიმღებთა 47% არის სოფლის მოსახლეობა
- სოფლის მეურნეობის წილი მ.შ.პ-ში 19.3%-დან (2003) 9.7% (2007)
- ს.მ. ასაქმებს შრომისუნარიანი მოსახლეობის 52%-ს



ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მონაცემებით (ოდნავ ძველი - 2008 წლის ანგარიში) 1 მილიონი ქართველი იღებს სარგებელს ანუ ხეირობს ფულადი გზავნილით. ამაში შედის როგორც უშუალოდ მიმღები, ასევე ოჯახის წევრები - დამოკიდებული პირები, ანუ საკმაოდ დიდი რაოდენობა ჩვენი თანამოქალაქეებისა შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ იყენებს მათი ახლობლების მიერ უცხოეთიდან გამოგზავნილ ფულს. მოგვიანებით მე წარმოგიდგენ მცირეოდენ სტატისტიკას ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით და გიჩვენებთ რომელი ქვეყნებიდან მოედინება ფულადი გზავნილები. სლაიდიდან ჩანს, რომ რუსეთი, უკრაინა, შეერთებული შტატები, საბერძნეთი, იტალია არის ძირითადი გამომგზავნი ქვეყნები ამ თვალსაზრისით. ახლა მინდა დავამყარო ამ თემის კავშირი სოფლის მეურნეობასთან იმიტომ, რომ ჩვენი პროექტის ძირითადი მიზნობრივი ჯგუფი არის სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანები.

არჩილ ბაკურაძე: „აღმოჩნდა, რომ ამ გზავნილების 47% მიემართება სოფლად, ანუ საკმაოდ დიდი ნაწილი მიემართება სოფლად და თუ წარმოიდგენთ სოფლის მოსახლეობის შემოსავლებს, რომელიც არის ძალიან მცირე ... ეს ნაკადი ძალზე მნიშვნელოვანია“.

აღმოჩნდა, რომ ამ გზავნილების 47% მიემართება სოფლად, ანუ საკმაოდ დიდი ნაწილი მიემართება სოფლად და თუ წარმოიდგენთ სოფლის მოსახლეობის შემოსავლებს, რომელიც არის ძალიან მცირე და ქალაქის შემოსავლებთან შედარებით თითქმის არაფერს არ წარმოადგენს, ეს ნაკადი ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ მინდა, რომ ხაზი გავუსვა იმას, რომ გზავნილები მნიშვნელოვანია საქართველოს


ეკონომიკისთვის, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია და საკმაოდ დიდი აქტუალობა აქვს სოფლის მოსახლეობისათვის. ამავე დროს ვიცით, რომ სოფლის მეურნეობა მაინც და მაინც კარგად არ ვითრდება. ბოლო წლებში, 2003-დან 2007 წლამდე, მოხდა მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილის ვარდნა 18%-დან 9%-მდე. თუ არ ვცდები, ბოლო წლებში არის კვლავ დადებითი დინამიკა. ჩვენ

ვეფრობთ, რომ სოფლის მეურნეობა უმნიშვნელოვანესი დარგია და იმის გამო, რომ ის ასაქმებს მოსახლეობის ნახევარზე მეტს- 52%-ს, მისი განვითარება მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკურად ასევე სოციალურად. ამიტომ ჩვენი პროექტი სწორედ მოსახლეობის ინტერესებზეა გათვლილი. უნდა ავლნიშნოთ, რომ დასაქმების 52% არ წარმოადგენს ნებაყოფლობითი დასაქმებას. ამ ხალხს არ აურჩევიათ ემუშავათ ამ პირობებში. უბრალოდ, ეს არის მათი სოციალური გარემოს შედეგი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს დარგი, ჩემი ღრმა რწმენით, მნიშვნელოვანი და პერსპექტიულია.

მინდა შევეხო მოკლედ იმ გამოწვევებს, რომლებსაც ჩვენ ვაფიქსირებთ ამ პროექტზე მუშაობისას.

გამოწვევები

- ფინანსური განათლების დაბალი დონე
- დაგეგმარების, რისკების მართვის, დაზოგვისა და ინვესტირების პრობლემა
- გეოგრაფიული დაშორება ფინანსური ინსტიტუტებისგან - შედეგად:
- ტრანზაქციების მაღალი თვითღირებულება
- კომპლექსურ ფინანსურ პროდუქტებზე დაბალი წვდომა



პირველ რიგში, აშკარად შეინიშნება, რომ საზოგადოების პრობლემა მდგომარეობს **ფინანსური განათლების დაბალ დონეში**. იმის გამო, რომ საკმაოდ დიდი ხანი ჩვენმა საზოგადოებამ - უფრო ჩვენი მშობლების თაობამ, იცხოვრა საბჭოთა რეჟიმში, სადაც აუცილებელი არ იყო ფინანსების ცოდნა, რისკების მართვის ვალდებულება არ გქონდა, ყველაფერს აკეთებდა სახელმწიფო, ამის გამო ჩვენ დიდი პრობლემა გვაქვს. საზოგადოებამ არ იცის როგორ მართოს თავისი ფინანსები, გადაწყვეტილებები და მდგომარეობა. და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა.



არჩილ ბაკურაძე, ფონდი „კრისტალი“

აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ განსაკუთრებით პრობლემას წარმოადგენს ბიუჯეტირება, დაგეგმარება, რისკების დაგეგვმა. ძალიან მწირია ცოდნა დაზღვევის და სხვა ფინანსური პროდუქტების შესახებ, როგორცაა დანაზოგები, დეპოზიტები. ამიტომ ეს ყველაფერი ემატება იმ პრობლემურ ფონს, რომელიც ჩვენს წინაშეა.

გარდა ამისა, არსებობს გეოგრაფიული დაშორების ფაქტორი. სოფლად მცხოვრები ადამიანებისათვის რთულია ისევე კარგად იუერთიერთონ ბანკებთან და სხვა საფინანსო დაწესებულებებთან როგორც ეს ქალაქის მოსახლეობას ძალუძს. ამიტომ ფაქტია, რომ გეოგრაფიული დაშორება პრობლემას წარმოადგენს. ამის მიზეზია ის, რომ ეკონომიკურად მომგებიანი არაა ყველა ქალაქსა თუ სოფელში გაიხსნას ბანკის

არჩილ ბაკურაძე: „ქვეყნის გეოგრაფიის გამო ხალხის ნაწილს უჭირს ბანკთან, საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობა. აქ არსებითია როგორც გეოგრაფიული ფაქტორი, ასევე გარკვეულწილად ფსიქო-სოციალური ფაქტორები“

ფილიალი, ეს არ არის რაციონალური. შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიის გამო ხალხის ნაწილს უჭირს ბანკთან, საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობა. აქ არსებითია როგორც გეოგრაფიული ფაქტორი, ასევე გარკვეულწილად ფსიქო-სოციალური ფაქტორები იმიტომ, რომ ისტორია და კულტურა ჩვენი საზოგადოებისა იმგვარად ჩამოყალიბდა, რომ დღეს ბევრს არა აქვს ანგარიში და არ იყენებს სრულყოფილად

ფინანსურ პროდუქტებს, ხოლო ფინანსური მომსახურების როლი ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ვერ მოგვარებს სრულად სიღარიბის პრობლემას, მაგრამ ის გარკვეულ დონეზე უზრუნველყოფს საზოგადოების სტაბილურობას, რაც დიდ წილად სიღარიბის პრობლემის მოგვარებას ნიშნავს.

გეოგრაფიული რეალიების გამო მაღალია ტრანზაქციის ღირებულება, მე ვერ გავაკეთებ კომენტარს საბანკო სექტორში ოპერაციების თვითღირებულებაზე და რამდენად ძვირია ის სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანს რომელიც ცხოვრობს სოფელში, ძვირი უჯდება თითოეული

ტრანზაქცია იმიტომ, რომ თუ საერთო ხარჯს გავითვალისწინებთ, მან უნდა იმოგზაუროს, დრო დახარჯოს, ტრანსპორტში ფული დახარჯოს. როგორც წესი უდიდესი ნაწილი ტრანზაქციებისა ხდება ბანკიდან განაღდებას სახით და ნაღდი ფული არის ხარჯიანი.


სტერეოტიპია, თითქოს ნაღდი ფული არის ყველაზე ისეთი ნეიტრალური, უფასო საშუალება. არა ნაღდი ფული არის ძვირი. ის

ძვირი უჯდება საზოგადოებასაც და

ქვეყანასაც და ამისტომ მაინც და მაინც კარგი მიმოქცევის საშუალება და ანგარიშსწორების საშუალება არ არის და ეს ყველაფერი განაპირობებს კომპლექსურ ფინანსურ პროდუქტებზე წვდომის პრობლემას ანუ ადამიანს უჭირს მიიღოს სესხი, გააკეთოს დანაზოგი, შეიძნოს სადაზღვევო პოლისი, და განახორციელოს ინვესტიცია. ესეც მნიშვნელოვანი პროდუქტი არის.

არჩილ ბაკურაძე: „ფაქტია, რომ ადამიანს რომელიც ცხოვრობს სოფელში, ძვირი უჯდება თითოეული ტრანზაქცია .. თუ გავითვალისწინებთ საერთო ხარჯს - მან უნდა იმოგზაუროს, რისთვისაც უნდა დახარჯოს დრო და ტრანსპორტის ფული“.

ინტეგრირებული მიდგომა



ჩვენ შევიმუშავეთ ე.წ. ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს სამ ელემენტს: ერთის მხრივ, ეს არის ფინანსური განათლება; მეორე, ეს არის გადახდების ინფრასტრუქტურისადმი წვდომა, და მესამე არის კომპლექსური ფინანსური პროდუქტების ხელმისაწვდომობა. თუ ეს სამი ერთად წარმატებით იმუშავებს, მაშინ გვაქვს შანსი გავაუმჯობესოთ იმ ოჯახების მდგომარეობა, რომლებიც დღესდღეობით არ არიან ინტეგრირებულნი ფინანსურ სისტემაში. თუ სამიდან ერთ-ერთი ამოვარდება, არც მაშინ გვექნება მაინც და მაინც სახარბიელო სურათი.

ფულადი გზავნილები

- 2008 წელს გზავნილების 66% შემოვიდა ფულადი გზავნილების სისტემებით
- საკომისიო არის 2-4%, მაგრამ არ შედის ვალუტის გადაცვლის და ტრანსპორტირების/დროის ხარჯი
- 2%-ით ხარჯის შემცირების შესაძლებლობა (20 მილიონი აშშ დოლარი)



ჩვენი ღრმა რწმენით, აუცილებელია სამივე მიმართულებით თანაბრად მუშაობა. რასაც სწორედ ითვალისწინებს ჩვენი პროექტი.

სწრაფად გავივლი ფულადი გზავნილების თემას. როგორც იცით, ფულადი გზავნილების ყველაზე დიდი ნაწილი შემოდის ფულადი გზავნილის განმახორციელებელი კომპანიების მეშვეობით, რომლებიც ძალიან კარგად მუშაობენ და საკმაოდ აწრაფად ვითარდებიან; საკომისიო არის 2-დან 4%-მდე, დამოკიდებულია თანხის ოდენობაზე, ქვეყანაზე, გზავნილების დერეფნებზე და სხვა, მაგრამ ამ ფასში არ შედის სხვა ხარჯები, რომელთა გაწევა უწევს მომხმარებელს. ეს არის ვალუტის გადაცვლასთან დაკავშირებული ხარჯები, კიდევ ერთხელ - ტრანსპორტირების და დროის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ნათესავის მიერ გამოგზავნილი ფულის მიღებასთან. ჩვენ ჩავატარეთ მცირე კვლევა, საიდანაც გამოჩნდა, რომ საშუალოდ გზავნილის ხარჯი დაახლოებით 2%-ით ძვირდება თუ გავითვალისწინებთ ტრანსპორტირებას. შესაბამისად, არა 2 და 4%, არამედ, შეიძლება 6% და მეტი იყოს გზავნილის ღირებულება, ხოლო იმის გამო, რომ ტრანზაქციები პატარა ზომისაა - საშუალოდ 165 დოლარია EBRD-ის მონაცემებით თითოეული გზავნილი და 8-ჯერ წელიწადში, დამატებითი ხარჯები უფრო დრამატულად ამცირებს ხსენებულ მომსახურებას.

არჩილ ბაკურაძე: „ხარჯი რომელიც შესაძლებელია შემცირდეს ეკონომიკაში არის დაახლოებით 20 მილიონი დოლარი ჩვენი დააანგარიშებით“.

იმის გამო, რომ ეს პატარა თანხებია, თითოეული მისვლა ბანკში, ზოგჯერ რიგში დგომა თანხის ასაღებად, ეს გზავნილების 2%-ს უდრის, რაც 20 მილიონ დოლარს აღწევს. ანუ ხარჯი რომელიც შესაძლებელია შემცირდეს ეკონომიკაში არის დაახლოებით 20 მილიონი დოლარი ჩვენი დააანგარიშებით.

გზავნილები ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	2008	2009	2010 (8)
აშშ	\$63,866	\$68,100	\$45,931
ესპანეთი	\$20,369	\$21,283	\$14,275
თურქეთი	\$20,885	\$25,855	\$21,276
იტალია	\$36,621	\$46,311	\$32,252
რუსეთი	\$633,919	\$450,258	\$331,923
საბერძნეთი	\$47,198	\$60,399	\$38,719
სომხეთი	\$21,940	\$10,184	\$4,901
უკრაინა	\$70,474	\$65,110	\$38,186
სხვა ქვეყნები	\$86,851	\$94,099	\$64,577
სულ	\$1,002,122	\$841,598	\$592,039



არ შეგაწყენთ თავს ციფრებით. ეს არის ძირითადი ქვეყნები, საიდანაც იგზავნება ფული. საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს რუსეთს. პირველი არის 2008 წელი - ეს ყვეთელი სვეტი, მეორე არის 2009 წელი, ხოლო წითელი არის 2010 წლის 8 თვის მდგომარეობა. ჩვენი დაკვირვებით, კლება შარშანდელთან შედარებით იყო 16%. ცუდია, რა თქმა უნდა, მაგრამ ბევრად უკეთესია ვიდრე ვთქვამთ უცხოური გარე ინვესტიციების კუთხით სურათი. ხოლო წელს თუ დინამიკა გაგარძელდა როგორც წინა 8 თვეში იყო, უკვე გვქვენება 6%-იანი ზრდა ანუ გზავნილების ნაკადი ნელნელა უბრუნდება ძველ ნიშნულს. სხვათაშორის, თქვენ გაქვთ ეს მასალა სემინარის საქალაქდებში, ასე, რომ შეგიძლიათ მერეც გადახედოთ ამ ციფრებს.

პროექტის მიზნები

- ხელი შეუწყოს ხელსაყრელი საკანონმდებლო გარემოს შექმნას
- აამაღლოს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ფინანსური განათლების დონე
- შექმნას მობილურ ქსელზე დაფუძნებული ფულადი გზავნილებისა და გადახდების სისტემა
- უზრუნველყოს მომხმარებლები კომპლექსური ფინანსური პროდუქტებით, როგორცაა მიკრო-სესხი, მიკრო-დაზღვევა და დანაზოგები



ყოველივე ამაზე დაყრდნობით, ჩვენი პროექტი ითვალისწინებს შემდეგს - გავივლი თითოეულს; ჩვენი პროექტის მიზანია:

- პირველ რიგში ხელი შეუწყობთ საკანონმდებლო გარემოს შექმნას და მის განვითარებას, ანუ ნებისმიერი პროგრესი, რომელიც ჩვენ გვინდა გამოვიწვიოთ დაკავშირებულია საკანონმდებლო გარემოსთან, რომლის შესახებაც ჩემი კოლეგები მოგახსენებენ. და დღევანდელი სემინარი არის სწორედ კარგი მაგალითი. ძალიან კარგია, რომ ჩვენ საქართველოში გვაქვს ამის საშუალება, რომ ასე ვისხდეთ ერთ ოთახში კოლეგებთან ვინც რეალურად ქმნის პოლიტიკის ამ ნაწილს და ამაზე

ვმსჯელობდეთ. ასე, რომ დღეს სწორედ აი ამ თემას ვემსახურებით და ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია.

- მეორე, ჩვენ გვინდა, რომ ავამაღლოთ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ფინანსური განათლების დონე და ამას სხვადასხვა მეთოდებით გავაკეთებთ მომავალი 2 წლის განმავლობაში.
- მესამე, შევქმნათ მობილურ პლატფორმაზე დაფუძნებული ფულადი გზავნილების და გადახდების სისტემა, მობილური ქსელის მეშვეობით. ამით ჩვენ უფრო მეტ ადამიანს მოვიცავთ ფინანსურ სისტემაში, ვიდრე ამის გაკეთების საშუალება გვაქვს დღეს. შესაბამისად, ბევრად უფრო მეტი წვდომა ექნება საზოგადოების დიდ ნაწილს. ასევე ჩვენ ვგეგმავთ უზრუნველყოთ მომხარებლები კომპლექსური ფინანსური პროდუქტებით, როგორცაა მიკროსესხები, მიკროდაზღვევა და დანაზოგები.

მობილური ფინანსები

მობილური ფინანსური მომსახურება გულისხმობს ფულის ექვივალენტური ელექტრონული ღირებულების მეშვეობით ფულადი გზავნილების, საქონლისა და მომსახურებისათვის გადახდების წარმოებას, სადაც მობილური ტელეფონი წარმოადგენს ფინანსური ოპერაციის განხორციელების პრინციპულ ინსტრუმენტს, ხოლო მობილური (უსადენო) ქსელი - ხმოვანი და/ან არახმოვანი კავშირის მეშვეობით ინფორმაციის გაცვლის ძირითად პლატფორმას.



ამ სლაიდში ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციის „მობაილ ფაინენს ევრაზიის“ მიერ გაკეთებული განმარტებაა, თუ რა არის მობილური ფინანსები. გარწმუნებთ, რომ დღეს ამაზე ბევრი გვექნება საუბარი და მე ამაზე არ გავჩერდები.

დაბოლოს, როგორც ამ პროექტის კოორდინატორი, გეტყვით რა არის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო გარემოს კუთხით. მე ვფიქრობ, რომ ამ პროექტის წარმატებას და ნებისმიერი ახალი მოდელის შექმნას სჭირდება ხელსაყრელი საკანონმდებლო გარემო, რაც, თავის მხრივ, მოიზიდავს უფრო საინტერესო იდეებს და ინიციატივებს და ამ იდეებს მერე მოყვება ინვესტიციებიც. მე ვხედავ და ვფიქრობ, რომ საქართველოში ჩვენ გავქვს შანსი, რომ მართლა რეგიონის ცენტრი და „ჰაბი“ გავხდეთ იმ კუთხით, რომ აქ შეიქმნას ახალი მოდელები და განვითარდეს ინოვაციური ტექნოლოგიები და ალბათ ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი აქ იქნება ჩვენი ბიზნეს გარემო და მარეგულირებელი გარემო.

საკანონმდებლო გარემო

- რეგისტრაციისა და ოპერირების წესები
- უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის რეგულირება
- ღია/ლიბერალური, მაგრამ ნაკლებ პროგნოზირებადი
- ინოვაციის სისწრაფე და ახალი ტექნოლოგიების აღმოცენება



ჩვენი ინდუსტრიისათვის მნიშვნელოვანია, რომ ამაზე ჩემი კოლეგები უფრო დეტალურად ისაუბრებენ, არსებობდეს რეგისტრაციის და ოპერირების ხელსაყრელი წესები და ასევე ჩვენს წინაშე წაყენებული მოთხოვნები, რომელიც შეეხება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას, იყოს გაკეთებადი.

გავასწრებ მოვლენებს და ვიტყვი, რომ ყველაფერი პრინციპში ნორმალურად არის, მაგრამ გარკვეული ხარვეზები და შეკითხვები მაინც არსებობს და ამის შესახებ ლევანი და თამარი ისაუბრებენ.

წინა სემინარზეც, ერთი წლის წინ რომ გვქონდა, მე გავაკეთე პრეზენტაცია და ვახსენე, რომ ჩვენი მარეგულირებელი გარემო არის ღია, ლიბერალური. მადლობა მათ ვინც ამას აკეთებს, და ეს ხალხი აქ არიან დღეს წამოდგენილი. მაგრამ ეს გარემო ნაკლებად პროგნოზირებადია ანუ ნაკლებად ცნობილია რა მიმართულებით განვითარდება რეგულირება, რა ტიპის კანონები შეიქმნება მომავალში. ამიტომ, რა თქმა უნდა, ამ სიცარიელის შევსება იქნება ძალზე სასარგებლო და ეს ყოველივე მოგვცემს საშუალებას ხელი შეეწყოს ინოვაციას, შემოვიყვანოთ ბაზარზე ახალი მოთამაშეები, რის შედეგად შესაძლებელია განვითარდეს ეს სექტორი და საზოგადოებამ მიიღოს მეტი სარგებელი.

დიდი მადლობა, ეს იყო ჩემი მოკლე პრეზენტაცია!

ნიკოლოზ ლოლაძე: სიტყვას გადავცემ „მობაილ ფაინენს ევრაზიის“ იურისტებს. ლევან, თქვენ დაიწყებთ თუ თამარი? ქალბატონ თამარ ალავიძეს და შემდეგ ბატონ ლევან ნანობაშვილს, რომლებიც შემოგვთავაზებენ საკანონმდებლო გარემოს მიმოხილვას.

**„ელექტრონული ფულადი გზავნილებისა და საგადახდო სისტემების საკანონმდებლო გარემო“ – სამართლებრივი მიმოხილვის შედეგები
ლევან ნანობაშვილი და თამარ ალავეიძე სს „მფე“-ს იურიდიული ექსპერტები**

თამარ ალავეიძე: გამარჯობა, მოგესალმებით! იმისათვის, რომ თქვენთვის მეტ-ნაკლებად ნათელი სურათი მოგვეწოდებინა ამ კუთხით რა ხდება საკანონმდებლო სივრცეში, რა ტენდენციებია, რა ხარვეზებია, რა შეიძლება რეკომენდაციის სახით ვთქვათ ჩვენი მხრიდან, რა შეიძლება იქნას შემოთავაზებული, გარკვეული სამართლებრივი კვლევა ჩავატარეთ და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, შეგვიძლია შემოგთავაზოთ მოკლე პრეზენტაციის სახით.

პირველ რიგში, ბევრი თქვენთაგანისთვის, ეროვნული ბანკის წარმომადგენლებისთვის, სიახლეს არ წამოადგენს იმ დეფინიციების უმეტესობა, რაც ჩვენ აქ გვაქვს მოცემული.

მობილური ფინანსების სისტემასთან დაკავშირებული სამართლებრივი ტერმინები

- ფულადი გზავნილი - ცალკეულ ფიზიკურ პირებს შორის ბანკების საშუალებით ფულადი სახსრების, მათ შორის უცხოური ვალუტის გადაგზავნის მეთოდი, რომელიც არ მოიცავს გარიგების (შესრულებული სამუშაოს, გაწეული მომსახურების, მიწოდებული საქონლის საფასურის) თანხების ანაზღაურებას;
- ფულადი გზავნილის განმახორციელებელი პირი - ფიზიკური ან იურიდიული პირი (გარდა კომერციული ბანკისა, საკრედიტო კავშირისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა), რომელიც სხვადასხვა სისტემის მეშვეობით, ახორციელებს ფულადი გზავნილებით მომსახურებას;



უპირველეს ყოვლისა, თავად ფულადი გზავნილის დეფინიცია, რომელიც განმარტებული არის როგორც ცალკეულ პირებს შორის ბანკების საშუალებით ფულადი სახსრების მოცულობის უცხოური ვალუტის გადაგზავნის მეთოდი, რომელიც არ მოიცავს გარიგების, შესრულებული სამუშაოს, გაწეული მომსახურების და მიწოდებული საქონლის, საფასურის თანხების ანაზღაურებას.



ლევან ნანობაშვილი, თამარ ალავეიძე, „მფე“

თავად ფულადი გზავნილის განმახორციელებელ პირს რაც შეეხება, აღნიშნულ პირად რეგისტრაციისა და საქამიანობის წესი განსაზღვრული არის ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით, და ფინანსური ზედამხედველობის სამმართველოს აქტებით, რომელიც უკვე აღარ არსებობს, სამწუხაროდ. ამდენად, ეს არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, გარდა კომერციული ბანკისა,


საკრედიტო კავშირისა და მიკროსაკრედიტო ორგანიზაციისა, რომელიც სხვადასხვა სისტემების მეშვეობით ახორციელებს ფულადი გზავნილებით მომსახურებას.

კერძო საგადახდო სისტემის დეფინიცია, რომელიც ჩვენ ამოვიკითხეთ უნადლო ანგარიშსწორების წესში, რომლის თანახმადაც კერძო საგადასახადო სისტემები ეს არის კომერციული ბანკები, შიდა საგადახდო სისტემები, საბანკო ანგარიშსწორება, საკრედიტო საქმიანობაზე, სპეციალიზებული საბანკო და არასაბანკო დაწესებულებების, ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის, ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის, პლასტიკური ბარათებით სავალუტო გადახდების და სხვა კომპანიის საგადახდო სისტემები.

აღნიშნული დეფინიცია მიგვაჩნია, რომ აღნიშნავს, ასევე „მობილ ფინანსის ევრაზიის“ მიერ განსახორციელებელი გადახდების სისტემას.

მობილური ფინანსების სისტემასთან დაკავშირებული სამართლებრივი ტერმინები (3)

- უნადლო ანგარიშსწორება – ანგარიშსწორება საგადახდო საბუთებით ნაღდი ფულის გამოყენების გარეშე;
- გადახდა - ფულადი ვალდებულებების დაფარვა ანგარიშსწორებით ან ურთიერთჩათვლით;
- დეპოზიტი – კომერციულ ბანკში ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებაში პირის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები ან გადახდის სხვა საშუალებები, რომლებზედაც საკუთრების უფლებას იძენს კომერციული ბანკი ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება:



აქვე მოცემული გვაქვს უნადლო ანგარიშსწორების, გადახდის, დეპოზიტის დეფინიციები. დეპოზიტს რაც შეეხება. მიზანი აქ დეპოზიტის ხაზგასმისა ის იყო, რომ ანუ მობილური ფინანსების მომსახურების

თამარ ალავიძე: „მობილური ფინანსების მომსახურების გადახდების პროექტით განხორციელებული ტრანზაქციები და ოპერაციები არ წარმოადგენენ დეპოზიტის მიღებას“.

გადახდების პროექტით განხორციელებული ტრანზაქციები და ოპერაციები არ წარმოადგენენ დეპოზიტის მიღებას. იგივეაირად როგორც ვთქვათ ეს ევროკავშირის ელექტრონული ფულის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზით არის გათვალისწინებული და ამდენად მაინც მიზანშეწონილობის თვალსაზრისით მოვიყვანეთ აქ დეპოზიტის დეფინიციაც.


პირის იდენტიფიკაციის, საექვო გარიგების დეფინიციები, რომლებიც ჩვენთვის საჭიროა და გამოგვადგება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის კანონის მოთხოვნების შესრულების და დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად. ამაზე ეხლა დეტალურად არ შევჩერდები, რომ არ მოგაწყინოთ.

ფინანსური მომსახურების ოპერაციის, საგადახდო ინსტრუმენტის დეფინიციებზე, რომელზეც ლევანი დეტალურად ისაუბრებს და განავრცობს ამ თემას, არსებული საკანონმდებლო პორბლემების გათვალისწინებით.

ეს არის იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალი საქართველოში ამ ეტაპისთვის მოქმედი, რომელიც ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ. აქ მოცემულია ის ძირითადი აქტები, რომლებიც თქვენთვის შეიძლება საინტერესო ყოფილიყო.

მობილური ფინანსების მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა


- საქართველოს ორგანული კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ“;
- საქართველოს კანონი "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტების შესახებ“;
- „ფულადი გზავნილების განმარტებული პირის რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2009 წლის 9 თებერვლის ბრძანება N17;



მეორე სლაიდი:

მობილური ფინანსების მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა (2)

- „ფულადი გზავნილების განმარტებული პირის მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2009 წლის 17 თებერვლის ბრძანება N1;
- „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 26 ივნისის ბრძანება N166;
- „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N344.



შემდეგი, რაზეც მინდა მოგახსენოთ, ეს არის ფულადი გზავნილის და გადახდის დეფინიციებს შორის არსებული მსგავსება ან სხვაობები. იმისათვის, რომ აღრევა არ მოხდეს, გამიჯნული არის - ანუ ფულადი

თამარ ალავიძე: „ ფულადი გზავნილი - ეს არის ფულადი [სახსრების] გადაგზავნის მეთოდი, მაშინ როდესაც გადახდა - ეს არის ფულადი ვალდებულებების დაფარვის მეთოდი“.


გზავნილები არ მოიცავს ვთქვათ გაწეული მომსახურების საქონლის მიწოდების ანაზღაურების, თანხების ანაზღაურებას. ამდენად მინდა, რომ მაინც თვალსაჩინოებისთვის გამიჯნული იყოს, რომ ფულადი გზავნილი ეს არის ფულადი გზავნილის გადაგზავნის მეთოდი, მაშინ როდესაც გადახდა - ეს არის ფულადი

ვალდებულებების დაფარვის მეთოდი. ფულადი გზავნილი ხორციელდება ფიზიკურ პირებს შორის, სამართლებრივი განმარტების თანახმად, მაშინ როდესაც გადახდა ხორციელდება და შესაძლოა განხორციელდეს, როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირთა მონაწილეობით და მათ შორის, ფულადი გზავნილი გულისმობს ბანკების საშუალებით ოპერაციის განხორციელებას. მაშინ როდესაც, გადახდა შეიძლება მოხდეს, როგორც საბანკო დაწესებულებების, ასევე ნებისმიერი სხვა საშუალებით და არ არის სავალდებულო, რომ მხოლოდ საბანკო საშუალებით იყოს შემოფარგლული და ფულადი გზავნილი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არ მოიცავს გარიგების თანხების ანაზღაურებას. მაშინ როდესაც გადახდები რეალურად შესაძლოა განხორციელდეს, როგორც გარიგების თანხების ასანაზღაურებლად, ასევე სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ანგარიშსწორების განსახორციელებლად, კომუნალური გადახდების განსახორციელებლად, ტელეფონის საეთერო დორის შესაძენად და ფინანსურ დაწესებულებებთან ნებისმიერი სახის ანგარიშსწორების განსახორციელებლად.

გამომდინარე იქიდან, რომ დღევანდელი საქართველოს საკანონმდებლო სივრცე, სამწუხაროდ, ამ ეტაპისთვის არ ფარავს, ელექტრონული ფულის ირგვლივ არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და ამ ეტაპისთვის დაურეგულირებელია აღნიშნული ურთიერთობები. ჩვენ მაინც ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ გვეჩვენებინა რეალურად თვითონ ეს ელექტრონული ფული რას გულისხმობს ევროპის საკანონმდებლო სივრცეში. ეს არის ევრო-პარლამენტისა და საბჭოს მიერ მიღებული დირექტივის თანახმად დადგენილი განსაზღვრება, რომელიც არის ასე ვთქვათ, სანიმუშო განსაზღვრება ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნისათვის და მის საფუძველზე ახდენენ ევროკავშირის წევრები მათი მოქმედი კანონმდებლობის ადაპტირებას და მორგებას არსებულ ნორმაზე.

ელექტრონული ფული (ევრო კავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 16 სექტემბრის N110 დირექტივის თანახმად):

- გადახდების მომსახურების მომწოდებლის მიერ თანხის სანაცვლოდ გაცემული ელექტრონული ღირებულება (pre-paid stored value);
- გამოიყენება გადახდის მიზნებისათვის და მესამე პირების მიერ მიიჩნევა და აღიარებულია გადახდად;
- მოიცავს ელექტრონულ ფულს, რომელიც განთავსებულია როგორც ელექტრონული ფულის მფლობელის სახელზე არსებულ გადახდის საშუალებაზე (payment device), ასევე შესაძლოა განთავსებულ იქნას სერვერზე და ელექტრონული ფულის მფლობელის მიერ მისი მართვა მოხდეს ელექტრონული ფულის სპეციალური ანგარიშის მეშვეობით;
- ელექტრონული ფულის გაცემა არ წარმოადგენს დეპოზიტის მიღებას.




აღნიშნული დირექტივის თანახმად, E-Money ანუ ეგრედ წოდებული ელექტრონული ფული, ეს არის გადახდების მომსახურების მომწოდებლის მიერ თანხის სანაცვლოდ გაცემული ელექტრონული ღირებულება, ანუ ელექტრონული ღირებულება ჩვენ რასაც ვუწოდებთ “prepaid stored value” ასე არის ცნობილი ევროპის სამართლებრივი ტერმინოლოგიის თანახმად. ელექტრონული ფული გამოიყენება გადახდის მიზნებისათვის და მესამე პირების მიერ მიიჩნევა და აღიარებული არის გადახდად. მოიცავს რეალურად იმ ელექტრონულ ფულს, რომელიც განთავსებულია როგორც თავად ელექტრონული ფულის მფლობელის სახელზე არსებულ გადახდის საშუალებაზე „payment device“-ზე. ასევე შესაძლებელია განთავსებულ იქნას სერვერზე ანუ „remote server“-ზე და ელექტრონული ფულის მფლობელის მიერ მისი მართვა მოხდეს მისთვის სპეციალურად განსაზღვრული ანგარიშის მეშვეობით.

აქვე ხაზგასმული არის, რომ ელექტრონული ფულის გაცემა არ წარმოადგენს დეპოზიტის მიღებას, თავად აი ამ საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ეს არის ის ჩამონათვალი წინაპირობებისა, რომელიც დადგენილი არის ფულადი გზავნილების განმახორციელებელ პირადი რეგისტრაციისათვის. ამ კუთხით რა პრობლემაც საკანონმდებლო კუთხით რაც შეიძლება ვაწყდებოდეთ ამის თაობაზე, ლევანი უფრო განავრცობს პრობლემებში. ხედავთ თქვენ, რომ ეს არის შესაბამისი საოპერაციო ფართობის მოთხოვნა, კომპიუტერის, საბეჭდი, ასლგადამღები საშუალებების და სპეციალური ტექნიკური უზრუნველყოფის მოთხოვნა ფულადი გზავნილების ოპერაციების აღსარიცხად.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და მათი შესრულების უზრუნველყოფა

- ფულადი გზავნილის განმახორციელებელი პირის კლიენტის (მისი წარმომადგენლისა და მარწმუნებლის, აგრეთვე მესამე პირის, თუ ოპერაცია/გარიგება იდება მესამე პირის სასარგებლოდ) იდენტიფიკაცია, როდესაც:
 - ფულადი გზავნილების ქსელის (სისტემის) გამოყენებით შესრულებული ოპერაციის/გარიგების თანხა აღემატება 1500 ლარს (ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში);
 - ეს გარიგება არის საექვო გარიგება.
- იდენტიფიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და მონიტორინგს დაქვემდებარებული ოპერაციების გამოვლენა;
- ინფორმაციის დოკუმენტურად დაფიქსირება, სისტემატიზაცია და შენახვა;
- მონიტორინგს დაქვემდებარებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის სამსახურისათვის წარდგენა ანგარიშების შესაბამისი ფორმით.



ეს არის თავად უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონის მოთხოვნები და მათი შესრულების უზრუნველყოფა, სადაც ეხლა ძირითადად გამოყოფილი არის ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის კლიენტის იდენტიფიკაციის ვალდებულება, იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგების ანუ ოპერაციის თანხა 1500 ლარს აღემატება, ან თუ ანალიზის შედეგად დადგინდება, რომ ეს არის საექვო გარიგება, შემდეგ მოხდება ფულადი გზავნილის განმახორციელებელი პირის მიერ იდენტიფიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და მონიტორინგს დაქვემდებარებული ოპერაციების გამოვლენა.

ეს ინფორმაცია შემდეგ დოკუმენტურად დაფიქსირდება, მოხდება მისი სისტემატიზაცია და შენახვა. სამართლებრივი ნორმების და მოთხოვნების გათვალისწინებით და საბოლოო ჯამში მონიტორინგს დაქვემდებარებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის სამსახურისათვის წარდგენა მოხდება სათანადოდ განსაზღვრული ანგარიშების შესაბამისი ფორმით.

ეს არის იმ ძირითადი სამართლებრივი ნორმების, დეფინიციების და მოთხოვნების თაობაზე, რომელიც ჩვენი საქმიანობის სფეროში ჩვენთვის აქტუალური არის. ეხლა სიტყვას გადავცემ ლევანს, რომელიც უფრო დეტალურად პრობლემატურ საკითხებზე მოგახსენებთ.

ლევან ნანობაშვილი: დიდი მადლობა, მოგესალმებით! მე ძალიან მოკლედ მოგახსენებთ იმ პრობლემებზე, რომლებსაც შეიძლება წავაწყდეთ ახალი კომპანიის საქმიანობის დროს. როგორც არჩილმა და თამარმა ბრძანეს, ახალი კომპანია ძირითადად იმუშავებს ფულად გადარიცხვებზე, რომლებიც განხორციელდება მობილური ტელეფონის საშუალებით.


ლევან ნანობაშვილი: „არსებული კანონმდებლობით, ფულადი გზავნილის განმახორციელებელ პირს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაბამისი საოპერაციო ფართობი, კომპიუტერი, საბეჭდი, ასლგადამღები საშუალება და პროგრამული უზრუნველყოფა ოპერაციების აღსარიცხად“.

ყველაზე კარგი გამოსავალი დღეისთვის, რომ ეს კომპანია ჩამოყალიბდეს და მას მიეცეს საქმიანობის საშუალება, ეს არის, მისი დარეგისტრირება ფულადი გზავნილის განმახორციელებელ პირად. მაგრამ აქ არის ერთი პრობლემა. არსებული კანონმდებლობით, ფულადი გზავნილის განმახორციელებელ პირს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაბამისი საოპერაციო ფართობი, კომპიუტერი, საბეჭდი, ასლგადამღები საშუალება და პროგრამული უზრუნველყოფა ოპერაციების აღსარიცხად.

კომპანიის მიზანია, აგენტების ფართო ქსელის შექმნა ისეთ რეგიონებში, სადაც ბანკები და სხვა საფინანსო დაწესებულებები დღეს არ საქმიანობენ. შესაბამისად, კომპანიის ერთ-ერთი მიზანი არის აგენტების აღჭურვა არა ვთქვათ კომპიუტერების, საბეჭდი, ასლგადამღები საშუალებებით, არამედ მათი ანალოგით, რომელიც ამ შემთხვევაში უფრო მარტივად შესაძენი იქნება და ქსელის განვითარება შესაბამისად უფრო იოლად მოხდება.

საკანონმდებლო ნორმები, რომლებმაც შეიძლება შეაფერხონ ახალი მოდელები

- ფულადი გზავნილის განმახორციელებელი პირის რეგისტრაციისთვის დადგენილი მოთხოვნები:
 - საოპერაციო ფართობი;
 - კომპიუტერი;
 - საბეჭდი და ასლგადამღები საშუალებელი; და
 - პროგრამული უზრუნველყოფა ოპერაციების აღსარიცხად
- შეიძლება თუ არა ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება, თუ:
 - ოპერატორი კომპანიის აგენტებს ექნებათ შესაბამისი ტექ. მახასიათებლების მქონე მობილური ტელეფონები/ტერმინალები;
 - ინფორმაციის აღრიცხვა და შენახვა მოხდება ოპერატორი კომპანიის ცენტრალურ სერვერზე



ეს შეიძლება იყოს მობილური ტელეფონი, რომელმაც შესაძლოა შეასრულოს შესაბამისი ფუნქციები, ან ეს შეიძლება იყოს ტერმინალი. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ქსელის განვითარება მოხდება უფრო სწრაფად, მარტივად და იმავდროულად იქნება დაცული კანონის მოთხოვნები ანუ მოხდება ინფორმაციის აღრიცხვა და შენახვა კომპანიის სერვერზე, რომელთანაც ყველა აგენტი იქნება დაკავშირებული შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით. ეს არის ერთ ერთი პრობლემა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ კომპანიის მუშაობისთვის.

მეორე პრობლემა არის დაკავშირებული ფულის კონვერტაციასთან. კომპანიის ერთ-ერთი სერვისი, რომელსაც იგი შესთავაზებს მომხმარებელს, იქნება ფულის კონვერტაცია. მაგრამ ეს არ იქნება ნაღდი

ფულის კონვერტაცია; ანუ ფულადი გზავნილი, რომელიც სიტყვაზე საბერძნეთიდან არის გადმორიცხული ევროში, შეიძლება მომხმარებელმა ის მიიღოს ლარში. ფაქტიურად, ჩვენი აზრით ეს არის უფრო მეტად ვალუტის უნაღდო ელექტრონული კონვერტაცია.

საკანონმდებლო ნორმები, რომლებმაც შეიძლება შეაფერხონ ახალი მოდელები (2)

- საჭირო იქნება თუ არა ოპერატორი კომპანიის რეგისტრაცია ვალუტის გადამცვლელ პუნქტად?
 - ოპერატორი კომპანია მოახდენს ვალუტის მხოლოდ უნაღდო ელექტრონულ კონვერტაციას
 - კანონმდებლობით, **ნაღდი ვალუტის** ყიდვა-გაყიდვის გარდა ვალუტის გადამცვლელ პუნქტს ეკრძალება ნებისმიერი სხვა საქმიანობა



როდესაც ჩვენ ვნახეთ არსებული საკანონმდებლო ბაზა, ერთადერთი გამოსავალი ჩვენთვის არის კომპანიის დარეგისტრირება ვალუტის გადამცვლელ პუნქტად. სადაც ჩვენ ვაწყდებით პრობლემას. ვალუტის გადამცვლელ პუნქტს ეკრძალება სხვა საქმიანობა გარდა ნაღდი ვალუტის ყიდვა-გაყიდვის. ანუ ჩვენ გვაქვს ასე ვთქვათ სერიოზული პრობლემა ამ მხრივ იმიტომ, რომ არსებული კანონმდებლობა ამ საკითხს პირდაპირ არ არეგულირებს და რა ნაწილშიც არეგულირებს ამ ვალუტის გადამცვლელმა პუნქტმა შეიძლება განახორციელოს მხოლოდ ეს საქმიანობა.

საკანონმდებლო ნორმები, რომლებმაც შეიძლება შეაფერხონ ახალი მოდელები (3)

- ვალუტის გადამცვლელ პუნქტს უნდა გააჩნდეს:
 - საოპერაციო ფართობი;
 - ყალბი ფულის ამომცნობი საშუალება;
 - სპეციალური პროგრამით უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნიკა
- შეიძლება თუ არა ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება, თუ:
 - ოპერატორი კომპანიის აგენტები არ მოახდენენ ნაღდი ფულის კონვერტაციას;
 - ინფორმაციის აღრიცხვა და შენახვა მოხდება ოპერატორი კომპანიის ცენტრალურ სერვერზე



გარდა ამისა, თუ მოხდება ვალუტის გადამცვლელ პუნქტად რეგისტრაცია, აქაც ვალუტის გადამცვლელ პუნქტს უნდა გააჩნდეს საოპერაციო ფართობი, ყალბი ფულის ამომცნობის საშუალება, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა და კომპიუტერი. აქაც ჩვენ ვაწყდებით ინფრასტრუქტურის პრობლემას. ჩვენი აზრით, შესაძლებელია, იგივე მობილური ტექნოლოგიების გამოყენებით ან შესაბამისი ტერმინალების გამოყენებით ყველა იმ მოთხოვნის დაცვა და შესრულება, რაც გათვალისწინებულია

კანონით და ეს ამ შემთხვევაში მოგვცემს საშუალებას, რომ ქსელის განვითარება მოხდეს უფრო სწრაფად და უფრო იაფად.


ლევან ნანობაშვილი: „არის ნორმატიული აქტები, რომლებიც ფულადი გზავნილების განმახორციელებელ პირებს, ასევე ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს ავალდებულებენ, რომ დოკუმენტაცია შეინახონ როგორც ელექტრონული, ისე დოკუმენტური ფორმით“.

შემდეგი პრობლემა არის დაკავშირებული თვითონ დოკუმენტაციის შენახვის ფორმასთან. როდესაც ჩვენ ვსაუბრობდით ტექნიკურ საკითხებზე, კომპანიის ერთ-ერთი მიზანი არის დოკუმენტაციის შენახვა ელექტრონული ფორმით და ინფორმაციის ასახვა კომპანიის ცენტრალურ სერვერზე, რომელთანაც იქნებიან დაკავშირებული აგენტები. თუმცა არის ნორმატიული აქტები, რომლებიც ფულადი გზავნილების განმახორციელებელ პირებს, ასევე

ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს ავალდებულებენ, რომ დოკუმენტაცია შეინახონ როგორც ელექტრონული, ისე დოკუმენტური ფორმით. ანუ უნდა არსებობდეს ერთი და მეორეც.

საკანონმდებლო ნორმები, რომლებმაც შეიძლება შეაფერხონ ახალი მოდელები (4)

- ცალკეულ შემთხვევაში კანონმდებლობა ითხოვს დოკუმენტების შენახვას როგორც ელექტრონული, ასევე დოკუმენტური ფორმით. მაგალითად, ვალუტის გადამცვლელმა პუნქტებმა ინფორმაცია უნდა აღრიცხონ და შეინახონ როგორც ელექტრონული, ისე დოკუმენტური ფორმით.
- ასევე, ფულადი გზავნილების განმახორციელებელმა პირებმა ინფორმაცია უნდა აღრიცხონ როგორც ელექტრონული, ასევე დოკუმენტური ფორმით.
- საქართველოში არ არსებობს ელექტრონული ფულის და ვალუტის ელექტრონული კონვერტაციის რეგულირება.



შესაბამისად, ეს იქნება გარკვეულად შემაფერხებელი გარემოება. კიდევ ერთი პრობლემა არის დაკავშირებული ელექტრონული ფულის და ისევ ვალუტის ელექტრონული კონვერტაციის რეგულირების არ არსებობასთან.

ლევან ნანობაშვილი: „ავლნიშნავ, რომ ვალუტის ელექტრონული კონვერტაციის საკითხიც პრინციპში ღიად არის დატოვებული კანონმდებლობაში“.

გარდა იმისა, რომ კომპანიის მიზანია ფულადი გზავნილების განხორციელება მობილური ტექნოლოგიების გამოყენებით, მისი საქმიანობა, შესაძლებელია, აგრეთვე შეიძლება მან იფუნქციონიროს ფულადი გადახდების სფეროშიც, რაც ფაქტიურად წარმოადგენს ელექტრონულ ფულს, რომლის რეგულირება

საქართველოში დღეს არ არსებობს და კიდევ ერთხელ ავლნიშნავ, რომ ვალუტის ელექტრონული კონვერტაციის საკითხიც პრინციპში ღიად არის დატოვებული კანონმდებლობაში.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც ჩვენ წავაწყდით ეს არის ფულადი გზავნილის განმახორციელებელი პირის ფილიალის ან წარმოადგენლობის არ არსებობა საქართველოს კანონმდებლობით. არის

გათვალისწინებული ფულადი გზავნილის განმახორციელებელ პირად რეგისტრაცია, მაგრამ აგენტის, წარმომადგენლის ინსტიტუტი როგორც ასეთი არ არის გათვალისწინებული.

საკანონმდებლო ნორმები, რომლებმაც შეიძლება შეაფერხონ ახალი მოდელები

- საქართველოში არ არსებობს ფგგკ-ს აგენტის/ფილიალის/წარმომადგენლობის ინსტიტუტი:
 - ამიტომ, გაურკვეველია, საჭიროა თუ არა ფგგკ-ს აგენტების ცალ-ცალკე დარეგისტრირება თუ მოხდება ერთი რეგისტრაცია, სადაც მითითებული იქნება ინფორმაცია თითოეული აგენტის შესახებ.
- წარმომადგენს თუ არა ელექტრონული ფულის გამოშვება დეპოზიტის მიღებასთან დაკავშირებულ საქმიანობას



ჩვენ გვქონდა ეროვნულ ბანკში შეხვედრა, სადაც ამ საკითხზე ვისაუბრეთ. ეროვნულ ბანკს აქვს გარკვეული პრაქტიკა ამ მხრივ, ანუ რეგისტრაცია ხდება. რეგისტრაციის განხორციელების დროს, რეგისტრირდება ერთი სუბიექტი და რეგისტრირდება ყველა ის მისამართი, სადაც ეს სუბიექტი განახორციელებს თავის საქმიანობას. ამის მიუხედავად კანონმდებლობაში ეს საკითხი პირდაპირ არ არის მოწესრიგებული.

ლევან ნანობაშვილი: „შესაბამისად, პრობლემატურია ის საკითხი წარმომადგენს თუ არა ის დეპოზიტების მიღებას“.

კიდევ ერთი პრობლემა, რაც აგრეთვე არის ელექტრონულ ფულთან დაკავშირებული, ის რომ დღევანდელი კანონმდებლობით ელექტრონული ფულის გამოშვების საკითხი არ არის მოწესრიგებული. შესაბამისად, პრობლემატურია ის საკითხი წარმომადგენს თუ

არა ის დეპოზიტების მიღებას. ცალკეულ შემთხვევაში, სანამ საკანონმდებლო დონეზე მოხდება ამის რეგულირება, ეს შეიძლება ჩაითვალოს დეპოზიტად, არსებული კანონმდებლობის განმარტების საფუძველზე.



ლევან ნანობაშვილი, „მფე“

საგადასახადო პრობლემები

- ჩაითვლება თუ არა ოპერატორი კომპანიის საქმიანობა ფინანსურ ოპერაციად ან მომსახურებად?
- საგადასახადო კოდექსით, ფინანსურ ოპერაციას/მომსახურებას წარმოადგენს:
 - ყველა სახის ანგარიშის გახსნა, განკარგვა, დახურვა
 - ნებისმიერი საგადასახდელი ინსტრუმენტით სარგებლობა
 - ანგარიშსწორება უნაღდო ფორმით
 - ფინანსური ინსტრუმენტის მიმოქცევა და მიმოქცევასთან დაკავშირებული ოპერაციები



და ბოლო პრობლემა, რომელზეც მე შევჩერდები, ეს არის კომპანიის საქმიანობის საგადასახადო მხარე ანუ ითვლება თუ არა კომპანიის საქმიანობა ფინანსურ ოპერაციად ან ფინანსურ მომსახურებად.

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის საქმიანობა იქნება საკმაოდ მრავალმხრივი, იგი არ მოიცავს მხოლოდ ფულადი გზავნილების განხორციელებას, ფულად გადახდებსაც, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ გვქონდა შეხვედრა ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებთან. ძირითადი მიზანი ჩვენი იყო იმის გარკვევა, წარმოადგენს თუ არა კომპანიის საქმიანობა ფინანსურ მომსახურებას თუ არ წარმოადგენს. ჩვენ გვქონდა ჩვენი პოზიცია, ფინანსთა სამინისტროს ჰქონდა თავისი პოზიცია. ჩვენ შევთანხმდით მხოლოდ ერთ რამეზე, რომ ეს საკითხი არის რთული და პრინციპში ჩვენ ვერ შევაჯერეთ ჩვენი პოზიციები. ჩვენი აზრით და ჩვენი შეხედულებით, ახალი სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება ფულად გზავნილებზე

ლევან ნანობაშვილი: როდესაც ჩვენ საგადასახადო კოდექსში ვნახეთ, საგადასახდელი ინსტრუმენტის ტერმინი, ჩვენ ვცადეთ მისი შინაარსის დადგენა. საგადასახადო კოდექსი იყენებს ამ ტერმინს, თუმცა არ განმარტავს“.

და ფულად გადახდებზე, შეიძლება ჩაითვალოს საგადასახდელი ინსტრუმენტად პლასტიკური ბარათების ანალოგიით. იმიტომ, რომ როდესაც ჩვენ საგადასახადო კოდექსში ვნახეთ, საგადასახდელი ინსტრუმენტის ტერმინი, ჩვენ ვცადეთ მისი შინაარსის დადგენა. საგადასახადო კოდექსი იყენებს ამ ტერმინს, თუმცა არ განმარტავს. ერთადერთი ნორმატიული აქტი, რომელიც ჩვენ ვნახეთ ეს

არის პლასტიკური ბარათების შესახებ დებულება. და პლასტიკური ბარათი არის მიჩნეული საგადასახდელი ინსტრუმენტად.

თუმცა არის, ეროვნული ბანკის სხვა ნორმატიული აქტები, უნაღდო ანგარიშსწორების წესები, სადაც დღევანდელი პლასტიკური ბარათი მიჩნეულია არა საგადასახდელი ინსტრუმენტად, არამედ საგადასახდელი საბუთად. ანუ ტერმინოლოგიის მხრივ ამ შემთხვევაში არ არის ერთიანი მიდგომა და პლასტიკურ ბარათზე მე შევჩერდი გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი აზრით, კომპანიის საქმიანობა, რომელსაც მომავალში შეიძლება დაერქვას ელექტრონული ფულის გამოშვება და ელექტრონული ფულის მიმოქცევა, ყველაზე უფრო მეტად დაკავშირებული არის პლასტიკურ ბარათებთან. ანუ ანალოგია ყველაზე ახლოს ამ შემთხვევაში არის პლასტიკური ბარათები.

ეს არის ის პრობლემები, რომლებსაც ჩვენ წავაწყდით, საქართველოს კანონმდებლობის შესწავლის დროს. დიდი მადლობა ყურადღებისთვის. თუ რაიმე შეკითხვები გაქვთ, მზად ვარ გიპასუხოთ.

დისკუსია თემაზე: „ელექტრონული ფულადი გზავნილებისა და საგადახდო სისტემების ოპერაციული, ტექნოლოგიური და საკანონმდებლო ასპექტები - საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო“

ნიკოლოზ ლოლაძე: დიდი მადლობა თამარ, დიდი მადლობა ლევან. ჩვენ ალბათ გადავალთ უკვე დისკუსიის ნაწილზე. დისკუსიის განმავლობაში ჩვენ დახმარებას ვთხოვთ ჩვენს მოწვეულ ექსპერტებს, ძირითადად სპეციალისტებს, ეროვნული ბანკის წარმომადგენლებს. ჩვენი დისკუსიის სტრუქტურირება ალბათ რაღაც პრაქტიკული შედეგების მისაღებად. გთავაზობთ შემდეგ ფორმატს ანუ არსებობს კონკრეტული, რა კითხვებზეც პასუხი არის ყველა ჩვენთაგანის ინტერესში, ალბათ ჩვენ დავსვავთ ამ კითხვებს ძალიან კონკრეტულად და შევეცდებით ამ კითხვებზე პასუხის ერთად მოძებნას. მე დავიწყებ ამ კითხვების დასმას და თუკი შემდეგ ვინმეს სურვილი ექნება ამ კითხვების სია განავრცოს, რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობა ექნება.

გაგაცნობთ ჩვენი საექსპერტო პანელების წევრებს. ესენი არიან:

1. ქალბატონი თამარ გოდერძიშვილი, საქართველოს ეროვნული ბანკის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
2. ბატონი ზურაბ გრიგალაშვილი, საგადახდო სისტემების დეპარტამენტის უფროსი;
3. ქალბატონი ნატალია ჭყოიძე, საგადახდო სისტემების დეპარტამენტის, უფროსის მოადგილე;
4. ქალბატონი თეა ზარნაძე, მთავარი სპეციალისტი;
5. არჩილ ბაკურაძე, ფონდი „კრისტალის“ თავმჯდომარე;
6. ლევან ნანობაშვილი, მფე-ს იურიდიული ექსპერტი
7. თამარ ალავიძე, მფე-ს იურიდიული ექსპერტი

პირველი კითხვა, რომელიც მინდა დავსვა, ანუ იმ სისტემის განვითარებაზე, რომელზეც ჩვენ დღეს ძირითადად ვსაუბრობთ. ანუ მობილური ტექნოლოგიების მეშვეობით ფინანსური გადახდების და ფულადი გზავნილების სისტემის აწყობაზე, გულისხმობს საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე ინდივიდუალური აგენტების დიდი ქსელების არსებობას. კითხვა არის შემდეგი:

Q

“რამდენად შემაფერხებელი იქნება აგენტების მუშაობისთვის, ფულადი გზავნილების განმხორციელებელი პირის, ფგგპ-ს რეგისტრაციისთვის დადგენილი დღევანდელი წესები?”

არჩილ ბაკურაძე: მე არ მაქვს აღნიშნულ კითხვაზე შესაბამისი პასუხი, რა თქმა უნდა, და შეიძლება რთული იყოს ამაზე პასუხის გაცემა, მაგრამ რაც მოგახსენეთ უფილიალო ბანკის, ანუ ისეთი მოდელის შექმნა, რომელსაც არ სჭირდება ტრადიციული შენობის ჩადგმა, ერთ-ერთი ალტერნატივაა იმისთვის, რომ მივიტანო ფინანსური მომსახურება საზოგადოებამდე, რის საშუალებას ტექნოლოგია დღეს გაძლევს, უნდა დაუშვა ერთი ადამიანისგან შექმნილი ერთეულის არსებობა, რომელიც შეიძლება არსებობდეს რაღაც საგანგებოდ მოწყობილ შენობაში ანუ სხვა შენობაში. აგენტის განსაზღვრება მართლაც არ არსებობს და არც იყო ალბათ საჭირო ადრე, იმიტომ, რომ ამ საჭიროების წინაშე სწორედ ახლა დავდექით როცა წინ მიდის ფინანსური სისტემის განვითარება. შესაბამისად ხედავთ თუ არა რაიმე საფრთხეს, ან სირთულეს იმაში რომ შეიქმნას კომპანია, რომელიც იქნება რეგისტრირებული, როგორც ფულადი გზავნილების განმხორციელებელი პირი, და მას ეყოლება რეგიონებში მისი თანამშრომლები, წარმომადგენლები, რომლებიც მასთან იქნებიან ჩართულნი. ჩვენს შემთხვევაში ეს იქნება მობილური ტელეფონით აღჭურვილი ადამიანი, რომელიც დახურული არხით იქნება დაკავშირებული ცენტრალურ სერვერთან და ყველა ტრანზაქცია რომელსაც ის განახორციელებს, კომპანიის სახელით იქნება აღრიცხული, ლოგირებული, შენახული, და ანალიზს დაქვემდებარებული კომპანიის ცენტრალურ სერვერზე. უნდა გითხრათ რომ მთელი ეს ოპერაციული სისტემა იძლევა ყველანაირ საშუალებას, რომ დააკმაყოფილო

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის კუთხით არსებული მოთხოვნები. ანუ ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები არსებობს, მაგრამ ხომ არ შექმნის პრობლემას კანონმდებლობა?

ნიკოლოზ ლოლაძე: ამავე დროს მინდა დავამატო არჩილის ნათქვამს, ანუ ეს ტელეფონები იქნება აღჭურვილი, თანამედროვე მულტიმედიური მოწყობილობებით, რომლებიც საშუალებას იძლევა ეფექტურად, არანაკლები სიზუსტით და ხარისხით, დაფიქსირდეს იმ პირის იდენტურობა, მისი ფოტოსურათი ვიდრე ეს შესაძლებელი არის, ასლგადამღები აპარატის მეშვეობით. ანუ ამ თვალსაზრისითაც ჩვენ ვერ ვხედავთ ვერანაირ პრობლემას, ანუ ისევ ეს კითხვა, შეიძლება დავუსვათ ეროვნული ბანკის წარმომადგენლებს,

ზურაბ გრიგალაშვილი: მოგესალებით ყველას, მე გახლავართ ზურაბ გრიგალაშვილი, საგადახდო სისტემის დეპარტამენტის უფროსი ეროვნული ბანკიდან. პირველ რიგში, მინდა მადლობა გადაგიხადოთ „მოზაილ ფაინენს ევრაზიას“, ფონდ „კრისტალს“, IFAD-ს ასეთი ძალიან საინტერესო და სასარგებლო შეხვედრის ორგანიზებისთვის. მნიშვნელოვანია და საინტერესოა ყველა ამ საქმესთან დაკავშირებული პირების, მხარეების აზრის მოსმენა, გაზიარება, მითუმეტეს ისეთ სფეროზე. რომელიც ეხლა უნდა განვითარდეს და ყველა ერთად, ფაქტიურად ვუყრით ახალ ტექნოლოგიებს, და ახალი გადახდის საშუალებებს საფუძველს.



ზურაბ გრიგალაშვილი, ნატალია ჭყოიძე, ეროვნული ბანკი

ამასთან ერთად, მინდა მოგახსენოთ, რომ ეროვნული ბანკის ინიციატივით და კოორდინაციით მიმდინარეობს ქვეყანაში საგადახდო სისტემებთან დაკავშირებული რეფორმები. ერთი-ორი სიტყვით მოგახსენებთ. მიმდინარეობს არსებული ბანკთაშორისი ანგარიშსწორების დროის რეალურ რეჟიმში სისტემის გამოცვლა-განახლება. ასევე, ფასიანი ქაღალდების სისტემის დანერგვა. ეს ორი სისტემა ერთად ხელს

შეუწყობს კიდევ უფრო უკეთეს ბანკთაშორისი ანგარიშსწორების განვითარებას და ახალი ინსტრუმენტების დანერგვას, ასევე ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებას. გარდა ამისა, პროცესი თავისთავად მოიცავს საკანონმდებლო ბაზის ცვლილებასაც, რომელზეც ძალიან ინტენსიურად ვმუშაობთ და განვიხილავთ. თვითონ სისტემის დანერგვა დაგეგმილია წლის ბოლომდე და შესაბამისად კანონმდებლობაც, რომელიც უშუალოდ სისტემას ეხება, საგადახდოს და RTGS-ს და ფასიანი საქაღალდე გადახდების სისტემას, რა თქმა უნდა, იმ დროისთვის უნდა იყოს მზად.

ზურაბ გრიგალაშვილი: „თუმცა, პარალელურად ჩვენ ვმუშაობთ ასევე თვითონ საგადახდო სისტემასთან დაკავშირებული სრული კანონმდებლობის შეცვლაზე, უფრო სწორად, შემოღებაზე“.

თუმცა, პარალელურად ჩვენ ვმუშაობთ ასევე თვითონ საგადახდო სისტემასთან დაკავშირებული სრული კანონმდებლობის შეცვლაზე, უფრო სწორად, შემოღებაზე. ფაქტიურად, საქართველოში არ არსებობს ასე ცალკე აღებული საგადახდო სისტემის შესახებ კანონი. სწორედ ამაზე მიმდინარეობს ჩვენთან მუშაობა, სადაც გარკვეული დოზით გათვალისწინებული იქნება ეს ყველა

თანამედროვე მიმდინარეობები, თუმცა ყველა დეტალები სავარაუდოდ იქ არ იქნება დაკონკრეტებული, და შესაბამის კანონქვემდებარე აქტებში მოხდება მათი უფრო დეტალურად გაწერა.

ეს მოკლე ექსკურსი გავაკეთე იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენც ისევე ვართ დაინტერესებული ამ საქმის ხელშეწყობით როგორც თქვენ და ძალიან საინტერესოა უშუალოდ ამ საქმესთან დაკავშირებული პირების აზრის გაზიარება და კითხვების მოსმენა. ამიტომ მოდით ამ შეხვედრას უფრო დისკუსიის სახე მივცეთ, რომ ჩვენ ეს აზრები მოვაგროვოთ, შევკრიბოთ თუ ამას ისედაც მოგვაწვდით თუნდაც ელექტრონული ფოსტით – ძალიან მოხარული ვიქნებით. მადლობა მინდა კიდევ ერთხელ გადაგიხადოთ ყველას.

ნუგზარ მურუსიძე: მე ვარ ნუგზარ მურუსიძე, საქართველოს ეროვნული ბანკის ... ძალიან დიდი დასახელება აქვს ჩვენს სამსახურს, ამიტომ ვიტყვი მხოლოდ, რომ ვარ წამყვანი სპეციალისტი. მესამედ ვესწრები ასეთ წარმომადგენლობით სემინარს, თუ შეხვედრას. ძალიან დიდი მადლობა მართლა, ამ პრობლემით დაინტერესებისათვის. ეს არ არის ისეთი გადაუწყვეტელი და გადაუჭრელი პრობლემა. ქვეყნის მოსახლეობის წინაშე ნამდვილად დგას ფულადი გზავნილების პრობლემა. უფრო სწორად, კანონმდებლობის ჩარჩოში მოქცევის პრობლემა. ჩვენ გვაქვს ერთადერთი წესი ამ ფულადი

ნუგზარ მურუსიძე: „ჩვენ გვაქვს ერთადერთი წესი ამ ფულადი გზავნილების რეგულაციისა, რომელიც ვერ ვიტყვით რომ სრულყოფილია და რაღაც იდეალური, მაგრამ გარკვეულ ლიბერალურ გარემოს ნამდვილად ქმნის“

გზავნილების რეგულაციისა, რომელიც ვერ ვიტყვით რომ სრულყოფილია და რაღაც იდეალური, მაგრამ გარკვეულ ლიბერალურ გარემოს ნამდვილად ქმნის. იყო საუბარი, რომ არ არის დეფინიცია ამ აგენტისა, მაგრამ ის წესი ამ აგენტების არსებობას არ კრძალავს. და ფაქტიურად, წელან დასმული პირველი კითხვა, აქვს თუ არა უფლება პირს ეს მომსახურება აგენტების მეშვეობით განახორციელოს, ჩვენ ერთ-ერთი შეხვედრის დროს, ამაზე მე მგონი რაღაც პასუხი გავეცით და პრაქტიკაც არსებობს. არის ერთ-ერთი დარეგისტრირებული ორგანიზაცია, რომელიც არის მხოლოდ ერთი რეგისტრაციის მისამართით დარეგისტრირებული და სხვადასხვა აგენტების, სხვადასხვა წარმომადგენლობების, სხვადასხვა პიროვნებების მეშვეობით ახორციელებს ფულადი გზავნილების ოპერაციებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.



ნუგზარ მურუსიძე, ეროვნული ბანკი (ცენტრში)

ნიკოლოზ ლოლაძე: მე როგორც მესმის საქართველოს ფოსტაზე საუბარი?

ნუგზარი მურუსიძე: დიახ, საქართველოს ფოსტაზე საუბარი. ალბათ სხვა კითხვებიც იქნება, მაგრამ ის კითხვები რაც შეეხებოდა ფართობს, კომპიუტერს და პროგრამას, აღჭურვილობას... კლინეტი როდესაც მოდის, უმრავლესობა არ ითხოვს, მაგრამ ზოგიერთი

ითხოვს, რომ მას ჰქონდეს დამადასტურებელი რაღაც ქვითარი. ელექტრონულ დამადასტურებელ საბუთს ჩვენ ვერ გავატანთ ამ ეტაპზე. უნდა ამოვუბეჭდოთ, ამიტომ სჭირდება იმას საბეჭდი მოწყობილობა. კიდევ ერთი ასლგადამღებ მოწყობილობაზე იყო საუბარი. კანონში არის ჩადებული თვითონ ... უკანონო ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონში, აი ამ კანონში არის ჩადებული, რომ კლიენტმა არ უნდა დაინახოს როგორ მოახდინა განმახორციელებელმა პირმა კლიენტის იდენტიფიკაცია, და ამ იდენტიფიკაციის ერთ ერთი შემადგენელი ნაწილი არის, რომ მის დოკუმენტს უნდა გადაუღოს ასლი და შეინახოს დოკუმენტალურად და არა ელექტრონულად. ელექტრონულად სამოქალაქო რეესტრში არის კარგად შენახული, ერთი კი არა რამოდენიმე სურათია თითოეული ჩვენთაგანის. ყოველთვის ასე არის პრაქტიკა წინ უსწრებს ხოლმე, და მერე კანონმდებლობა მიყვება და ამიტომ ჩვენც დავიხვეწებით თანდათანობით და ალბათ შევქმნით იმ კანონებს. კანონი ალბათ არასდროს არ მოგეწონებათ თქვენ, მაგრამ შეიქმნება ის კანონებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ სფეროს განვითარებას.

ნიკოლოზ ლოლაძე: დიდი მადლობა ბატონო ნუგზარ. კითხვები ხომ არ გაქვთ ბატონ ნუგზართან? (კითხვები არ არის)

ნიკოლოზ ლოლაძე: მე მაქვს კითხვები, მაშინ იქნებ დავაკონკრეტოთ, თქვენ კონკრეტულ საჭიროებებზე ისაუბრეთ, რაც განაპირობებს ამ ტექნოლოგიური მოწყობილობების აუცილებლობას, კერძოდ ამბობთ რომ ქვითარი სჭირდება ამ ...

ნუგზარი მურუსიძე: ქვითარი სჭირდება კი არა, ითხოვს

ნიკოლოზ ლოლაძე: არა, ითხოვს, გასაგებია, ჯერ ერთი შეიძლება მოითხოვოს. მაგრამ ეს არ არის აუცილებელი პირობა, და კანონმდებლობამ რატომ უნდა დაავალდებულოს ოპერატორი უბრალოდ ასე ვთქვათ რომელიღაც მომხმარებლის კაპრიზის გამო



ნუგზარ მურუსიძე, ნინო დავითაია, ეროვნული ბანკი

ნუგზარი მურუსიძე: კაპრიზი არ არის მანდ

ნიკოლოზ ლოლაძე: გასაგებია, მიღებულია პასუხი, გასაგებია. ამ შემთხვევაში თუკი მას მოსდის მობილურ ტელეფონზე შეტყობინება, რომ მან აი ეს ოპერაცია, არ ვიცი რა ოპერაცია, სხვადასხვა ოპერაციები შეიძლება იყოს განხორციელებული, რეალურად განახორციელა, რატომ არ შეიძლება, რომ ეს ელექტრონული შეტყობინება იყოს განხილული როგორც საბუთი, რომელიც მას სჭირდება,

ნუგზარი მურუსიძე: თუ ამ ოპერაციის შენახვა მოხდება 6 წლის განმავლობაში, როგორც კანონი ითხოვს

ნიკოლოზ ლოლაძე: ის მოხდება 6 წლის განმავლობაში ჩვენს სისტემაში ნამდვილად და ნებისმიერ შემთხვევაში, რამდენი წლითაც უნდა ის ადამიანი პირადად შეინახავს.

ნუგზარი მურუსიძე: მე ვთქვი, რომ საქართველოში ჯერ არ გვაქვს კანონი ელექტრონული ხელმოწერის, საბუთების შესახებ და ელექტრონული დოკუმენტების შესახებ. როდესაც იქნება ალბათ მაგ იმასაც გაითვალისწინებენ, ეხლა მე მაგ თემაზე საუბარი არ შემიძლია.

თამარ ალავეძე: მოგესალმებით კიდევ ერთხელ. უბრალოდ აქ გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ ფულადი გზავნილების განმახორციელებელ პირებს ეროვნული ბანკი არეგულირებს მხოლოდ უკანონო ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის კანონის ფარგლებში, ანუ ეროვნული ბანკი ფულადი გზავნილის განმახორციელებელ პირს არანაირ პრუდენციულ რეგულირებას არ უდგენს. ის ყველა მოთხოვნა, რომელიც ამ რეგულირების წესში დევს, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხელშეწყობის შესახებ კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე. ანუ ეს მოთხოვნები რეალურად რას ითვალისწინებს, რომ უნდა ხდებოდეს გარიგების და იმ პირის იდენტიფიკაცია, ვინც ამ გარიგებაში მონაწილეობს, რეალურად ისიც თუ რატომ არის მოთხოვნილი შესაბამისი პროგრამული აღჭურვილობა ან თუნდაც კომპიუტერი, გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ იმ კუთხით, რომ შესაძლებელი უნდა იყოს იმ მოთხოვნების გადამოწმება, რასაც კანონი ადგენს. ამიტომ

ელექტრონულად ამ შეტყობინების გაკეთება, სამწუხაროდ, საკმარისი არ იქნება იმისთვის, რომ დადგინდეს იქნას იმ ნორმების შესრულება, რომელსაც კანონი ითხოვს.

ნიკოლოზ ლოლაძე: რომ დააკონკრეტოთ რატომ ელექტრონულად არა და ამ მოწყობილობების გამოყენებით?

თამარ ალავედი: იმიტომ, რომ იქ დააკონკრეტებულა, თვითონ გარიგების შესახებ რა სახის ინფორმაცია უნდა ინახებოდეს. ეხლა ზეპირად ვერ ჩამოგითვლით სამწუხაროდ, იდენტიფიკაციის შემთხვევაში მოითხოვს რომ არსებობდეს იდენტიფიკაციის საბუთის ორიგინალი, რაც რა თქმა უნდა, ვერანაირ შემთხვევაში ვერ შეინახება მისი დამოწმებული ასლი. დამოწმებულ ასლში რეალურად იგულისხმება, რომ ეს უნდა იყოს პირადობის მოწმობის ან მასთან გათანაბრებული რაც არის იდენტიფიცირებისათვის დოკუმენტად. ამ დოკუმენტის ასლი უნდა ინახებოდეს.

ნიკოლოზ ლოლაძე: რატომ არ შეიძლება, ეს იყოს ფოტო ასლი? ანუ ფოტო სურათი ამ დოკუმენტის?

თამარ ალავედი: ამაზე მარტივი პასუხი იქნება ის, რომ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაზე აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონი პირდაპირ ასე მიუთითებს, ანუ ქსერო ასლს მიუთითებს. თუმცა მაგალითად, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ფინანსური მონიტორინგის უფროსის ბრძანება არის და ალბათ ქალბატონი თეა უფრო დეტლურად ამაზე ისაუბრებს, არის ასეთი ჩანაწერი, რომ შეიძლება არსებობდეს ელექტრონული ფორმით. ასე ვთქვათ ცვლილება შევიდა, და ეს ელექტრონული ფორმა შეიძლება იყოს სამოქალაქო რეესტრთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ასლების მეშვეობით. ანუ ეს შესაძლებელია იყოს.

ნიკოლოზ ლოლაძე: ანუ თუ მოხდა მაგალითად, თვითონ სურათის გადაღება, მომენტალურად გადაგზავნა სამოქალაქო რეესტრში თუ საინდენტიფიკაციო დოკუმენტის და რეალურად, პიროვნების იდენტიფიცირება უკვე ამ სამოქალაქო რეესტრის სისტემასთან შედარების საფუძველზე, მაშინ ეს ელექტრონული ფოტოსურათი, შეიძლება იყოს, განხილული როგორც

თამარ ალავედი: რეალურად ეს ელექტრონული ფოტოსურათი კი არ ინახება, ინახება თვითონ სააგენტოდან ამოღებული საინდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი ანუ ჩანაწერი.

ნიკოლოზ ლოლაძე: გასაგებია, ანუ ჩვენ იდენტიფიკაციის მომენტში რომ მომენტალურად, შევძლოთ რომ გვქონდეს წვდომა ამ მონაცემთა ბაზაზე და ამოვბეჭდოთ ეს საინდენტიფიკაციო მონაცემები, ეს მოთხოვნა იქნება დაკმაყოფილებული.

თამარ ალავედი: დიახ, ასე გამოდის.

ნიკოლოზ ლოლაძე: კიდევ ხომ არ გაქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით კითხვები?

გიორგი გაბრიელაშვილი: „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ორიგინალს და ასლს ანაცვლებს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან კანონიერი გზით მიღებული ელექტრონული მონაცემები, საიდენტიფიკაციო მონაცემები“.

გიორგი გაბრიელაშვილი: დიახ. მე გახლავართ გიორგი გაბრიელაშვილი, წარმოადგენ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს. აქ ბოლოს აღინიშნა და მაგ თემაზე მინდოდა მეთქვა. უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ორიგინალს და ასლს ანაცვლებს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან კანონიერი გზით მიღებული ელექტრონული მონაცემები, საიდენტიფიკაციო მონაცემები. აქ ასლზე არ არის საუბარი, საუბარია იმ მონაცემებზე, რის საფუძველზეც პირადობის მოწმობა საერთოდ იბეჭდება, თორემ მისი ასლი სააგენტოში არ

ინახება, არის ელექტრონული მონაცემები. ამ მონაცემების სააგენტოდან გამოთხოვის და წაღების ლოგირებას, რა თქმა უნდა, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოც გააკეთებს და მეორეს მხრივ, თუ ეს საჭირო იქნება, ერთ-ერთ მტკიცებულებად შეიძლება ესეც იქნას გამოყენებული მომავალში, რომ ამ გზავნილების განმახორციელებელმა – არ ვიცი როგორ მოიხსენიებთ თქვენ კანონმდებლობაში ამ პირს, – უბრალოდ განახორციელა იდენტიფიკაცია და სააგენტოდან გამოთხოვილი იქნა. რაც შეეხება ელექტრონულ ხელმოწერაზე რაზეც აქ იყო საუბარი, კანონმდებლობა გვაქვს ჩვენ ელექტრონული ხელმოწერის შესახებ, უბრალოდ, არ არის ეს სისტემა ამუშავებული. დაკავშირებულია გარკვეულ ტექნიკურ პრობლემასთან. თუმცა სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, პოლიტიკურ დონეზე ჩვენთვის რამდენადაც ცნობილია მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ახალ ელექტრონულ პლასტიკურ ბარათში, უკაცრავად ვგულისხმობ



გიორგი გაბრიელაშვილი, იუსტიციის სამინისტრო

ელექტრონული ფუნქციის მატარებლების შემცველობით გამოცემულ დამადასტურებელ დოკუმენტში, რომელსაც ჩვენ სავარაუდოდ 2011 წლიდან გამოვცემთ, გამოტანილი იქნას ელექტრონული ხელმოწერა, სერტიფიკატი – განხილვის ქვეშ არის ეს. კითხვის ნიშნის ქვეშ იყო საკითხი სავალდებულო უნდა იყოს ეს თუ არა, სერთიფიკატის დატანა დოკუმენტზე, ელექტრონული ხელმოწერის სერთიფიკატის დატანა და ამაზეც

მიღებულია გადაწყვეტილება, რომ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა მოხდა და არის რეკომენდაცია რომ სავალდებულო იყოს და ყველა პირადობის მოწმობაზე დატანილ იქნას ელექტრონული ხელმოწერის სერთიფიკატი. ეს გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, თუმცა ვართ აი ამ რესურსების მოძიების პროცესში. გმადლობთ.

გელა ბუთბაია: კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია. პროფესიული საქმიანობით ვინაიდან კომუნიკაციასთან ვარ დაკავშირებული, ამ კუთხით მივუდგები მე თემას და ვეცდები პატარა სირთულეც წარმოვაჩინო. საქმე იმაშია, რომ ორი სექტორის შერწყმა ხდება ფაქტურად ფინანსურის და საკომუნიკაციოსი. გარკვეულ შეკითხვებს იწვევს ის, რომ გარკვეულ შემთხვევაში ფინანსისტებმა კომუნიკაცია არ იციან. კომუნიკაციის სპეციალისტებმა ფინანსები არ იციან და საბოლოო ჯამში აღმოჩნდება, რომ რაღაც თემებია შეუჯერებელი. საქმე იმაშია, რომ აქ საუბარი იყო პირის იდენტიფიკაციაზე, ვინაიდან ეს სამართლებრივ შედეგებს იწვევს გამომდინარე იქიდან, რომ მართლა მან მოისურვა ამ ფულადი გზავნილის გადაგზავნა, მართლა მას ეკუთვნის ეს ფულადი გზავნილი თუ არა;

მართლა მისი ტელეფონია თუ არა, მოდით შევხედოთ ეხლა მეორე კუთხიდან. როდესაც ის ყიდულობს ტელეფონს, ამ შემთხვევაში ხომ მობილურ გადარიცხვებზეა საუბარი და მობილური ტელეფონის ადების შემთხვევაში ის მონაცემს აბარებს და სხვათაშორის ის პირადობის მოწმობასაც აბარებს და დარეგისტრირებულია კომპანიაში, წინააღმდეგ შემთხვევაში უბრალოდ ვერ აიღებს ამ ნომერს, ეს ასეთი წესია ჩამოყალიბებული კომუნიკაციის დარგში... იმ რეგულაციის ფარგლებში, რომლის საშუალებასაც კანონმდებლობა იძლევა, გამოდის რომ ერთს შეუძლია, რადგან მას კომუნიკაციებში ინფრასტრუქტურა აქვს და ფაქტიურად იდენტიფიკაციას აკეთებს ცალკეული პირის და მეორეს არ შეუძლია, უბრალოდ გაუგებარი იქნება ეს თემა. ასე რომ აქ არც დაკავშირებული არ არის არც საჯარო რეესტრთან, არ არის დაკავშირებული არც ელექტრონულ ხელმოწერასთან და სერტიფიცირებასთან, აქ საუბარია პრინციპზე. პრინციპი იქნება ურთიერთშეთანხმებული, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებრობა გამოვა... ცოტა უხერხულია დღესდღეობით ყოველ შემთხვევაში და აქედან გამომდინარე, თუ არ გადაწყდა ეს პრობლემა და საერთო აზრი არ ჩამოყალიბდა, საბოლოო ჯამში ძალიან დიდ სექტორს დაკარგავს ეკონომიკა.



გელა ბუთბაია, კომუნიკაციების ეროვნული კომისია

უბრალოდ ადრე იყო ასეთი სლოგანი, ბანკი ემსახურებოდა მომხმარებელს, მოხმარებელი მიდიოდა ბანკში. ჩემოყალიბდა ასეთი სლოგანი, თუ მოხმარებელი ვერ მიდის ბანკში, მაშინ ბანკი უნდა მივიდეს მომხმარებელთან. მომხმარებელი სად არის? დადის ქუჩაში, მას არა აქვს ეს ტერმინალი, არ ჰქონდა ადრე. დღეს გაჩნდა ეს შესაძლებლობა, აქვს მობილური ტელეფონი, რატომ არ შეიძლება, გამოყენებულ იქნას, იმ „ინტერფეისად“ იმ ტექნიკურ

პლატფორმად, რომლითაც შეიძლება ურთიერთობა დაამყაროს თუნდაც ბანკთან ან საფიანანსო ინსტიტუტთან, ეს იქნება საკრედიტო თუ იგივე არასაკრედიტო, მაგრამ საგამდებლო ოპერაცია...

ნიკოლოზ ლოლაძე: დიდი მადლობა ბატონო გელა, ამ საინტერესო პერსპექტივისთვის, მობილური საკომუნიკაციო რეგულირების კუთხიდან. კითხვები ხომ არ გექნებათ?

გიორგი ალხაზიშვილი: ახალი ფინანსური ტექნოლოგიები. როდესაც თქვენ საუბრობთ აგენტებზე და საუბრობთ, რომ აგენტს ექნება რაიმე მობილური ტელეფონი და განახორციელებს კომუნიკაციას, ფულის გაცემას როგორ განახორციელებს? ეს ხომ გზავნილია, ერთმა გადაუგზავნა მეორეს. ის მეორე ფულის გაცემას როგორ განახორციელებს? მე ასე მაქვს წამოდგენილი, რომ ადამიანი არის მობილური, დადის აქეთ-იქით, უდევს ფული და როდესაც მოვა ეს გზავნილი, მერე აიღებს და ფულს მისცემს მეორე ადამიანს. ხომ სწორია და ეხლა რა უშლის მაგამი ხელს? ეხლა ხომ შეიძლება იგივე განახორციელოს?

ნიკოლოზ ლოლაძე: არალეგალური სისტემა, ხომ შეიძლება?

გიორგი ალხაზიშვილი: არა, მოდელს ვამბობ, არ შეიძლება ფიზიკურმა პირმა, ვთქვათ მოილაპარაკოს მეორე ფიზიკურ პირთან, ეს ადრეც მუშაობდა საბჭოთა კავშირის დროს, ვთქვათ, ბებია ყავდა მოსკოვში

ნიკოლოზ ლოლაძე: რა თქმა უნდა, ეს არის ალალეგალური გადაგზავნილი ფულის

გიორგი ალხაზიშვილი: ანუ რომ ადამიანს აქვს ჯიბეში ფული, თქვენი აგენტია, იღებს მობილურში რაღაც შეტყობინებას, მერე ვთქვათ მეორე ადამიანი, ვისაც ფული უნდა მისცეს, იმისგან რაღაც იდენტიფიკაციას იღებს, გატყობინებთ რომ ეს მოხდა, და მერე აძლევს ფულს. ასეა?

ნიკოლოზ ლოლაძე: მარტივად ასეა, დადის და ჯიბეში ფული აქვს, გამარტივებული მოდელია.



გიორგი ალხაზიშვილი, E-Money.ge (ცენტრში)

გიორგი ალხაზიშვილი: თუ არ დადის და სადმე ზის, ე.ი. ფართიც აქვს, ხომ? და თუ ფართი აქვს, ე.ი. კომპიუტერის დაყენება, რომელიც შეგვიძლია გავაიგოვოთ უკვე მობილურთან, რომელიც უკვე მობილურია თუ კომპიუტერი ვერ გაიგებ, ამ შემთხვევაში, იმიტომ, რომ თუ ძლიერი მობილურია, შეიძლება ითქვას რომ კომპიუტერიც არის. ამაში წინააღმდეგობას და კამოს ვერ ვხედავ, შეიძლება იყოს ეს დესკტოპიც და ლეპტოპიც. რაც შეეხება, პრინციპში უკვე, თუ ზის

იქ სადღაც ოთახში, იქ საბეჭდი მოწყობილობის დადებაც, მე მაგაში რაღაც დიდ პრობლემას ვერ ვხედავ.

ნიკოლოზ ლოლაძე: როდესაც 2000 აგენტი გყავს, 2000 საბეჭდი მოწყობილობა საკმაოდ დიდი ბარიერია ბიზნესისთვის, და როდესაც რეალურად ამის საჭიროება შეიძლება არ არსებობდეს

გიორგი ალხაზიშვილი: ჩეკი, რაღაცა საჩეკო მომსახურება ხომ უნდა არსებობდეს, ან რაღაც ფულის გაცემის

ნიკოლოზ ლოლაძე: ჩეკის გაცემა, უფრო ინერციაა, შეიძლება არ არსებობდეს, და ეს ელექტრონულად ხდებოდა.

გიორგი ალხაზიშვილი: ვინმე რომ აღმოჩნდეს ადამიანი, ვისაც ფული უნდა მიეღო და ითქვას რომ არ მიმიღია, მერე მაგას რას უშვრებით, როგორ ადგენთ? უბრალოდ მაინტერესებს რაღაც მომენტები კარგად არ მესმის და.

არჩილ ბაკურაძე: ძალიან საინტერესო თემას, შეეხეთ რაც შეეხება საბუთს, რაც არსებობს გარემო, შეიძლება ამაზე ნებისმიერი კომპანია მოერგოს და იმუშაოს მისი რისკის ფასად და თვითონ შეაფასოს რისკი და მე ვიტყვოდი, რომ არავინ არ უშლის პრინციპში რომ ეს აქტივობა წარმართო, მაგრამ აჯობებდა, რომ იყოს ყველაფერი გარკვეული და პროგნოზირებადი. შეიძლება რაღაც პრინტერების ყიდვაც, მაგრამ ტყუილად უნდა იდოს იქ და აი ამ საკითხის მოგვარება გვინდა ხომ.

რაც შეეხება ჩეკს, თუ ფოკუსირებას გავაკეთებთ მის დანიშნულებაზე, რა მიზანს ემსახურება, ანუ აღრიცხოს შემოსავლები სავაჭრო ობიექტისათვის, ხოლო მეორეს მხრივ, აღჭურვის მოხმარებელი დამადასტურებელი საბუთით. მოახდინა გადახდა ხომ? ანგარიშსწორება შეასრულა, თუკი ამის საშუალებას ვვამდევს ელექტრონული სისტემა, რა საჭიროა ქალაქზე ამის გაცემა?

მე ლევანსაც ვთხოვდი გააკეთოს კომენტარი; არსებობს ელექტრონული საბუთის შესახებ კანონმდებლობა, რომელიც კარგად განსაზღვრავს ამას. უბრალოდ უნდა ახსნილ იქნას ის, რომ ნებისმიერი ტრანზაქციის შემდეგ, მომხარებელმა უნდა მიიღოს ელექტრონული მოკლე ტექსტური შეტყობინებით ინფორმაცია, სადაც იქნება მოცემული ტრანზაქციის განხორციელების თარიღი, დრო, რომელ აგენტთან განხორციელდა ტრანზაქციის მოცულობა და ყველაფერი რაც მნიშვნელოვანია. შესაბამისად ეს ინფორმაცია ტრანზაქციაზე არის მოთავსებული სერვერზე და დაცულია, მერწმუნეთ საკმაოდ კარგად. ამიტომ ექვემდებარება ნებისმიერ ანალიზს. ამიტომ პრინციპში თავის დანიშნულებას ელექტრონული საბუთებიც შეასრულებს.

და რა ვიცი უფრო მეტად საინტერესოა იურისტების მოსაზრება ამ საკითხზე. შექმნის პრობლემას თუ ვთქვათ ასეთი ოპერირების დროს არ იქნა ქაღალდზე, ბეჭდვითი ფორმით წარმოდგენილი ქაღალდი.

ლევან ნანობაშვილი: საქართველოში არსებობს კანონი ელექტრონული ხელმოწერების შესახებ. დღეს უკვე ითქვა რომ ეს კანონი რეალურად არ არის ამოქმედებული, გამომდინარე იქიდან რომ არ არის ტექნიკური ბაზა. ამას სჭირდება შესაბამისი უზრუნველყოფა, სჭირდება კომპიუტერული პროგრამები, სჭირდება მოწმობები, იდენტიფიკატორის გამცემი პირები, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი ეს სისტემა ჯერ ჯერობით არ არის დანერგილი. მაგრამ სისტემა არის საკმაოდ რთული და აი ამ ყოველ გადარიცხვის დროს, მე ამ შემთხვევაში აჩივოს ალბათ ვერ დავეთანხმები, რომ ყოველი გადარიცხვის დროს ელექტრონული საბუთის გამოყენება, საქართველოს კანონმდებლობით როგორც კანონში არის მითითებული, საერთოდ ეს არის ციფრული ხელმოწერა და ეს არის კოდირებული, უნდა იყოს პროგრამის მეშვეობით დაშიფრული და მას უნდა ჰქონდეს ღია გასაღები, უნდა იყოს დახურული გასაღები და ეს ტექნოლოგია არის საკმაოდ რთული და ეს სისტემას ისე გაართულებს, თუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იგივე ჩეკის ნაცვლად, მოხდება აი ამ ციფრული ხელმოწერით საბუთის გაცემა. ეს ალბათ ტექნიკურად ძალიან რთული იქნება.

ნიკოლოზ ლოლაძე: ციფრული არა და ელექტრონული ხელმოწერის ცნება რომ გამოვიყენოთ

ლევან ნანობაშვილი: ელექტრონულ საბუთს ხელმოწერას, რაც ეხება, ელექტრონული ხელმოწერა არის უფრო ნაკლები სამართლებრივი ძალის მქონე. თუ ციფრულის შემთხვევაში ციფრული უტოლდება იგივე საბუთს, დოკუმენტურ საბუთს ელექტრონული ხელმოწერა შეიძლება იყოს დასკანერებული საბუთი, რომელსაც იმეილით ვილაგას უგზავნი, მაგრამ კანონის მითითებით ელექტრონული საბუთის ძალა არის თუ არა, არის დამოკიდებული მხარეთა შეთანხმებაზე, ანუ ჩვენ ორმა კომპანიამ შეიძლება ხელი მოვაწეროთ ხელშეკრულებას, და მე ის გადავგზავნო დასკანერებული ფორმით, მაგრამ ეს არის მხარეთა შეთანხმებაზე დამოკიდებული.

ნიკოლოზ ლოლაძე: შესაძლებელია თუ არა ასეთი შეთანხმება მარეგულირებელთან?

ლევან ნანობაშვილი: მარეგულირებელთან ალბათ არა, თუ არ იქნება ეს საკანონმდებლო დონეზე მოწესიგებული, ანუ ამ შემთხვევაში ეს უნდა იყოს დადგენილი

არჩილ ბაკურაძე: შემაჩერეთ თუ ამაზე უკვე ისაუბრეთ - რაც შეეხება ელექტრონულ ხელმოწერას, ციფრულ ხელმოწერას. ამის საშუალება არის ანუ თანამედროვე სისტემები იძლევა PKI სტანდარტით, ტრანზაქციის განხორციელებას, ყველა ტრანზაქცია არის ხელმოწერილი, ხელმოწერა ხდება როცა პინ კოდს შეიყვანს. თუ ადამიანი გააჩნია ტერმინალი, მობილური ტელეფონი, და მას თავისი იდენტურობის განმსაზღვრელი ციფრული მონაცემები აქვს და მას გააჩნია უნიკალური პინ კოდი, რომელიც მხოლოდ მან უნდა იცოდეს, საქართველოში როგორც წესი ასე არ არის და ამას ჩვენ ეხლა ვსწავლობთ და ვცდილობთ მოვერგოთ. შესაბამისად, ნებისმიერი ტრანზაქცია იქნება ავტორიზებული ხელმოწერით, ხოლო ტრანზაქციის დაცულობის კუთხით იქნება ტექნოლოგია გამოყენებული, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს ამ გზავნილის გაყალბებას სანამ ის მივა სერვერამდე. შესაბამისად დაცული სისტემაა, ეს არის მთავარი, შესაბამისად მისი სისწრაფე, მოქნილება, დაცულობა ადგილზეა. ხელმოწერის გაკეთება შესაძლებელია, პრინციპში არაფერი არ უშლის ხელს რომ ამაზე გადავიდეთ უკვე ტექნიკური თვალსაზრისით,

გიორგი ალხაზიშვილი: ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებით მინდა განვმარტო ცოტათი, იმიტომ, რომ მეც მაქვს ეს კანონმდებლობა წაკითხული. როცა საუბარია ტექნიკურ პრობლემებზე, მანდ საუბარია უფრო საჯარო მოხელეებთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ თუ არ არის საჯარო მოხელე მაშინ არა სერთიფიკატის, არამედ მოწმობის გამოყენება და მოწმობის გაცემა, ელექტრონული, ციფრული ხელმოწერის მოწმობის გაცემა შეუძლია ნებისმიერ პირს, ისეთსაც, რომელიც არ არის არანაირად სერტიფიცირებული და არც არაფერი და შეიძლება ეს მოწმობა არსებობდეს და ამ მოწმობაზე

დაყდრნობით ააწყოთ ხელმოწერები. ეს ერთი. მეორე, იგივე კანონში არის თუ არ ვცდები, 16 მუხლის 1 პუნქტია თუ არ ვცდები, სადაც წერია რომ ელექტრონულ დოკუმენტს აქვს იურიდიული ძალა თუ ეს დოკუმენტი ყოველთვის ხელმისაწვდომია. და პრინციპში რეესტრი ასე მუშაობს, მაგ პრინციპით მუშაობს. ასე რომ მაგ თვალსაზრისით პრობლემას ვერ ვხედავ. თან ისიც უნდა გავითავალისწინოთ, რომ ჩვენს რომ გასცემს ორგანიზაცია, ეგ არის პრინციპში საბუთი რომ მან ეს ტრანზაქცია ჩაატარა. და რეალურად ხელმოწერა საჭიროა ორგანიზაციის. ელექტრონულ ხელმოწერას თუ განვიხილავთ, და არა პიროვნების და თვითონ ორგანიზაციის ხელმოწერა, თვითონ ორგანიზაციის შიგნით, ხელმოწერის წყობას მარტივად გააკეთებს, არა მგონია, რომ თუ ჩაიდო ინვესტიციები დაცულ სერვერებზე, ეხლა, ციფრული ხელმოწერის ინფრასტრუქტურაში არ ჩადება სისულელე იქნება.

ნიკოლოზ ლოლაძე: დიდი მადლობა დაზუსტებისთვის, ბატონო რეზო გთხოვთ.



რეზო ორმოცაძე, USAID (მარჯვნივ)

რეზო ორმოცაძე: მე

კანონმდებლბასთან დაკავშირებით არა ამქვს შეკითხვა. უბრალოდ, თვითონ სისტემასთან დაკავშირებით, და როგორც ვიცი, ასეთი სისტემა ბევრ ქვეყანაში კარგად არის განვითარებული. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი არის კენია და მნიშვნელოვანი პრობლემა რაც ჰქონდა ამ სისტემას, არის აგენტებთან დაკავშირებით და ბოლო სტატია როცა ვნახე მე ეხლაც დგას ეგ პრობლემა და რა სახის პრობლემაა:

ისე სწრაფად განვითარდა სისტემა, რომ ქსელი აგენტების არ ყავდათ ასე მზად; იქ აგენტების როლს, მე როგორც ვიცი, სოფლებში ასრულებენ მალაზიები. ამ აგენტს არ ჰქონდა ეს ელექტრონული ფული, ან ფული როცა მინდოდა განაღდება, არ ჰქონდა ყოველთვის ასეთი ფული. თქვენ როგორ აპირებთ, საიდან იწყებთ, დიდი სოფლებიდან იწყებთ, როგორ წარმოგიდგენიათ, მარტივად შეგიძლიათ გვითხრათ, როგორ ხედავთ, ვთქვათ მოგვარდა ყველა საკანონმდებლო საკითხი. როგორ აპირებთ ამის განვითარებას, მარტივ დონეზე, მე ვცხორვობ ვთქვათ რომელიმე სოფელში, და საბანკო მომსახურება არ არის, როგორ ვისარგებლებ მე ამ მომსახურებით?

ნიკოლოზ ლოლაძე: მაშინ მე ძალიან მოკლედ არჩილს ვთხოვ პასუხი გასცეს ამ შეკითხვას, მინდა რომ დავაზუსტო, რომ ჩვენი დღევანდელი შეხვედრის მიზანი არის იურიდიულ რეგულირებაზე საუბარი, და ასე ვთქვათ თხოვნა მექნება, რომ სხვა მიმართულებით საუბარს თავი ავარიდოთ და ჩვენს ძირითად თემას დავუბრუნდეთ შემდეგ.

არჩილ ბაკურაძე: ტექნოლოგიური ასპექტებიც მნიშვნელოვანია. მე მადლობელი ვარ შეკითხვისთვის. ჩვენს გონებაში ეს ყველა საკითხები გადაწყვეტილია, იმიტომ, რომ ვიცით, გამოსავლები, მაგრამ თუ ჩვენს კოლეგებს შეკითხვები აქვთ, ეს შეკითხვები მოდის კანონმდებლობაზე. ამიტომ მოკლედ შევეხები აგენტების თემას. აგენტების ქსელის აწყობა ადვილი საქმე არ არის, და ერთ ერთი გამოწვევაა ამ პროექტის მართვისას, რათქმაუნდა. ამიტომ ჩვენ გვაქვს მეთოდოლოგიები, მუშაობა წარმართა იმაზე თუ როგორ უნდა იყოს აგებული ეს სისტემა. ინტუიტიური პროცესი, რომელიც ასე ვთქვათ თვითონ პროცესი გიჩვენებს. ნებისმიერი ქსელის განვითარების პროცესი გვიჩვენებს მას, და უბრალოდ გამორიცხულია, რომ ოპერირების პირველ ხანებში არ იყოს ნაღდი ფულის პრობლემა. იქნებთან აგენტები რომლებიც არიან ნაღდი ფულის დეფიციტური, იქნებთან აგენტები რომლებსაც ზედმეტი ნაღდი ფული აქვთ. იდეალურ შემთხვევაში რომ ავილოთ სოფელი, ნახევარ სოფელს უნდა, რომ ფული შიტანოს აგენტთან ხოლო ნახევარ სოფელს უნდა, რომ ფული გაიტანოს აგენტისგან, და დღის ბოლოს ნახევარი მოვა და შემოიტანს ფულს და

ნახევარი გაიტანს, ყველა იქნება კმაყოფილი და აგენტებიც კმაყოფილი იქნება; წავა სახლში ყოველგვარი პრობლემის გარეშე.

ნიკოლოზ ლოლაძე: საკომისიოებით...

არჩილ ბაკურაძე: იმის მაგივრად, რომ მთელ სოფელს გამოეყენებინა ავტობუსი და ემგზავრა, წასულიყვნენ ბანკში და დამდგარიყვნენ რიგში, ამ შემთხვევაში მთელი სოფელი, ტრანზაქციებს დაასრულებს იქვე აგენტთან. თუ ამ აგენტს დარჩა მეტი ნაღდი ფული, ან თუ მას აღმოაჩნდა დეფიციტი, მას დასჭირდება ხვალ, დეფიციტურია და სჭირდება მეტი ფული, მაშინ მხოლოდ ერთი აგენტი წავა უახლოეს ქალაქში და მოახდენს ამ თანხის შევსებას ან განაღდებას. ასე მუშაობს სააგენტო სისტემა. პასუხი იმაზე, თუ რა იქნება წარმატებული საქართველოში, სააგენტო ქსელის ფორმულა, ამაზე პასუხი ჯერ-ჯერობით არ არსებობს, მაგრამ მე იმედი მაქვს რომ თუ ჩვენ ერთი წლის მერე კიდევ შევიკრიბებით, მე ამის შესახებ უფრო მეტის თქმა შემეძლება.

და მე დავამატებ, ისევ ფორმულირება მინდა გავუკეთო, მოკლედ ამას, ანუ დიახ იქნება პრობლემები, გარკვეულ შემთხვევებში იქნება პრობლემები ნაღდ ფულთან დაკავშირებული, მაგრამ ეს არის ბიზნესის ხარისხის თემა და არა კანონმდებლობის თემა, ანუ კანონის დაცვის ან არ დაცვის. უბრალოდ, ის მომხარებელი რომელიც ვერ მიიღებს რომელიღაც აგენტთან თანხას, მისთვის გადმორიცხულს იქნება უკმაყოფილო. უფრო სწორად, ეს გადარიცხვა ვერ განხორციელდება, თუკი შესაბამის აგენტს არ გააჩნია შესაბამისი ნაღდი ფული.

ნიკოლოზ ლოლაძე: კი ბატონო ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ბიზნესმა თავისით უნდა გადაწყვიტოს და შესაბამისად ამ პრობლემას მოუაროს.

გიორგი გაბრიელაშვილი: თუ შეიძლება ძალიან მოკლედ დავამატებ, სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ეხლა მუშაობს საკანონმდებლო სისტემაზე, რომლის თანახმადაც სოფლიდან შესაძლებელი იქნება საჯარო სერვისების მიღება ან სოფლის რწმუნებულების საშუალებით ძალიან ბევრ საჯარო სერვისზე განაცხადის გაკეთება და ერთ ერთი პრობლემა დადგა, სერვისები, რომლებიც ფასიანია სახელმწიფოსგან., როგრო მოხდება სოფლიდან გაუსვლელად გადახდა; ამ თვალსაზრისით, ძალიან მოხერხებული იქნება რეალურად ეს სისტემაც მოგვარდება და სრულფასოვანი სერვისი საერთოდ სოფლიდან გაუსვლელად საჯარო სექტორიდან რაც ფასიანია ყველა სერვისის მიღება იქნება შესაძლებელი. ეს მინდოდა აღმნიშნა და იმედი მაქვს კომუნიკაცია გვექნება ჩვენ მომავალში. ეხლა ჩვენ ვგეგმავთ ამ სისტემას და მომავალ წელს პილოტირებას ვაპირებთ რამოდენიმე რაიონში და იმედია გავაგრძელებთ თანამშრომლობას.

ნიკოლოზ ლოლაძე: დიდი მადლობა

არჩილ ბაკურაძე: ბატონი გიორგი გახლავთ იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ძალიან დიდი მადლობა, რომ მობრძანდით და მინდა ავღნიშნო, რომ თქვენი სამსახური კიდევ უფრო საინტერესო შესაძებლობას გვთავაზობს ჩვენ იმ კუთხით, რომ შეიქმნა მოქალაქეთა ერთიანი ბაზა. უკვე ისაუბრეთ ხომ? ასე, რომ ამ კუთხითაც ჩვენი სისტემა აჯობებს მრავალი სხვა ქვეყნის სისტემას, იმიტომ, რომ ამით მოგვარდება იდენტურობის გაყალბების პრობლემა.

ნიკოლოზ ლოლაძე: კიდევ თუ გსურთ აგენტების თემაზე საუბარი?

აკაკი ჩარგვიშვილი: ამ აგენტთან დაკავშირებით თქვენმა იურისტებმა აბსოლუტურად სრულად აღნიშნეს, ის რომ ბევრი რამ მოუწესრიგებელი და დაურეგულირებელია და ნამდვილად ასეა. ამიტომ ბევრი პასუხი არ არის, მაგრამ წმინდა იმ ხედვიდან გამომდინარე, რომ ამ აგენტის სტატუსზე ვსაუბრობთ, ჩემი აზრით თქვენი ხედვაც საინტერესო იქნება, რომ რაღაცას პასუხი გავცეთ. არსებობს საგადასახადო რისკები, პასუხისმგებლობები, ვალდებულებები, თანამშრომლობის შრომითი კანონი და ა.შ... ეს იქნება თქვენზე დამოკიდებული თანამშრომლები თუ დამოუკიდებელი, არსებული ქსელები. აი ამაზე თუ ვისაუბრებთ

და ზღვარს გავავლებთ, თქვენს მინუს-პოლიუსებს შეაფასებთ, რა თქმა უნდა გადააფასებთ და შედეგი დაგიდგებათ ჩემი აზრით სამართლებრივად უფრო გამართული.

ნიკოლოზ ლოლაძე: ზოგადად ამაზე პასუხი ის არის, რომ ყველანაირი მოდელი არის შესაძლებელი. რომელი იქნება ოპტიმალური, საბოლოო ანალიზის შედეგად არ ვიცი. ალბათ ეხლა კონკრეტულად ვერ გეტყვით ასე, განვიხილავთ სხვადასხვა



აკაკი ჩარგეიშვილი, Nova Technologies (ცენტრში)

პრობლემის იდენტიფიკაციისთვის, რომელზეც შეიძლება როგორც ბიზნეს მოდელის, ერთ ერთ შემადგენელ ნაწილზე ვისაუბროთ

ნიკოლოზ ლოლაძე: რა თქმა უნდა, კიდევ თუ გაქვთ შენიშვნები ან კითხვები?

Conan French: I hope you forgive me if I speak in English. My name is Conan French and I represent mobile payment network MobiPay with our partner Geocell. I just want to thank Nikoloz and Archil for convening this meeting. I think you have identified many important benefits which mobile channel can bring to rural citizens of Georgia. We have enjoyed working with Crystal and MFE as we look together as we can come to some solutions in this area. It was an important discussion at a granular level today. There have been specific questions asked and I join Archil's earlier call for clear and concise predictable legislation in this area. I think this is within interest of everybody to balance a support with the interest of protecting Georgia's citizens having KYC and other processes in place and balancing this of course with the benefits which innovation and technology can bring to all of the institutions and citizens of Georgia in this area. So thanks you very much for convening this meeting and for tackling these questions as we look for answers today.



კონან ფრენჩი, მამუკა ლონჯანიძე, MobiPay

აკაკი ჩარგეიშვილი: რისკების შეფასების მექანიზმი მე როგორც ვხედავ ჯერ არ აგიმუშავებიათ;

ნიკოლოზ ლოლაძე: არა რა თქმა უნდა, ჩვენ ამ რისკებზე ძალიან ბევრს ვფიქრობთ და ვსაუბრობთ. საბოლოო ჯამში ამ ანალიზის შედეგად, იქნება შერჩეული ის მოდელი რომელსაც ჩვენ ავირჩევთ.

ნიკოლოზ ლოლაძე: ანუ ძალიან დიდი მადლობა ამ ერთ-ერთი

მამუკა ლონჯანიძე: არ ვიცი საჭიროებს თუ არ საჭიროებს, ყველამ გაიგო მე მგონი. დიდი მადლობა მოწვევისთვის, ჩვენ წარმოვადგენთ კომპანია „მობი ფეის“, რომელიც ამ დარგში ვმუშაობთ და საკმაო გამოცდილება გავვაჩნია ფონდ „კრისტალთან“ თანამშრომლობის საკითხები, რომელიც დღეს იყო განხილული ძალიან საინტერესოა, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს გარკვეულ წვლილს შეიტანს

ქართული ეკონომიკის განვითარებაში და მათ შორის ცალკეული პიროვნებების ცალკეულ პრობლემებს გადაწყვეტავს, ამიტომ ჩვენ მზად ვართ შემდგომი მონაწილეობის მისაღებად, შესაძლო წვლილის შესატანად და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, მოწვევისთვის და საშუალებისთვის რომ მოგვესმინა ასეთი საინტერესო დისკუსია.

ნიკოლოზ ლოლაძე: ალბათ დროა გადავიდეთ შემდეგ თემაზე, რომელიც იყო ხაზგასმული მიმოხილვაში, ეს არის ვალუტის გადაცვლა.

Q რამდენად შეიძლება შეაფერხოს ვალუტის გადაცვლის საკითხებზე არსებულმა კანონმდებლობამ მოზილური ფინანსური მომსახურების ის ნაწილი, რომელიც ფულისხმობს საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილის განხორციელებას?

ნუგზარ მურუსიძე: იმ წესში, რომელიც არეგულირებს ფულადი გზავნილების განხორციელებელ პირებს, არის ასეთი ჩანაწერი, რომ მათ შეუძლიათ განახორციელონ სხვა საქმიანობაც, რომელიც საჭიროებს საფინანსო ზედამხედველობის სამსახურში რეგისტრაციას... ანუ ვალუტის გადამცვლელ პუნქტად დარეგისტრირდეს. წელან იყო საუბარი, რომ დარეგისტრირდება ვალუტის გადამცვლელ პუნქტად თუ არა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ გარკვეული ოპერაციების განხორციელების უფლება აქვთ; ჩვენ გვყავს დარეგისტრირებული უამრავი ფიზიკური და იურიდიული პირები ვალუტის

ნუგზარ მურუსიძე: „ჩვენ გვყავს დარეგისტრირებული უამრავი ფიზიკური და იურიდიული პირები ვალუტის გადამცვლელ პუნქტებად, რომელთათვისაც ეს საქმიანობა, ვალუტის გადაცვლა, დათვლა, ყიდვა-გადაყიდვა არის დამატებითი საქმიანობა“.

გადამცვლელ პუნქტებად, რომელთათვისაც ეს საქმიანობა, ვალუტის გადაცვლა, დათვლა, ყიდვა-გადაყიდვა არის დამატებითი საქმიანობა. მათ შეუძლიათ სხვა საქმიანობაც აწარმოონ. იქ არის საუბარი აი ეს პუნქტი, სადაც ეს ვალუტის ოპერაციები ხორციელდება, იქ არ უნდა ხდებოდეს შაქრის, ჩაის, პურის, ყველის და ღვინის გაყიდვა, ამაზე საუბარი და არა იმაზე, რომ მას საერთოდ აკრძალული აქვს. ამიტომ შეიძლება დღევანდელი კანონმდებლობის

პირობებში, ასეთი რამე თუ გინდათ უნდა დარეგისტრირდეთ ვალუტის გადამცვლელ პუნქტად და სრულად განახორციელებთ იმ კონვერტაციის ოპერაციებსაც. აქ ეხლა არის ერთი რაღაც, რომ იქ მოხდება მხოლოდ ნაღდი ვალუტის გადაცვლის ოპერაციები, ჯერ ჯერობით მხოლოდ ასეთი აჩანაწერი არის. ნაღდი ვალუტის გადაცვლის ოპერაციების უფლებას იძლევა, ეს ჩვენი დღევანდელი მოქმედი წესი. მაგრამ ესეც არ არის ჩემი აზრით დიდი პრობლემა, აგენტებს თუ არ ექნებათ ნაღდი ფულის პრობლემა, მაგასაც განახორციელებენ. მაგის მოფიქრება არ არის დიდი პრობლემა და არც კანონმდებლობა არ გიქმინით ისეთ ბარიერებს, რომ ვერ გააკეთოთ.

ნიკოლოზ ლოლაძე: მოდით ცოტა ისევ დეტალებს ჩავუღრმავდეთ მაშინ. ხდება გადარიცხვა ვთქვათ საბერძნეთიდან საქართველოში, ჩამოდის 200 ევრო. პირს უნდა მიღება შესაბამისი ექვივალენტით ლარებში. 2 ვარიანტი: გადარიცხვა მოხდება ელექტრონულად და ის დარჩება ელექტრონულად მომხმარებლის ბალანსზე, ლარებში იქნება აღრიცხული უბრალოდ. ან აგენტი გასცემს ამ ფულს ნაღდი სახით. ორი ვარიანტი გვაქვს. მეორე ვარიანტი რომ განვიხილოთ ნაღდი ფულით გაცემული თანხა, ჩაითვლება თუ არა ეს ვალუტის გადარიცხვად ნაღდი ფორმით?

ნუგზარ მურუსიძე: რა თქმა უნდა ჩაითვლება

ნიკოლოზ ლოლაძე: თუ ეს არის ორი ოპერაციის ერთობლიობა. ელექტრონული კონვერტაცია და შემდეგ ნაღდი ფულის გაცემა.

ნუგზარ მურუსიძე: მან მიიღო საბერძნეთიდან დავუშვათ 200 ევრო, მივიდა ვიღაც X პიროვნება აიღო ეს იმ აგენტისგან, და 200 ევრო აიღო ნაღდი ფულის სახით ხომ?

ნიკოლოზ ლოლაძე: განვიხილოთ სხვა შემთხვევა. როდესაც არ აიღო ნაღდი ფულის სახით, მას გააჩნია ანგარიში ანუ ის არის დარეგისტრირებული მომხმარებელი და დარჩა მის ანგარიშზე ეს ლარები.

ნუგზარ მურუსიძე: როდესაც მან არ აიღო ეს ფული ნაღდი ფულის სახით დღევანდელი კანონმდებლობით, ის ვალუტის გადაცვლის ოპერაციას ვერ განახორციელებს. თუ თქვენ ერთი და იგივე პირი თუ იქნება დარეგისტრირებული ფულადი გზავნილების განმახორციელებელ პირად და აგრეთვე იქნება ვალუტის გადამცვლელ პუნქტად დარეგისტრირებული, დღევანდელი კანონმდებლობიდან გამომდინარე იმ გადარიცხულ ამ თანხას ვერ დაუკონვერტირებს მას ლარებში როგორც ვალუტის გადამცვლელი პუნქტი. ამიტომ თუ მას უნდა რომ დააკონვერტიროს მან უნდა გასცეს ნაღდი სახით და უნდა გააკეთოს კონვერტაცია.

ნიკოლოზ ლოლაძე: მერე დააბრუნოს უკან ანგარიშზე

ნუგზარ მურუსიძე: ოღონდ აიღებს ორ საკომისიოს.

ნიკოლოზ ლოლაძე: დიდი მადლობა გასაგებია!

ნუგზარ მურუსიძე: სხვანაირად ჯერ ჯერობით არ გამოდის, ჩვენ ვფიქრობთ მაგ იმაზე და როგორადაც განვითარდება ეს ბიზნესი, მაგის მიხედვით ვნახოთ.

ნიკოლოზ ლოლაძე: რომ არ დარეგისტრირდეს ვალუტის გადამცვლელ პუნქტად? ექნება თუ არა ელექტრონულად ვალუტის გადაცვლის უფლება?

ნუგზარ მურუსიძე: რომ არ დარეგისტრირდეს ვალუტის გადამცვლელ პუნქტად მაშინ დააღვევს კანონს.

ნიკოლოზ ლოლაძე: რატომ? ნაღდი ფულით ვალუტის გადაცვლას ის არ ახორციელებს, რომელ კანონს დაარღვევს?

ნუგზარ მურუსიძე: არა მე არ მითქვავს მაგაზე, თუ არ არის დარეგისტრირებული ვალუტის გადამცვლელ პუნქტად და ის გასცემს ამ ვალუტას, მაშინ დაარღვევს;

ნიკოლოზ ლოლაძე: ვალუტას არ გასცემს...

ნუგზარ მურუსიძე: ვთქვათ თუ ჩაურიცხავს, აღურიცხავს მას თავის ანგარიშზე, მაშინ კანონს არ არღვევს.

არჩილ ბაკურაძე: მოდით დავარღვევთ თვითონ ოპერაციულ მოდელს და უფრო ნათელი იქნება. საერთოდ ჩვენ მოხარული ვიქნებოდით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენი სისტემის ფარგლებში არ ხდებოდეს ვალუტის განაღდება და მხოლოდ და მხოლოდ მომხმარებელს შეეძლოს ეროვნული ვალუტის განაღდება და ასე ვთქვათ, და მისი შესაბამის ანგარიშზე შეტანა.

მაგრამ რა ვქნათ მაშინ, როცა ეს თანხა ჩამოდის ვალუტაში და ადამიანს უნდა მისი განაღდება? მაშინ მას უნდა შეეძლოს სავალუტო ქვეანგარიშიდან ლარის ქვეანგარიშზე მისი გადატანა, ანუ ფაქტიურად ელექტრონული ბრძანების, დავალების საფუძველზე, მისი ერთი ანგარიშიდან, კომპანიის მიერ დადგენილი დღის კურსის მიხედვით, გადაიტანოს მეორე ანგარიშზე, ხოლო განაღდოს მხოლოდ და მხოლოდ ლარი.

შესაბამისად ჩვენს აგენტებს თეორიულად არ უნდა დასჭირდეთ ვალუტის გაყალბების დამდგენი აპარატი იმიტომ, რომ არც კი ექნებათ შეხება უცხოურ ვალუტასთან. ერთადერთი მათ ექნებათ შეხება ქართულ ლართან. აი ეს არის ჩვენი მოსაზრება და გითხრათ სიმართლე ამ ეტაპზე მეტი არც გვინდა და არც იქნებოდა კარგი, რომ ჩვენი აგენტებისთვის მიგვეცა მრავალვალუტიანი ტრანზაქციების გაკეთების საშუალება.

გელა ბუთბაია: ერთი მომენტი რასაც მინდა ხაზი გავუსვა, რომ გზავნილების გადაგზავნა ეს არის მე მგონი სანივთო სამართლის კანონქვემდებარე და საანგარიშსწორებო სისტემა ეს არის ვალდებულებით სამართლის კანონქვემდებარე, აქედან გამომდინარე ფულის გზავნილების გადაგზავნის სისტემები, რომელიც მოქმედებს თბულისში, მე თუ შევიტან დოლარს, იქ მისცემენ დოლარს, თუ შევიტან ევროს იქ მისცემენ ევროს. იმიტომ, რომ ეს არის სანივთო სამართალი; რაც ჩავაბარე ნივთი, ის ნივთი უნდა მისცე იქ მიუხედავად იმისა, რომ ფული ჩავაბარე. საანგარიშსწორებო სისტემა სხვა არის გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში კანონმდებლობით ლარი არის ერთადერთი ანგარიშსწორების საშუალება. აქედან გამომდინარე მე ვერ დავიწყებ დოლარში ვერ გადავურიცხავ მაღაზიას ფულს და ვერ ვეტყვი, რა არის იცით, დააკონვეტირეთ. ეს არის გამოსავალი აქედან.

მეორე მომენტი, გამომდინარე იქიდან რომ სავალუტო ჯიხურების აქტში წერია, რომ მხოლოდ ნაღდი ვალუტაა აქ, და სხვათაშორის ეს კომუნიკაციებსაც ეხება, მე მხოლოდ ანალოგიას ვაკეთებ კომუნიკაციებთან, კანონი არ იწერება, რომ ამის გაკეთება შეიძლება. კანონი იწერება, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება. და ჩვენც იგივე პრობლემა გვქონდა. ოპერატორებს გვეკითხებოდნენ რა გავაკეთოთ? რაც გინდათ ის გააკეთეთ, ოღონდ არ დაარღვიოთ ის რაც არ შეიძლება, და სულ მოდიან და გვეუბნებიან

გელა ბუთბაია: „კანონი იწერება, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება. და ჩვენც იგივე პრობლემა გვქონდა. ოპერატორები გვეკითხებოდნენ რა გავაკეთოთ? რაც გინდათ ის გააკეთეთ, ოღონდ არ დაარღვიოთ ის რაც არ შეიძლება, და სულ მოდიან და გვეუბნებიან პატარა ბავშვები ხომ არ ხართ, გააკეთეთ!“

პატარა ბავშვები ხომ არ ხართ, გააკეთეთ! ღმერთმანი თამასუქის კანონიც არსებობს და ეს აგენტების ინსტიტუტზე ამოვარდება ავტომატურად ელექტრონულად თუ გადააკეთებ. მე ბანკში ვმუშაობდი და იქიდან ვიცი. როცა კანონი იწერებოდა დიდი ომი იყო იმაზე, რომ ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ ბანკს. ეხლა არ წერია ასე კანონში. არ შეუძლია ამის და ამის გაკეთება და საბანკო ინსტიტუტის განმარტება კანონში ცალკე დაიწერა. როგორც კი შენ დეპოზიტს აიღებ ვადიანს, გარკვეული სარგებლის სანაცვლოდ განუსაზღვრელ პირთა

წრისადმი შეთავაზებით ავტომატურად ხდები ბანკი და საბანკო ლიცენზიას ექვემდებარები. მოთხოვო კაცს სავალუტო ოპერაცია შპს-ს არ შეუძლია გააკეთოს. თუკი შეუძლია ფინანსური ოპერაცია აწარმოოს პირმა რომელიც არის შპს, და ფინანსური ოპერაციები თამასუქების ემისია, ისეთი სახით როგორც დღეს ვნახე. დღეს, გუშინ საქართველოში, რატომ თხოვთ იმას იმისთანა პირობას, რასაც თხოვთ ლიცენზირებულ, ფინანსურ ინსტიტუტს, გაუგებარია. მარტივად შეუძლიათ გააკეთონ კონვერტაცია. პრობლემა ეს არ არის. არავინ არ დაიჭერს ამისთვის. დაიჭერს საგადასახადო! საგადასახადოს პრობლემა ეს და არა საბანკო საქმიანობას ეწევი თუ არა. დაჭერით სულ ერთია არ აგცდება, პრობლემა რა მუხლს წაგიყენებენ. საბანკო საქმიანობის დარღვევის თუ საგადასახადო.

ნუგზარ მურუსიძე: ბატონო გელა, ეს ჩვენ ვხვდებით მაგ იმას და გვაქვს კიდევაც მცდელობა, რომ.. მაგრამ რადგანაც ჯერ ჯერობით იმ წესში, რომელიც არის კანონქვემდებარე აქტი და ფაქტიურად კანონის ძალაში ჯერ ჯერობით არ არის შეტანილი ცვლილება, აქედან გამომდინარე ვამბობთ, რომ არ შეიძლება უნაღდო ანგარიშსწორება ვალუტის ვალუტის გადამცვლელ პუნქტში. თორემ მაგას რომ დღეს გარკვეული შემაფერხებელი შეიძლება გახდეს, დღეს კი არა კარგა ხანია.

ნიკოლოზ ლოლაძე: გამოსავალი ის არის, რომ არ დავრეგისტრირდეთ როგორც ვალუტის გადამცვლელი პუნქტი? და ვაკეთოთ ის რაც არ არის აკრძალული კანონმდებლობით.

გელა ბუთბაია: არა მე ვთქვი, რომ კანონი იწერება ასე, მაგრამ არ მოქმედებს ასე. რაც აკრძალული არ არის ამის გაკეთება რომ შეიძლება, ამისთვის თქვენ კონსულტაციას ხომ ატარებთ? ფაქტიურად დღევანდელი შეხვედრაც მაგას ისახავს ხომ მიზნად, რომ საერთო აზრი ჩამოყალიბდეს. ყველაფერს ვერ დაწერ ხომ კანონში, ყველაფერს ვერ აკრძალავ, ყველაფერს ვერ გაიგებ რა უნდა აკრძალო, რა არ უნდა აკრძალო. აქედან გამომდინარე, თქვენ რომ ამბობთ, რომ კანონში ელექტრონული ფული არ არის და მოდი ჩვენ მობილურ გადარიცხვას ვერ გავაკეთებთ, პირველი წინააღმდეგი ეროვნული ბანკი იქნება. რას ამბობთ, ელექტრონული ფული არის საგადასახდელი საშუალება, ვალდებულებით სამართალში შედიხართ და ეს არის ფულის ემისია. ვინ გაგაკონტროლებთ ეხლა თქვენ სისტემამ ემისია დაიწყო ელექტრონული ფულის, როცა ნაღდი ფულის ემისიას ეროვნული ბანკი აკეთებს და მისი ფუნქციაა მხოლოდ ეს. ამის კონტროლის მექანიზმი დაივიწყეთ. ეს აღარ არსებობს არსად. ან არის ელექტრონული ფული. იმ მაგალითზე, სოფელში ნახევარს ფული უნდა, ნახევარს არ უნდა, თუ არ შევთანხმდით მთელი სოფლელები რათ გინდა ის მაღაზიაში რომ აიღე ის აგენტი? აიღე 10 ლარი, რათ გინდა ის 10 ლარი მეზობელს მისცემ? სად წავა ის მეზობელი? ისევ იმ მაღაზიაში მოვა პურს იყიდის. კარგით რა აიღეთ ამ თქვენს მობილურ აპარატზე აკრიფეთ, პურის ფული და გადაიხადეთ იმ მობილური აპარატით. უკეთესი არ არის ამ ფულის თრევა იქეთ აქეთ? 100 წელი არ დასჭირდება ის ნაღდი ფული ამ აგენტს სადღაც სოფელში, სადაც 20 ოჯახი ცხოვრობს და აგენტების ლიკვიდურობის პრობლემა გადაჭარბებულია. ძალიან დიდ ფულიანი მაღაზია უნდა იყოს. ამიტომ კონკრეტულად რა უნდა შევიდეს კანონში, რა უნდა ჩამოყალიბდეს, ის თუ არ ვთქვით, და ზოგადად ყველაფერი უნდა შეიცვალოსო. ეროვნული ბანკი მაგის გულისთვის არ შეცვლის, ინიციატივას არ გამოხატავს იმიტომ, რომ ელექტრონული ფული შემოვიღოთ, იმის გულისთვის რომ მობილური ანგარიშსწორება უნდა იყოს.

გიორგი ალხაზიშვილი: მე როგორც მესმის გზავნილების მოსახურება არის თქვენი მომსახურება, ხომ სწორია? ანუ საბრძნეთიდან თუ გადმორიცხავს რაღაცნაირად თქვენი მომსახურება უნდა გამოიყენოს, ან რაღაც ტერმინალით ან რაღაც ინტერნეტით, მნიშვნელობა არ აქვს. რაღაცნაირად ხომ უნდა შეგატყობინოს, რომ ამა და ამ ევროს სიტყვაზე, ვაგზავნი ამა და ამ სოფელში, ამა და ამ პიროვნებისათვის. თუ თქვენ ვალუტის გეშინიათ, რა გიშლით ხელს, რომ თქვენს პირობაში დააყენოთ, თქვენ რომ ევროს აბარებთ ჩვენ მივიღებთ როგორც ლარს, ანუ კურსით მივიღებთ და გავცემთ საქართველოში ლარს. და საერთოდ არ გექნებათ ამ ვალუტის გადაცვლის პრობლემა. პირობა გექნებათ რომ გზავნილი, სიტყვაზე, 100 ევროს რომ გზავნის იქ იღებს სიტყვაზე, 200 ლარს და თუ თანახმა არის ის საბერძნეთიდან გამომგზავნი, თქვენ აქ გასცემთ იმ ლარებს და დამთავრდება ამით საქმე.

ნიკოლოზ ლოლაძე: კი ბატონო, ეს შეიძლება არის ერთ ერთი გადაწყვეტის მეთოდი, არ ვიცი, ალბათ იურისტებმა უნდა გაგვეცნენ ამაზე პასუხი. რამდენად შეიძლება ასეთი მექანიზმი ჩაითვალოს ვალუტის კონვერტაციად.

გიორგი ალხაზიშვილი: ეგ არ არის ვალუტის კონვერტაცია, ეგაა მოლაპარაკება, პრინციპში კლიენტსა და ფირმას შორის.

გელა ბუთბაია: კონვერტაციად ნებისმიერ შემთხვევაში ჩაითვლება. ბანკში როცა მერიცხება ევროში და მიიღება ლარში გამოტანა ხომ ყოველთვის გატარებაში აკეთებს ორ ოპერაციას., ერთი ანგარიშზე ჩარიცხვა, მერე კონვერტაცია და მერე მულტივალუტური ანგარიში რომ მაქვს ლარში გადმოვა აქეთ. ასე, რომ ყველა ეს დანაწევრებულად აკეთებს და ყველა მემორდატს ელექტრონულად აწარმოებს. ასე, რომ ორი ოპერაციის გაერთიანება მომხმარებლის ცენტრირებული სისტემიდან, ის აინტერესებს იმას, რომ მან მიიღო ეს თანხა ლარში. არ აინტერესებს ამას ბანკი როგორ აღრიცხავს. რას უმატებს რას აკლებს, მომეცი ლარი, კურსით, კურსს დახედა, წერია იქ გადაამრავლა თავის კალკულატორზე, ხო სწორია. პრეტენზია არ მაქვს. მაგრამ სინამდვილეში უკვე ბანკის მხრიდან აღრიცხვიანობა, უკვე ბექ ოფისში რომ კეთდება, იქ უკვე 2 ოპერაციაა, ცალკ-ცალკე კონტროლირდება, მონიტორინგდება და შესაბამისად ანგარიშგება ხდება ბუღალტერიაში. ასე, რომ კონვერტაციის თემას მაინც ვერ აუხვალთ. აქ საუბარია უნაღდო კონვერტაციაზე და არა ნაღდზე, რომელსაც სავალუტო ჯიხური აკეთებს.

ნიკოლოზ ლოლაძე: დიახ, გასაგებია. კიდევ ვალუტასთან დაკავშირებით ხომ არ გაქვთ კითხვები? ბატონმა გელამ საინტერესო თემა წამოჭრა წინა რემარკაში. ეს არის დეპოზიტების თემა.

Q შეიძლება თუ ის თანხა, რომელსაც მობილური გადარიცხვების პლატფორმის ოპერატორი მიიღებს კლიენტისგან, ჩაითვალოს დეპოზიტად?

ნუგზარ მურუსიძე: მე დავიწყებ,

ნიკოლოზ ლოლაძე: ტაიმ-აუტი აილო ეროვნულმა ბანკმა?

შოთა ღვინიაძე: ამაზე პასუხი გვაქვს, მე პირადად მაგთიკომიდან და მერე თუ სხვანაირი იქნება ძალიან გამიკვირდება.

რეზო ორმოცაძე: მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს, გადარიცხვის უფლება, მე მგონი არა აქვთ?

ნიკოლოზ ლოლაძე: აქვთ აქვთ როგორ არა, გადარიცხვის უფლება აქვთ

რეზო ორმოცაძე: ისე დეპოზიტად არ ითვლება, ხომ ისე დეპოზიტის მიღება არ შეუძლია, ხომ მიკრო საფინანსოს. მაგრამ არ ითვლება...

ნუგზარ მურუსიძე: გადარიცხვის უფლება არა აქვთ, ფულადი გზავნილის განხორციელების უფლება აქვთ და არა, გადარიცხვის უფლება ეს სხვადასხვა ის არის.

ნიკოლოზ ლოლაძე: კი, ფულადი გზავნილის განხორციელების უფლება

ნუგზარ მურუსიძე: გადარიცხვა ხდება კონკრეტული პირის კონკრეტული პირის ანგარიშიდან და აქ არის უბრალოდ, მიდის პირი ყოველგვარი იმის გარეშე, რომელიც რიცხავს ფულს, ფულად გზავნილს ახორციელებს და არა, გადარიცხვას.

ნიკოლოზ ლოლაძე: გამიგზავნეთ რომ უთხრათ, გაგიგზავნით... ტერმინოლოგიური პორბლემა



თამარ გოდერძიშვილი,
ეროვნული ბანკი

თამარ გოდერძიშვილი: დეპოზიტთან დაკავშირებით მინდა ერთი-ორი სიტყვით გითხრათ. ანუ რეალურად ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ აღნიშნული საკითხი და ეს სახსრები არ უნდა ითვლებოდეს დეპოზიტად, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ამ სახის მომსახურებას დაარეგულირებს. იქიდან გამომდინარე, რომ დღესდღეობით ამგვარი ნორმატიული ბაზა არ არსებობს, რომელიც სრულიად სხვა სახის მომსახურებას არეგულირებს, ჩვენი კანონმდებლობით და იმ დეპოზიტის განმარტებით, რომელიც მოცემული გვაქვს კანონში, ეს ითვლება დეპოზიტად.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ დღევანდელ შეხვედრაზე რეალურად თუ ჩვენ ვცდილობთ, რომ რაღაც ფინანსური ინსტიტუტი მოვარგოთ იმ საქმიანობას, რომელიც აქამდე არასდროს არ არსებობდა, ანუ ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ აუცილებლად ან ვალუტის პუნქტი უნდა იყოს ან ფულადი გზავნილის განმახორციელებელი პირი და აბსოლუტურად

უპასუხებს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც ამ ახალ საფინანსო მომსახურებას შეიძლება გააჩნდეს. თუმცა იმ საკანონმდებლო ბაზის ფარგლებში, რომელიც დღეს მოქმედებს და ჩვენ გაგვაჩნია, ეს ითვლება დეპოზიტად და არსებობს გარკვეული გამოსავალი როგორ შეიძლება ამ მომსახურების გაწევა ასე ვთქვათ სხვადასხვა საშუალებით როგორც ვთქვათ, იგივე მაგთიკომის შემთხვევაში მოხდა და იმედს ვიქონიებთ, რომ აღნიშნული საკითხის დარეგულირება სამომავლოდ მოხდება კონკრეტულად იმ ნორმებით, რომლებიც ამ მომსახურებაზე და ამ ფინანსურ ინსტიტუტთან იქნება უშუალოდ დაკავშირებული.

ნიკოლოზ ლოლაძე: თუ უფლებას მომცემთ მარტივად ვიტყვი, ანუ დღეს კლიენტისგან მიღებული ფული ჩაითვლება დეპოზიტად, შესაბამისად ასეთი მომსახურების გაწევას შეძლებს მხოლოდ და მხოლოდ ბანკი.

არჩილ ბაკურაძე: ბატონმა გელამ ახსენა თამასუქის თემა, ანუ პრინციპში ამ შემთხვევაში შეიძლება თუ არა ჩაითვალოს გამოსავლად, რომ კონტრაქტმა დააზუსტოს აღნიშნული თანხის სტატუსი, და ის ვერასოდეს ვერ იქნება დეპოზიტი თუ, არ არის სადეპოზიტო დაწესებულება ან ბანკი, შესაბამისად კარგად იქნას აღწერილი, რომ ეს არ არის დეპოზიტი და არის მაგალითად, სხვა, თამასუქი ან რაიმე სხვა ფინანსური ინსტრუმენტი. არის თუ არა ეს გამოსავალი?

და მეორე, ამავე დროს მინდა ასეთი კომენტარი გავაკეთო თვითონ ელექტრონული ფულის ევროპულ განსაზღვრებაზე. იქ ეს არის ნეიტრალური თანხა, ის რაც ძალიან გვჭირდება საქართველოში. ანუ რეალურად ის არც დეპოზიტი უნდა იყოს და არც სხვა რამ. ოპერატორს არ უნდა აინტერესებდეს ამ თანხის ინვესტირება და მისი, ამ თანხის საკრედიტო რისკების საკუთარ თავზე მიღება. ჩვენ არც გვინდა ჩვენს მოდელში დავუშვათ, რომ ამ თანხის მართვა იმ კუთხით, რომ დავუშვათ ამ თანხის ინვესტირება, გასესხება. ეს იქნებოდა ჩემი აზრით მოხმარებლის ფულის რისკის ქვეშ დაყენება. ანუ ჩვენ თვითონ მზად ვართ, რომ ეს თანხა უბრალოდ იდოს იმ ელექტრონული ღირებულების შესაბამისად, ბანკის სპეციალურ ანგარიშზე, რომელიც იქნება მიმოქცევაში ჩვენი სისტემის ფარგლებში. დღევანდელი კანონმდებლობა კი გვიბიძგებს, რომ ამის გაკეთება არ შეგიძლია. ჯობია ამას დაარქვა სესხი, თამასუქი, მისცე მომხმარებელს პროცენტი. ნუ მივცემთ და შესაბამისად % რომ მივცეთ ეს თანხა უნდა განათავსო მომგებიან ანგარიშზე. გამოსავალიც არის, მაგრამ მაინც და მაინც ისეთი კლასიკური, კარგი პასუხისმგებლობის მქონე ელექტრონული კომპანიის მოდელში ეს არ ჯდება. ჩვენ გვირჩევნია ვიყოთ ნეიტრალური. საკრედიტოების უამრავი ორგანიზაცია, ჩვენ მათთან ვთანამშრომლობთ, ჩვენი პატრიონორები არიან და მათ აიღონ საკრედიტო რისკებზე, ჩვენ ეს არ გვინდა პრინციპში. ანუ შევითხვას რომ დავუბრუნდეთ, თამასუქის ფორმით, სესხის ფორმით თუ შეიძლება ამ თანხის მიღება?

გელა ბუთბაია: აქ ახსენეს თამასუქი. მიუხედავად იმისა, რომ თამასუქი ვინაიდან საკრედიტო პირველ რიგში კომერციული, დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების ინსტრუმენტია, რომლიდანაც სხვათაშორის ფული წარმოიშვა, კარგად მოგეხსენებათ. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ანგარიშსწორების და დაკრედიტების აგენტებს შორის ხელშეკრულება, მიუხედავად ამისა, მაინც სადეპოზიტო ინსტრუმენტად გამოიყენება და შეფარული დეპოზიტია, იმიტომ კი არა, რომ ცუდია ან კარგია, იმიტომ, რომ ვითარდება სისტემა, ზოგი რაღაცა იხვეწება, ზოგი რაღაცა მარტივდება, ფართოვდება, ახალი ტექნოლოგიები შემოდის და კანონმდებლობა თუ არ დაეწია, დარჩება უკან და რაღაც ნონსენსები და გაუგებრობები გამოვა. დეპოზიტი რა არის და ა.შ. იგივე რომ ვახსენე მაგალითად, საკრედიტო და საანგარიშსწორებო რისკების გამოიჯვანა რომ მოხდა შტატებში იგივე იქ ცენტრალური ბანკი იქაური არ იძლევა საბანკო ლიცენზიას. იქ ფედერალური დაზღვევის კორპორაციამ თუ დააზღვია, დეპოზიტი მაშინ არის საბანკო ინსტიტუტი და საანგარიშგებო სისიტემა სულ სხვაა. ჩვენთან მცდელობა იყო ამ გამოიჯვნის და ფაქტიურად მაშინ წარმოიშვა პირველად, როგორც მე ვიცი თუ არ ვცდები, საანგარიშსწორებო სისტემა, როგორც დამოუკიდებელი და მითუმეტეს კომუნიკაცია როგორც შრე, როცა საანგარიშგებო სისტემა უნდა გადავიდეს, მივიდეს მომხმარებელთან და არა ელოდოს როდის მოვა მომხმარებელი მასთან. აქედან გამომდინარე, დეპოზიტი, თუ მე საჯაროდ არ ვთავაზობ დეპოზიტის შემოტანას, რაღაც სარგებელს იმ დეპოზიტზე, მაშინ წინააღმდეგ შემთხვევაში მე გადავუხადე მობილურ კომპანიას ფული, ყველანი ამას ვაკეთებთ ბარათით და სხვათაშორის ის დეპოზიტს ეძახის იმას, დეპოზიტზე გაქვსო. რა ვქნათ ეხლა გამოვეკიდოთ და ტყავი გავადროთ, შენ ეროვნული ბანკის ლიცენზია რატომ არა გაქვს? სულ ყველა დეპოზიტზე იღებს. აქედან გამომდინარე, ის დეპოზიტი რა მიზნით გამოიყენება თუ ამას ხაზი არ გაესვა,

უბრალოდ დეპოზიტი ჰქვია. არ ჰქვია საბანკო კანონში. ჰო, დეპოზიტის აღება არ შეიძლება, სესხის აღება შეიძლება, სრული გაუგებრობაა; ორივე სარგებლიანია, ორივე ვადიანია.

ნუგზარ მურუსიძე: მანდ არ ხდება ეს ისა, ხომ ეს უბრალოდ ფული, და ის ფული არის თვითონ ამ ფირმისთვის, უსარგებლო ფული, გარდა იმისა, რომ ის რაღაც გარკვეულ საკომისიოს, იღებს და ამას არ განათავსებს სესხებში.

ნიკოლოზ ლოლაძე: კი, ბატონო პრინციპული თემა არის ხდება თუ არა ამ თანხის დაბანდება კომპანიის მიერ

ნუგზარ მურუსიძე: საკუთრების უფლებას კიდევ იმ განმარტებაში, მე ეხლა იურისტი არა ვარ, მაგრამ როდესაც საკუთრების უფლება გადადის, ჩემი აზრით მერე მისი უკან დაბრუნება ცოტა პრობლემებთან არის დაკავშირებული. ის განმარტება, საკუთრებაში თუ გადმოვიდა ჩემთან ფული, მე რატომ უნდა დავუბრუნე მერე იმას უკან.

არა, მანდ სხვა პრობლემა არის, თეორიული პრობლემა საკუთრების იმაში, მაგრამ აქ ხომ არ ხდება? თქვენთან არ ხდება კლიენტისგან მიღებული ფულის ინვესტირება. არ ხდება არც სესხებში. ამიტომ დეპოზიტის შინაარსიდან გამომდინარე, უნდა იყოს ეს

ნიკოლოზ ლოლაძე: კი, მაგრამ იურისტები გვეუბნებიან, რომ არისო დეპოზიტი

ნიკოლოზ გეგეშიძე: სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ იურისტი. მე ამ თემას გამოვეხმაურები და შევეცდები ჩემეული განმარტება გავაკეთო ამასთან დაკავშირებით, დეპოზიტთან დაკავშირებით ანუ არის თუ არა დეპოზიტი ეს გზავნილი. შევითხვა ხომ ასე მდგომარეობს. მე ვფიქრობ, დეფინიციას რომ ჩავუღრმავდეთ, დეპოზიტის დეფინიციას, კანონში არსებულს აქ არის შესაბამისი ჩანაწერი - პირის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები. ყველა სიტყვას უნდა დავაკვირდეთ ჩემი აზრით. გზავნილი, საბერძნეთიდან იქნება ეს თუ იტალიიდან, ეს არ არის შეტანილი ფულადი სახსრები.



მაღნაზ მაძუა, ნიკოლოზ გეგეშიძე, MFO Crystal

ეს არის თანხა, რომელიც გარკვეული მიზნობრიობით იგზავნება ამა თუ იმ ფიზიკურ პირზე. შესაბამისად, ვერც იმას ვიგულისხმებთ ამ განმარტებაში, რომ აი ამ გზავნილით საკუთრების უფლება გადავიდა კომერციულ ბანკზე ან არასაბანკო, სადეპოზიტო დაწესებულებაზე. არ ვიცი, ვფიქრობ, რომ ერთ შეხვედრაზე ცოტა ძნელი იქნება ამ საკითხზე შეთანხმებ. თუმცა მე ვფიქრობ ამ დეფინიციას არის მარცვლები იმისა, რომ გაღვივდეს

საკითხი და გავცეთ დღევანდელ ჩვენს მასპინძლებს პასუხი, რომ ეს გზავნილი არ ითვლება დეპოზიტად. ასე დარწმუნებით დღეს მე თვითონაც არ შემიძლია ვთქვა. თუმცა, ეს დეფინიცია საკმაოდ ზოგადია და ამაზე კამათიც და მსჯელობაც შესაძლებელია.

ნიკოლოზ ლოლაძე: ქალბატონ თამარს აქვს კომენტარი ნიკას...

თამარ გოდერძიშვილი: უბრალოდ, ერთი რამ მინდა დავაკონკრეტო დეპოზიტთან და ფულად გზავნილთან მიმართებაში. აქ ცოტა აღრევა მოხდა აი ამ მომსახურების ფორმების, რეალურად რაზეც არის საუბარი, რა შეიძლება ჩაითვალოს დეპოზიტად. ეს არ არის ფულად გზავნილებთან დაკავშირებული, ეს

არის ელექტრონულ ფულთან და იმ მომსახურებასთან, რომელიც ელექტრონულ ფულთან არის დაკავშირებული. ამის დაკონკრეტება მინდოდა, რომ აქ უბრალოდ ორი სახის ფინანსურ მომსახურებაზე რეალურად საუბარი. ერთი არის ფულადი გზავნილები ელექტრონული ფორმით და მეორე არის ელექტრონული ფულის გამოშვება და მასთან დაკავშირებული მომსახურება. ჩვენ სწორედ დეპოზიტს უფრო მეორე სახის მომსახურებასთან ვაკავშირებთ და არა ფულად გზავნილებთან.

ნიკოლოზ ლოლაძე: დიდი მადლობა სწორი შენიშვნებისთვის

მანუჩარ ჩიტაიშვილი: თუ შეიძლება კიდევ დეპოზიტთან დაკავშირებით დავამატებ. როგორც დეპოზიტი, ასევე ფულადი გზავნილი არის სამართლებრივი ურთიერთობა, გარკვეული გარიგება და გარიგებაში მხარეები გამოხატავენ თავიანთ ნებას, როგორც ნიკამ აღნიშნა, დეპოზიტის განმარტებაში არის პირის მიერ თანხის შეტანა; ამ ფრაზის მიხედვით იგულისხმება, რომ სადღაც ხდება ამ თანხის განთავსება. რაც შეეხება ფულად გზავნილებს, ეს არის სხვა ფორმის გარიგება, როდესაც პირის მიერ თანხის გაგზავნა



მანუჩარ ჩიტაიშვილი, MFO Crystal

ხდება, პირი გამოხატავს სხვა ნებას და თავისი შინაარსით ფულადი გზავნილი განსხვავდება შინაარსობრივად, არსობრივად განსხვავდება დეპოზიტისგან. თუ ჩვენ ამოვალთ ზოგადი სამართლიდან, რადგან პირდაპირ მარეგულირებელი ნორმა ამისი არა გვაქვს, ეს არის სხვადასხვა სამართლებრივი გარიგება, სადაც მხარეები გამოხატავენ სხვადასხვა ნებას. შესაბამისად, იმის გამო, რომ გარკვეულწილად, ფორმალურად ერთი ურთიერთობა გავს მეორე

ურთიერთობას ფორმის თვალსაზრისით არ შეიძლება ამის გამო მიენიჭოს დეპოზიტის სტატუსი და გადარიცხვის ფორმას, ელექტრონულს თუ ნაღდს, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება ამ შემთხვევაში სტატუსის მინიჭებისთვის.

ნიკოლოზ ლოლაძე: დიდი მადლობა მანუჩარ. ამას ქალბატონმა თამარმა გასცა ფაქტიურად პასუხი, იმიტომ, რომ როდესაც აქ ვსაუბრობდით დეპოზიტზე, ანუ ქალბატონი თამარის განმარტებით, იქ იგულისხმება ძირითადად ელექტრონული ღირებულების საკითხი. საინტერესო არის გადახდების თემა ამასთან მიმართებაში.

არჩილ ბაკურაძე: განვავრცობ ანუ თქვენ სრულიად მართალი ბრძანდებით, რომ ფულადი გზავნილი ვერ ჩაითვლება სხვა რამეა. ელექტრონული ფული მეორეს მხრივ, ახლოსაა დეპოზიტთან იმიტომ, რომ უნდა მოხდეს დეპოზიტირება რაღაც სახსრებისა, თანხებისა, რის საფუძველზეც მოხდება ელექტრონული ღირებულების გაცემა. მაგრამ აქ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, ქალბატონო თამარ, ინსტრუმენტი, არც გზავნილი, არც ელექტრონული ფული. საუბარია გადახდებზე. გადახდას რა ეშველება? როცა საუბარია სავაჭრო ობიექტში გადახდაზე, ანგარიშსწორებაზე, ან კომუნალურ გადახდაზე, ამ ტრანზაქციის შესრულებისათვის თუ ეს ელექტრონულად ხდება, ამ პროცესში თუ რაღაც გარკვეული თანხები დევს, ბანკის სპეციალურ მიმდინარე ანგარიშზე, გვაქვს თუ არა აღნიშნული ტრანზაქციის დეპოზიტთან გაიგივების პრობლემა. ეს საკითხია საინტერესო, სანამ ელექტრონული ფულის დეფინიცია იქნება.

ნიკოლოზ ლოლაძე: ადამიანი მოდის, მისი ნება არის გადაურიცხოს თანხა თელასს.

არჩილ ბაკურაძე: გადაუგზავნოს თანხა თელასს, როგორც გინდათ ისე დავარქვათ. ანუ ამ შემთხვევაში, თუ ის დავალებას იღებს ოპერატორი კომპანია, რომ გაუკეთოს, სერვისი მიაწოდოს ადამიანს, დაეხმაროს მას

ანგარშსწორებაში და საერთოსდ გვანტერესებს ფინანსური მომსახურება, რასაც მერე მოგვინაბებით შევეხებით. ბატონმა გელამ თქვა, საბოლოოდ მაინც საგადასახადოსთან გვექნება საქმე...

ნიკოლოზ ლოლაზე: გაგიზიარებთ, იმედია ამავე დარბაზიდან.

შოთა ღვინიაძე: ორ სიტყვას დავამატებ. ეს დეპოზიტი კი გასაგებია და ჩვენ ბანკთან მოგვიყვანა ამ დეპოზიტის ცნებამ, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ არც ისე ცუდია, რომ ბანკია ამ საქმეში გარეული იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, არავინ არ გვარეგულირებს ჩვენ ამ კოეფიციენტებით და რისი შესაძლებლობაც არის აკეთებს; მეორე, თუ რაიმე არის დაკავშირებული ფულის გათეთრებასთან, ეს ბანკში მიდის პირდაპირ. ანუ გარდა იმისა, რომ რაღაც შეზღუდვას ადებს ის რომ დეპოზიტია და ბანკთან უნდა გქონდეს საქმე, კარგი რაღაცეებიც აქვს რომ ნაკლები რეგოლვერების ქვეშ ვარდება თვითონ, პირდაპირ ოპერატორი.



შოთა ღვინიაძე, Magti GSM

მაგრამ მეორეს მხრივ, თუ ასე მივყვებით და თუ დეპოზიტად ვაქციეთ ყველაფერი, რაც აბონენტს და კლიენტს შემოაქვს თანხა, ბანკს მივეცით ამის უფლება, მე ასე მგონია, რომ მაგალითად, იგივე რაღაცა საქართველოში ვერ იმუშავებს ვერასოდეს. მე მგონი, თუ მეშლება არ ვიცი, იგივე შეიძლება ითქვას ისეთ სისტემებზე, გუგლს აქვს მაგალითად ჩეკაუტი, რომელიც დაახლოებით იგივე სისტემაა. აქ არ ვიცი ეხლა ასეთი რაღაცეები ალბათ საქართველოში ვერ იმუშავებ

იმიტომ, რომ თუ მარტო ბანკი გახდა ფულის ამღები ასე ვთქვათ, მაშინ არ გამოვა ასე, და ზოგიერთი კომპანიები ისე შორს არიან წასულები. ფეისბუქი, ვითომ ფულთან რა კავშირი აქვს, მაგრამ რაღაც კრედიტების სისტემა შემოიღეს და კურსიც აქვთ დაცემული დოლართან. ალბათ ეგენი უფრო სხვა მიმართულებით მიდიან.

გიორგი ალხაზიშვილი: ერთი კომენტარი მაქვს ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ყველა ისე ვასუბრობთ თითქოს ელექტრონული ფულის ცნება უკვე არსებობს. ელექტრონული ფულის ცნება არ არსებობს. ამიტომ როცა ვსაუბრობთ ელექტრონულ ფულთან დაკავშირებით, რომ ითვლება დეპოზიტად, არასწორი დეფინიციაა აბსოლუტურად. დაველოდოთ ამ ელექტრონული ფულის ცნების შემოსვლას და მერე ვისაუბროთ იმ დეფინიციიდან გამომდინარე. თუ იტყვიან, რომ ელექტრონული ფული არის დეპოზიტი, მაშინ ვთქვათ, რომ ეს რა საშინელება უთქვიათ, მაგრამ არ არის ეგ ცნება და ეროვნული ბანკი ამ შემთხვევაში იძულებულია გააკეთოს იმ კანონმდებლობიდან გამომდინარე რაც არის, საწინააღმდეგო რომ თქვას კამათი ამ თვალსაზრისით, არ ღირს.

ნიკოლოზ ლოლაძე: საინტერესო შენიშვნა აქვს ჩვენს იურისტს

თამარ ალავეძე: გამომდინარე იქიდან, რომ ნაკლებად ამ ბოლო წლების განმავლობაში არის ტენდენცია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰაქრმონიზაციისა თუ ამის გათვალისწინებით მოხდება იმ მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობის შემუშავება, შეგვიძლია ვივარაუდოთ მეტი პროცენტულობით, რომ ამ ყველაფრის გათვალისწინებით ეს არ ჩაითვლება დეპოზიტად, ანუ დეპოზიტად არ მიიჩნევა ელექტრონული ფულის ემისია.

ნიკოლოზ ლოლაძე: ძალიან დიდი იმედია, რომ ეს ასე მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული იმ კანონში, რომელიც ახალ წლამდე როგორც ბრძანეთ იქნება მიღებული.

გელა ბუთბაია: ეხალ როცა ემისიაზეა საუბარია, ნაციონალური დონის საგადამხდელო უნივერსალურ საშუალებაზე, ისე ვთქვი და გავაგრძელებ იმ აზრს, რომ ვითარდება ეს სისტემა, იმდენი შესაძლებლობები იქმნება. კანონი როცა არ კრძალავს გონიერი და ასეთი სხარტი მეწარმე ბიზნესმენი ყოველთვის იყენებს ამ სიტუაციას, და ინტელექტუალურ პროდუქტებს, ბიზნესებს ქმნის და ასე აკეთებს. მაგალითად რა არის ზღარბი, და რა არის ვაშლი, მივდივარ მაღაზიაში და ვაშლით ვყიდულობ პროდუქტს რაზეც აწერია 5 ლარი, გვერდზე აწერია 25 თუ რაღაცა ვაშლი, და 15 ზღარბი. ვკითხულობ ზღარბი რა არის გამაგებინეთ. ჩავხედავ კანონში და ვიტყვი ეს კანონს არღვევს საგადამხდელო საშუალება ლარია ქვეყანაში რის ვაშლი. ეხლა მეტყვის, არა ეს ერთი ვაშლი უდროს 25 ლარს თუ რაღაცას, ეს ზუსტად ის ძველი დროა, როცა ფასწარმოქმნა ხდებოდა და ფასდადება, დოლარში და 25 დოლარის ქვივალენტი, რატომ ლარში არა, ეხლა უცბათ ვაშლი გაჩნდა. სხვათაშორის ევროპის ქვეყნებში, გერმანიაში ძალიან ბევრი ისეთი პატარა რაიონებია, სადაც ფული აქვთ საანგარიშსწორებოდ გაკეთებული. ფულს ვეძახით, ანგარიშსწორება შეიძლება, მეტი არაფერი სხვა გაგებით. ეხლა აქ რომ შეეწინააღმდეგო უბრალოდ აზრი არ აქვს, ელექტრონული ფული, იგივე ნორმატიული აქტი, ევროკომისიის რომელიც ელექტრონულ ფულს განსაზღვრავს, პატარა ნაბიჯი იყო მცდელობა იქითკენ წასვლის. რომ დემატერიალიზაცია მოხდეს ეროვნული ბანკის მიერ ლიმიტირებული ქალაქური ფულის, ჩვენი გაგებით ასე, სხვა არაფერი.

ნიკოლოზ ლოლაძე: დრო ძალიან ცოტა დაგვრჩა ჩვენი განრიგის მიხედვით. დავსვავე შემდეგ კითხვას, რომელიც შეიძლება უცნაურიც იყოს, შეიძლება სასაცილოც. მაგრამ კითხვა წარმოიშვა:

Q იქნება თუ არა ეს ყველაფერი, ანუ მობილური ტექნოლოგიების მეშვეობით თანხების გადარიცხვა თუ გადახდები, იქნება თუ არა ეს ფინანსური მომსახურება?

გიორგი ალხაიშვილი: შეიძლება ერთი კომენტარი? უბრალოდ, ამ თქვენს კითხვასთან დაკავშირებით, მე სულ მიკვირს რატომ უსვავთ ხაზს ამ მობილურს. მობილური ამ შემთხვევაში არის საშუალება თქვენი ბიზნესის გაკეთების. ამიტომ ალბათ ასე უნდა დავგესვათ კითხვა: ეს საქმიანობა არის თუ არა ფინანსური მომსახურება?

ნიკოლოზ ლოლაძე: კი ბატონო. ჩვენ მობილურ ტექნოლოგიებს ხაზს ვუსვავთ იმიტომ, რომ ჩვენი პლატფორმა ამას დაეფუძნება. თორემ აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით - ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური შესაძლებლობა.

კახაბერ საკამელაშვილი: ვებ-მანი. მე ვიტყვი თუ შეიძლება ერთს მაგასთან დაკავშირებით. ჩვენ ძალიან ბევრი ვიმსჯელებთ თავის დროზე და იყო ასეთი საკითხი, რომ თუ არ იქნება ფინანსური მომსახურება, მაშინ 18%-ით გვიძვირდება. ანუ რეალურად არ შეიძლება იყოს ერთეული, რომლითაც რაღაცას იხდი და ის უბრალოდ გაძვირდეს 18%. უკვე თავის აზრს კარგავს და შესაბამისად იმას უკვე აღარავინ არ გამოიყენებს, შეიძლება ასე ითქვას. ამიტომ, „ბაფმა“ როცა ჩვენ გავიარეთ ეს კონსულტაცია, პირდაპირ გვითხრა, რომ ეს არის ფინანსური მომსახურება. მაგრამ რამდენად არის...

ნიკოლოზ ლოლაძე: ვინ გითხრათ უკაცრავად?

კახაბერ საკამელაშვილი: ბუღალტერთა პროფესიულმა ასოციაციამ. მაგრამ რამდენად არის ეს კიდევ დიდი საკითხია.

ნიკოლოზ ლოლაძე: ფინანსთა სამინისტრომ რა გითხრათ, ეგ არის მთავარი.

კახაბერ საკამელაშვილი: იქიდანაც ცოტა ისეთი ორაზროვანი პასუხი მოვიდა. ამის კომენტარებს არ შევუდგები, მაგრამ რაც შეეხება ბუღალტერთა პროფესიულ ასოციაციას, იქიდან დეტალურად ზუსტად ასეთი პასუხი მივიღეთ, რომ ეს ნამდვილად ასეა.

ძალიან მაინტერესებს ამაზე პასუხი კომპეტენტური პირებისგან იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენ გავიარეთ და ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია.

ნიკოლოზ ლოლაძე: მე ძალიან ვწუხვარ, რომ დღეს ჩვენ არ გვესწრებიან, სამწუხაროდ, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები ჩვენი დიდი თხოვნის მიუხედავად. ასე, რომ ალბათ მარეგულირებლისგან პასუხს დღეს ვერ მივიღებთ. ალბათ ისევ ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ არის თუ არა ეს ფინანსური მომსახურება.

არჩილ ბაკურაძე: მაინტერესებს, ჩვენი ელექტრონული ფულის კუთხით მეგობრებო და კოლეგებო, როცა საუბარი იყო დღგ-ს დაბეგვრის თემაზე და რა თქმა უნდა თუ ეს ფინანსური მომსახურება არ არის, მაშინ უფრო მეტი შანსია, რომ დღგ-ს დაბეგვრის სუბიექტი იყოს ხომ? ამ შემთხვევაში საუბარი იყო მთელი თანხის 18%-ზე თუ მხოლოდ კომპანიის შემოსავლის ანუ საკომისიოს, მისი მცირე ნაწილის 18%-ზე?

კახაბერ საკამელაშვილი: ანუ იცით როგორ არის? რეალურად ამაზე ჩვენი ჩამოყალიბებული აზრი როგორც ასეთი არ არსებობს. კონკრეტულად როცა ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ აი რაღაცა ერთეული, დავუშვათ ელექტრონული ფული დავარქვათ ასე უხეშად, ვიღაცამ უნდა იყიდოს, თუ იმ ადამიანს ამ ელექტრონულ ფულს 18%-ით გაუძვირებ, ეს რეალურად უკვე აღარ მუშაობს. ანუ აზრს კარგავს კანონიერი ფულის არსი. ეს ერთი რაც მნიშვნელოვანი საკითხია. ეხლა არის მეორე საკითხი, როგორ უყურებს ამას საგადასახადო ორგანო, საიდან უნდა აიღოს?

ნიკოლოზ ლოლაძე: აი იმ პირველ საკითხზე რომ კომენტარი გავაკეთო, შეიძლება? ანუ იმ შემთხვევაში თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ეს არ არის ფინანსური მომსახურება, მაშინ რატომ უნდა გაძვირდეს თვითონ ის ფული 18%-ით, ანუ 18% -ით დაიბეგრება ის საკომისიო, რომელსაც რეალურად ამ გადარიცხვისთვის, ოპერაციისთვის მიიღებს ოპერატორი, ანუ არანაირად არ არის საუბარი არც ერთ შემთხვევაში იმ სრული თანხის 18%-ით გაძვირებაზე.

კახაბერ საკამელაშვილი: კიბდევ ერთხელ ვიძახი, ჩემთვის გასაგები არის ეს ყველაფერი, თქვენი მიდგომა...



კახაბერ საკამელაშვილი, Web-money

ნიკოლოზ ლოლაძე: არა უცნაურია, რომ ბუღალტერთა ასოციაციისთვის არ იყო ეს გასაგები

კახაბერ საკამელაშვილი: მე გეუბნებით პრაქტიკას რაც ჩვენ გავიარეთ და რაზეც ჩვენ გვექონდა საუბარი. ჩვენს შემთხვევაში ამაზე დიდი მსჯელობა მიდიოდა, გაიყო აზრი ორად. იყვნენ ადამიანები, რომლებიც იძახდნენ, რომ მთლიანი თანხიდან უნდა იყოს

18%, მიუხედავად იმისა, რომ ამას არც მე არ ვეთანხმები და ანალოგიური მოსაზრება მაქვს რაც თქვენ; იყვნენ ადამიანები, რომლებიც იძახდნენ, რომ საერთო მოგებიდან იყოს 18%; მაგრამ იყვნენ ადამიანებიც, ანუ მესამე ნაწილი, რომლებიც იძახდნენ, რომ საერთოდ დღგ-სგან გათავისუფლებულია. საბოლოო ჯამში, პასუხი რაც ჩვენ მოგვცეს- გვითხრეს, რომ დღგ-სგან ესეთი ოპერაციები არის გათავისუფლებული. ანუ ეს არის ჩვენი პრაქტიკა. კონკრეტულად რატომ და საიდან გამომდინარე, ეს ძალიან დიდი თემა არის და ამასთან დაკავშირებით სხვა დროს.

აკაკი ჩარგეიშვილი: ეხლა იმის გულისთვის, რომ ვიმსჯელოთ ეს არის თუ არა ფინანსური ოპერაცია, ერთად- ერთი მიზანი არის იმისა, რომ შედეგად მივიღოთ დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელად სუბიექტი უნდა იყოს აღიარებული თუ არა და რა ოპერაციას ახორციელებს. ამ საკითხის მნიშვნელობა გამომდინარეობს იქიდან გადასახადს, და საერთოდ ყველა ამ ტიპის ინსტრუმენტებს, აქვს თავისი ფილოსოფია და ის ისე არ მოსულა ხომ? შესაბამისად, დამატებითი ღირებულების გადასახადის ფილოსოფია ზუსტად ის არის, რომ დამატებითი ღირებულება იქმნება.

მაგალითისათვის: საქონელი ბითუმად როცა გაქვს, რაღაც ღირებულებით შესყიდული და მას ყიდი ანუ საცალო გაყიდვაში, მას დამატებითი ღირებულებას სძენ. რატომ? იმიტომ, რომ ერთიანობაში ის ღირს რაღაც თანხა, მაგრამ შენ ანაწილებ და ყიდი საცალოდ. ამიტომ არის ეს დამატებითი გადასახადი. ეს ძალიან მარტივად ვთქვი ეხლა. აღარ ვადარებ წარმოების და ა.შ. შესაბამისად, ამ სერვისში იმიტომ არსებობს ეს ფილოსოფიური მიდგომა, რომ ეს არის ფინანსური ოპერაცია იმიტომ, რომ დამატებითი ღირებულება აქ არაფერი არ იქმნება.

ანუ რეალურად თქვენ ახორციელებთ მომსახურებას, კონკრეტულს რასაც ქვია ფულის გაგზავნა.

ნიკოლოზ ლოლაძე: არა მგონია, დამატებითი ღირებულება იქმენა ნამდვილად.

აკაკი ჩარგეიშვილი: პროდუქტზე არანაირი დამატებითი ღირებულება არ იქმნება,

ნიკოლოზ ლოლაძე: ეკონომიკაში იქმნება დამატებული ღირებულება, ანუ

არჩილ ბაკურაძე: თქვენ საინტერესო რამ ბრძანეთ. მე ვფიქრობ, აქ უფრო საუბარი არის ვთქვათ მთავრობის პოლიტიკურ ნებაზე. იმიტომ, რომ მართალია ფილოსოფია დღგ-ს განმარტების ეგ არის და შეიძლება ვიმსჯელოთ ფინანსური მომსახურება არის თუ არა დამატებითი ღირებულების შექმნის პროცესი. შეიძლება იყოს, შეიძლება არა. მაგრამ აშკარად კოდექსში განმარტებულია, რომ ფინანსური მომსახურება არ არის დღგ-ს დაბეგვრის ობიექტი.

ნიკოლოზ ლოლაძე: ორი რამ გავმიჯნოთ. იმაზე საუბარი დამატებითი ღირებულება იქმნება თუ არა, მე მგონი, დამატებითი ღირებულება იქმნება რა თქმა უნდა. უბრალოდ ის არ არის დაბეგრილი.

არჩილ ბაკურაძე: „მნიშვნელოვანია რეკომენდაციებში აისახოს, რომ ამ საკანონმდებლო პაკეტში ასევე შევიდეს ცვლილება საგადასახადო კოდექსის შესაბამის მუხლში, სადაც არის განმარტებული ფინანსური მომსახურება და იმ ჩამონათვალს დაემატოს ელექტრონული ფული“.

არჩილ ბაკურაძე: მოლაპარაკება არსებობს, რომ ამ მომსახურებაზე არ იქნება დღგ. შესაბამისად, აქ მთავარი შეკითხვა რაც ნიკამ დასვა ეს არის, ეს ჩვენი საქმიანობა ჩაითვლება თუ არა ფინანსურ მომსახურებად. და ნუ ალბათ თუ ჩვენ გვექნება საშუალება და ფუფუნება იმისა, რომ საქართველოში გქვონდეს სპეციალური კანონი, რომელიც არეგულირებს აი ამ ურთიერთობებს აუცილებელი იქნება და ეს ჩვენი ერთ-ერთი რეკომენდაციაა, რომელიც ამ შეხვედრის შედეგადაც კი მნიშვნელოვანია რეკომენდაციების სიაში აისახოს, რომ ამ

საკანონმდებლო პაკეტში ასევე შევიდეს ცვლილება საგადასახადო კოდექსის შესაბამის მუხლში, სადაც

არის განმარტებული ფინანსური მომსახურეობა და იმ ჩამონათვალს დაემატოს ელექტრონული ფული. ეს მოაგვარებდა პრობლემას და აღარ დაგვჭირდებოდა ამდენი ფილოსოფიის და მოსაზრებების ჭიდილი, რომელსაც თავისი არსებობის უფლება აქვთ. მაგრამ რაც თქვენ ბრძანეთ, ძალიან საინტერესოა. თქვენ წინ უსრებთ ჩვენი ინდუსტრიის მოსვლას, იმიტომ რომ დიდი ხანია არსებობთ და ძალიან საინტერესო ისტორია გაქვთ და ის რაც თქვენ შრომა გასწიეთ ძალიან საინტერესოა ჩვენთვისაც და მიუხედავად იმისა, რომ იქ ორი აზრი იყო, თქვენ მაინც მიიღეთ პასუხი, რომ ვთქვათ არ იქნება ეს პრობლემა. მაგრამ ხომ იცით ჩვენი საგადასახადო კანონმდებლობა როგორია. მაინც ბოლომდე დარწმუნებული არ ხარ, ეს რამდენადმე კომპანიის რისკს აუქმებს და ამიტომ ეს საკითხი ვფიქრობ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აზრიც კი არ აქვს დეფინიციას, თუ ეს საკითხი არ მოგვარდა. ამიტომ, მაინც ბატონი გელას მიერ შეთავაზებულ ადგილას ამოვყავით თავი. რის გამო ამოვყოფთ იქ თავს?

გელა ბუთბაია: საქმე რაშია, რომ 2000 წელს იყო კანონი. ერქვა „კავშირგაბმულობის და ფოსტის შესახებ“. ხაზს ვუსვამ, „ფოსტის. ჩამოთვლილი იყო ბევრი რამ, ქვეპუნქტები. 2003 წელს დაიწერა ახალი კანონი, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ. და ჩაითვალა, რომ ფოსტა არ არის იმისთანა სექტორი, რომელიც რეგულაციას საჭიროებს და ამოვარდა ფოსტა. მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონში ახალში გარდამავალ დებულებებში ეწერა, რომ ფოსტის კანონი უნდა შემუშავდეს, 2008, 2009 და ბოლო-ბოლო 2012 წელს რაღაცა ჩაიწერა. ამ ხნის მანძილზე ყველაზე დიდი პრობლემა და ჩვენ მარეგულირებელი, ვინაიდან ურთიერთობა გვქონდა ფოსტისა და კავშირგაბმულობის დარგში, საერთაშორისო ინსტიტუტებთან, IT კომუნიკაციების დარგში და საფოსტო კავშირი ფოსტის დარგში. წერლი წერილზე მოდის საფოსტო კავშირიდან. ერთადერთი პრობლემა რაც აწუხებთ, ყველაფერი დაასტანდარტიზირეს. სტანდარტიზაცია



გაუკეთეს წონას, რაც ეხება ბანდეროლებს, წერილებს. რა ქნან აღარ იციან. უკვე დაამთავრეს, დაანებეს თავი. ერთად ერთი პრობლემა ფულადი გზავნილი. აი რა უყონ ფულად გზავნილს, რომელიც არის ტრანსნაციონალური ფაქტიურად მომსახურების სახე. აქ დაისვა კითხვა, რა არის ეს ფულადი გზავნილის განხორციელება? არის თუ არა მომსახურების სახე? წარმოიდგინეთ, სანივთო სამართალია. მე ვთქვი და ამ აზრს გავაგრძელებ. მოვიტანე კოლოფი,

ამაში ჩავდე 100 კუპიურა ლარიანი, მივეცი ფოსტის ოპერატორს და ვუთხარი, აი ეს კოლოფი გადაეცი იქ ვიღაცას. მეორე ვარიანტი, ავიღე კოლოფი და 100 ლარის ვაშლი ჩავდე ამ კოლოფში. მივეცი და ვუთხარი, გადაეცი. რა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში ჩაიხედავს შიგნით ბომბს ხომ არ აგზავნის ეს კაცი. ეს კანონით განსაზღვრულია, რომ უნდა ჩაიხედო შიგნით. არაფერი განსხვავება არ არის. როგორც ნივთს აბარებს იქ, მაგრამ ნივთი ერთგვროვანია ეს ლარები. მეუბნება, რომ მოდი რა მაინცდამაინც ამ კოლოფს ნუ წამალბინებ, ნუ მაწვალებ რა, იქ მაქვს კიდეც 100 ლარი და იმას მივცემ იმ შენს კონტრაგენტს, შენს მეგობარს. ეს არის შინაარსი გზავნილების. რა თქმა უნდა, მერე მე ვერ მოვთხოვ რა არის იცი, შენ 100 ლარი გადაგიგზავნია იქ და მოდი და 18% მე გადამიხადე., კარგით რა, ნივთია. ამ მომსახურებაში რამდენი აიღე - 1 ლარი - აი ეს არის დამატებული ღირებულება. ანუ ჩემი ხარჯები, რაც გავწიე და ის გონივრული მიღება რაც მინდა მივიღო, ეს ლარია დამატებითი ღირებულება. იქიდან უნდა გადავიხადო 18%.

ნიკოლოზ ლოლაძე: უნდა გადავიხადო?

გელა ბუთბაია: წესით უნდა გადავიხადო, მაგრამ არ დამიმთავრებია ჯერ. უნდა გადაიხადოთ თუ არა პრაქტიკასა და თეორიას შორის, აკადემიურ იმაში რომ განვიხილოთ ერთია. მაგრამ გარეთ რომ გახვალ და ბიზნესს გააკეთებ, მერე როგორც თქვენ თქვით, ან ის დამიჭერს, ან ის დამიჭერსო, ასეთ შემთხვევასთან

რომ არ გვექონდეს საქმე, პრაქტიკულად უნდა ვკითხოთ ვის, ფოსტას. ფოსტას ძველი მომსახურების სახე აქვს საქართველოში და ერთობლივი კონსოლიდირებული შემოსავლები აქვს. საგადასახადოში რომ მაიქვს რას ეუბნება? ფულადი გზავნილები ეს 100%-დან 20% ფულადი გზავნილებიდან შემოსავალი მაქვს, 80% საამანათე ნივთები რომ გადავიტანე, გაწერილები და რაღაც. შემდეგ იქიდან აქ დამატებით ღირებულებას რომ ვქმნი, მე რომ ვამატებ ზემოდან იმ ვაშლს თითო კილოგრამს. რაღაცა ფული რომ მივიღე იქიდან 18% უნდა გადავიხადო. გასაგებია, საფოსტო მომსახურებაა, ისევე როგორც კომუნიკაცია. აქეთ რას შვრები, თუ გეტყვით ფოსტა, რომ ფულს მახდევინებენ რა ვქნა. ვერანაირად ვერ დავუმტკიცებ საგადასახადოს, რომ თქვენი ფინანსური მომსახურებაა და მართლა ფინანსურია, არ იბეგრება 18%-ით. გაუგებრობა გამოვა ისევ. ასე, რომ აქ ჩვენ თუ გვიპასუხებენ, აკადემიური იმითი გიპასუხებენ და რეალობა გარეთ, სინათლეზე, უკვე სხვა იქნება.

გიორგი ალხაზიშვილი: მე ერთი შეკითხვა მაქვს: ახლანდელი მომსახურებები რომ არის, ისინი ფინანსური მომსახურებაა თუ არა, თუ იცით? მანიგრამი, კონტაქტი, არის უამრავი, ანელიკი, სახალხო აქვს თავისი თუ არ ვცდები.

გელა ბუთბაია: ცალკე მანიგრამის ცენტრი გინახავთ? ბანკის გარეთ არსებობენ დამოუკიდებლად?

ნიკოლოზ ლოლაძე: არსებობენ კი ბანკის გარეთ.

არჩილ ბაკურაძე: ამ შემთხვევაში გზავნილის ყველა სისტემა ასეთ დროს ითვალისწინებს პარტნიორს, საბანკო დაწესებულებას, საფინანსო დაწესებულებას. იმიტომ, რომ სხვანაირად ის ვერ იმოქმედებს და მისი რეალურად კორესპონდენტი არის საქართველოს შემთხვევაში კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და შეიძლება ფულადი გზავნილის გამავრცელებელი პირიც კი იყენებდეს ასეთ სისტემას, თუ რა თქმა უნდა, ის დააკმაყოფილებს მანიგრამის და მსგავსი კომპანიების მოთხოვნებს. მაგრამ როგორც წესი, ასეთ დონეზე ისინი არ მოდიან.

გიორგი ალხაზიშვილი: ერთი შეკითხვა მაქვს. ეგ მთლად ისე არა, მაგრამ წარმოვიდგინოთ ასეთი რაღაცა ეხლა. ეხლანდელი მოდელით მაგთის რაც აქვს. ასე რომ საქართველოს ბანკში შეგიძლია შეიტანო ანგარიშზე თანხა, ეგ თანხა შეგიძლია გადაიტანო მაგთის ანგარიშზე; მე რე პრინციპში მაგთის ანგარიშზე შეგიძლია გადაიტანო მეორე მაგთის ანგარიშზე, და იქიდან შეგიძლია სახალხოში გაიტანო და აილო ის თანხა. ეს ხომ გზავნილი გამოდის, იდეაში, ძალიან უშესად რომ ვთქვათ.

შოთა ღვინიაძე: ყველგან შეიძლება ფულის შეტანა მაგთის ოფისშიც და სახალხო ბანკშიც და გამოტანაც. გზავნილობას კავშირი არ აქვს ერთმანეთთან

ნიკოლოზ ლოლაძე: მაგალითისთვის შემიძლია გითხრათ, რომ აი ორგანიზაციები რომლებიც პრინციპში ეს თქვენც მოგეხსენებათ ძალიან კარგად, აი ეს ნაღდი ფულის კიოსკები, რომლებიც მუშაობენ და ეს სისტემა ვითარდება ძალიან სწრაფად დღეს, მე რამდენადაც ვიცი ყველა იხდის დღგ-ს თავის მომსახურებაზე. აი ის კიოსკები რომ არის ფულის აპარატები.

ბიძინა ფხოველიშვილი: „ნოვა ტექნოლოჯი“ ანუ სწრაფი გადახდების ფირმა. ჩვენ ამჟამად დღგ-ს ვიხდით, იმიტომ, რომ ფინანსურ მომსახურებაში არ გადის ჩვენი მომსახურება. თუმცა ჯერ არ შევუმოწმებთ და ზუსტად არ ვიცით.

ეხლა კიდევ ერთს დავამატებ, რომ ფულს აქვს 4 ფუნქცია ეკონომიკაში, როგორც ვიცით, რომელიც არის გაცვლის საშუალება ერთი და მეორე ღირებულების შექმნის საშუალება და შენახვის საშუალება.

ჩვეულებრივ დღგ-თი იბეგრება საქონლის მიწოდება, და ფინანსურ ოპერაციებში იმიტომ არის გათავისუფლებული კიდევ ერთი ფილოსოფიური ელემენტი ეგაა, რომ იქ ღირებულების შექმნა ხდება ხომ. იქ ფული არ გამოდის, ისე როგორც გაცვლის საშუალება, ისე როგორც გაცვლის საშუალება გამოდის, როცა კალამს ვყიდულობთ. ამ შემთხვევაში იქ ფულის გამოყენება ხდება მხოლოდ მიწოდება და ფულის

მიწოდება რადგან საგადასახადო კოდექსით არ იბეგრება, როგორც ასეთი აქედან გამომდინარე, ფულში იგულისხმება ელექტრონული ფულიც, ხოდა ესაა მთავარი მომენტი ჩემი აზრით.

ნიკოლოზ ლოლაძე: გასაგებია, მე კითხვა მაქვს თქვენთან. ის რომ თქვენი მომსახურება არ ითვლება დღეს ფინანსურ მომსახურებად და თქვენ იხდით დღგ-ს, რამდენად არის ეს დაკავშირებული იმასთან, რომ თქვენ ფაქტიურად თქვენი ბიზნეს მოდელიდან გამომდინარე, არ გაქვთ კლიენტის იდენტიფიკაციის საშუალება?

ბიძინა ფხოველიშვილი: ანუ რას გულისხმობთ ზუსტად?

ნიკოლოზ ლოლაძე: ანუ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი და განმასხვავებელი ნიშანი იმ სისტემისგან, რომელზედაც დღეს ჩვენ ვსაუბრობთ

ბიძინა ფხოველიშვილი: ვახდენთ ჩვენ, იმდენად რამდენადაც ჩვენი პროვაიდერი აი მაგთიკომს მოითხოვს, ვთქვათ სითი პარკი ან რომელიმე ჩვენი, პროვაიდერი, ანუ შეიძლება ის იყო პირადი ნომერი, დაბადების თარიღი - მხოლოდ პროვაიდერის მოთხოვნის შესაბამისად.

ნიკოლოზ ლოლაძე: ხო, მაგრამ პარტულის ჯარიმის შემთხვევაში ხდება მისი იდენტიფიცირება, ვისი ჯარიმაც გადახდილია, მაგრამ ვინ გადაიხადა ეს ხდება

გელა ბუთბაია: თხუტმეტი 100 ლარიანი კუპიურით გადავრიცხე 1500 ლარი. გაგიჩნდებათ გონივრული ეჭვი, რომ მე რაღაცა ტერორისტებთან ვარ შეკრული?

ბიძინა ფხოველიშვილი: არა, არა

თამარ გოდერძიშვილი: ესენი არ არიან მონიტორინგის განმახორციელებელი პირები. შესაბამისად მათ არ აქვთ ვალდებულება, რომ მოახდინონ პირის იდენტიფიკაცია და გაანალიზონ საეჭვო შეიძლება იყოს ეს გარიგება თუ ტერორიზმთან დაკავშირებული. მესმის რა თქმა უნდა, მაგრამ მე მიიხსნება აი ეს კავშირი გავავალო. რამდენად კავშირში არის ფინანსური მომსახურება და პირის იდენტიფიკაცია, კლიენტის იდენტიფიკაციის არსებობ

თამარ გოდერძიშვილი: ეს გამომდინარეობს პირდაპირ ანუ უკანონო შემოსავლების შესახებ კანონიდან გამომდინარე. ანუ იქ ზუსტად არის ჩამონათვალი იმ ფინანსური ინსტიტუტებისა, რომლებიც ვალდებული არიან იყვნენ მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, ვალდებულები არიან, მოახდინონ პირის იდენტიფიკაცია.



ბიძინა ფხოველიშვილი, Nova Technologies

ნიკოლოზ ლოლაძე: მაშინ ასე სხვანაირად რომ დავსვა კითხვა, თუ არის შესაძლებელი ფინანსური მომსახურების გამწევი კომპანიის არსებობა, რომელსაც არ ექნება კლიენტის იდენტიფიკაციის ვალდებულება?

თამარ გოდერძიშვილი: როგორ არა, არის თეორიულად შესაძლებელი. ფოსტა შეიძლება იყოს.

არჩილ ბაკურაძე: ნიკა ცდილობს გაუსვას ლოგიკურ კავშირს ხაზი. ასე ვთქვათ ფინანსური მომსახურება გათავისუფლებულია იმიტომ, რომ ის განსხვავებულია და რა აერთიანებს ამას ყველაფერს. ეს არის ის, რომ შენ თუ ხარ ფინანსური მომსახურების სფეროში, ფინანსური შუამავალი, იქნება ეს ბანკი, საკრედიტო დაწესებულება, თუ ფულადი გზავნილის განმახორციელებელი პირი, ნებისმიერი. ფინანსურ ინდუსტრიაში თუ ხარ, შენ გაქვს საერთაშორისო და ფინანსური ვალდებულებები. ქალბატონი თეა ზარნაძე არის ჩვენი კოლეგა, ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან, ექსპერტია და მასაც უნდა მივცეთ სიტყვა. სწორედ ეს ნიშნავს იმას, რომ შენ გაქვს ვალდებულება, განახორციელო მონიტორინგი და თითოეული ტრანზაქციის იდენტიფიკაცია და ანგარიშგება მოახდინო, თუ შენ არა ხარ ფინანსური ინდუსტრიის მონაწილე. შესაბამისად კანონი არც კი გავალდებულებს შენ ეს გააკეთო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ ნამდვილად ვართ ფინანსური მომსახურები გამწევი. ეს სხვა არაფერია თუ არა ფინანსური მომსახურება, საბაზისო ფინანსური მომსახურება. და იმიტომ, შესაბამისად, მზად ვართ, რომ შევასრულოთ ყველა ის ვალდებულება და უფრო მეტიც, წინ წავიდეთ და საერთაშორისო ვალდებულებებიც კი შევასრულოთ, რომელიც დაკავშირებულია პირის იდენტიფიკაციასთან და საექვო გარიგებების თუ სხვა გარიგებების მონიტორინგსა და ანგარიშგებასთან. და ტექნოლოგია ამის საშუალებას იძლევა. ასე, რომ კავშირი უნდა არსებობდეს საკმაოდ ნათლად და მაინც და მაინც კანონმდებლობაში ეს კავშირი არ ჩანს.



ნიკოლოზ ლოლაძე: კიდევ თუ გაქვთ კითხვები ან შენიშვნები მიმდინარე თემასთან დაკავშირებით? არჩილ შენ გკითხავ, რა საგადასახადო რისკები არსებობს აი ასეთი ტიპის პლატფორმის ოპერირების შემთხვევაში?

არჩილ ბაკურაძე: ჩვენ საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვაქვს ფინანსთა სამინისტროსთან. უბრალოდ, რაღაც პრობლემებმა განაპირობა, რომ დღეს ვერ მოვიდნენ და სურვილი ჰქონდათ

და პრინციპში მზად არიან, რომ მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში. როგორც გითხარით, რაც არ უნდა კარგად წარმართოს პროცესი ეროვნულმა ბანკმა, არავინ არ ახსენებს ტელეკომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რაც იმის ნიშანია, რომ მართლაც კარგი რეგულირებაა. ის პრობლემას არ ქმნის რეალურად, და რაც არ უნდა კარგად მოიქცეს ეროვნული ბანკი, ყველაფერს ნათელი მოჰფინოს, ჩვენ კვლავ გვექნება პრობლემა საგადასახადოსთან და შეგვიძლია წავიდეთ რისკზე. მაგრამ გვირჩევენია, რომ ეს იყოს ნათელი და აქ არის ორი თემა. ერთი არის დღგ, ანუ დაიბეგრება თუ არა ეს საქმიანობა - მთლიანად თანხა თუ მისი ვთქვათ საკომისიო მომსახურების ნაწილში დღგ-ით.

და მეორე საკითხია კიდევ. თანხებს, რომლებსაც ეს სისტემა მოიზიდავს და განათავსებს ბანკის ანგარიშზე, ანუ რაღაც დროის შუალედში, და მე მაქვს იმედი, რომ დიდი ხნით და დიდი მოცულობით იქნება, ადამიანები თავის ნაღდ ფულს განათავსებენ საბანკო ანგარიშზე, რის სანაცვლოდაც მათ ექნებათ ეს ელექტრონული ღირებულება, რომლითაც ისინი მოახდენენ ანგარიშსწორებას, გადაგზავნას და ა.შ.

ეს ფული, რომელიც ბანკში იქნება მოცემული დროის მონაკვეთში. ჩვენი პოლიტიკა არის, რომ ხელი არ მივაკაროთ, ის იყოს სპეციალურ ანგარიშზე და ყოველთვის იყოს მონიტორინგი, რომ ის შეესაბამება სისტემაში გაშვებულ ელექტრონულ ფულს, სადაც შესაძლოა და ეს პირდაპირ ასე გვითხრეს, რა ხასიათზე შეხედავენ ამას და ძალიან მეგობრულად და სწორად გვირჩიეს. შესაძლოა მოეჩვენოთ, რომ ეს არის კლიენტისგან მიღებული ურპოცენტო სესხი. იმიტომ, რომ თუ ჩვენ თამასუქის ან სესხის ხელშეკრულება არ გავუკეთეთ, და შესაბამისად ოპერატორ კომპანიას ჩაეთვლება ეს მიღებულ სარგებლად, და თუ ის არ

აიყვანს ერთობლივ შემოსავალში შესაბამისად არ დაბეგრავს მოგებით- მასზე იქნება სანქციები. ამიტომ ეს საკითხიც მნიშვნელოვანია და ყველაფერს შეიძლება მოერგო და ჩვენ რა თქმა უნდა ვერგებით. მაგრამ უკეთესი იქნებოდა ამ დარგისთვის და მისი ეკონომიკურ-სოციალური შედეგებისთვის, რომ შეიძლება ეს ორი საკითხი, რომელიც ჩვენ ვიცით და მრავალი რომელიც ჩვენ არ ვიცით, იყოს გარკვეული. ჩვენ სემინარის შედეგად აი ამ რეკომენდაციებით, თუ თქვენ თანახმა იქნებით, ამ საკითხზე დავიწყებთ ფორმალურ მოლაპარაკებას ფინანსთა სამინისტროსთან და ისინი მზად არიან ეს მათ გვითხრეს კიდევაც. რა გზით აჯობებს ამ მოლაპარაკების წარმოება და სხვათაშორის ახალი კოდექსი ამის უფრო ცივილიზებულად და სწორად გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

შოთა ღვინიაძე: ისე, ვინც ამ მობილური საბანკო საქმიანობის ბიზნესში შესვლას აპირებს, გთხოვთ გაითვალისწინოთ: ორ ადამიანს ეს დაპატენტებული აქვს და ჩვენ უკვე გვიჩვილეს. რა დააპატენტა და როგორ, ეს არ ვიცი, მაგრამ ერთი სასამართლოში აქვს შეტანილი ჩვენს წინააღმდეგ, ლიბერთი ბანკის წინააღმდეგ და ჩვენი თანამშრომლის წინააღმდეგ. ვინც ეს ყველაფერი გააკეთა ამხელა საბუთებით იმეილების რაღაცეებით და მეორე ვინც გვეუბნება, რომ გვიჩვილებო. იდეა აქვთ დაპატენტებული. იგივე ხომ, იდეა ალბათ დაპატენტებული აქვთ და იდეის დაპატენტება არ შეიძლება. ვიღაცამ რომ ეთქვა, 100 წლის მერე თვითმფრინავს პლასტმასის ფრთები ექნებაო, არა მგონია, რომ უნდა დაეპატენტებინათ, და ბოინგმა ეხლა ფული უნდა გადაუხადოს იმიტომ, რომ 787-ში რაღაცა იყო. ყოველ შემთხვევაში არსებობს ასეთი რეალური პროცესი.



ნიკოლოზ ლოლაძე: საინტერესო რისკია და მე ამ თემაზე ბატონ ლევანს ვთხოვ კომენტარის გაკეთებას, რომელიც არის საპატენტო სამართლის ექსპერტი

ლევან ნანობაშვილი: ჩვენ გვაქვს ინფორმაცია ერთი პატენტის შესახებ. თანამფლობელი არის თეიმურაზ ჭკადუა. პატენტზე განაცხადი მან შეიტანა 2003 წელს, და 7 წლის განმავლობაში საქ.

პატენტი არკვევდა პატენტი უნდა გაცემულიყო თუ არა და 7 წელი ეს ადამიანი აკორექტირებდა თავის განაცხადს. ბოლოს პატენტი გაიცა 2010 წელს. პატენტი არის საკმაოდ ზოგადი ხასიათის; იგი მოიცავს მობილური ტექნოლოგიების გამოყენებით ფინანსური ოპერაციების განხორციელებას. იქ არის ყველანაირი მოდელი; ერთი მოდელი არის, როდესაც ფინანსურ ოპერაციას ახორციელებს უშუალოდ მობილური ოპერატორი. ეს ერთი, მაგრამ მეორე მოდელი არის, როდესაც ხდება შერწყმა ბანკების და მობილური ოპერატორების და ისინი ერთობლივად ახორციელებენ აი ამ ფინანსურ ოპერაციებს. ფაქტიურად ეს ყველაფერი არის მის პატენტში გათვალისწინებული, მაგრამ ეს პატენტი 2003 წელს იყო განაცხადი შეტანილი, და კანონით წელიწადნახევარში, 2 წელიწადში უნდა მომხდარიყო პატენტის გაცემა, მაგრამ 2003 წელს შეტანილ განაცხადზე 2010 წელს გაიცა პატენტი. რაც შეეხება მეორე პატენტს, ამის შესახებ ჩვენ ინფორმაცია არა გვაქვს. თუმცა ჩვენ ხვალ ვაპირებთ საქ. პატენტთან შეხვედრას და უფრო დეტალურ ინფორმაციას მათგან მოვიპოვებთ.

ნიკოლოზ ლოლაძე: მე რამდენადაც ვიცი, ერთ ერთი ასეთი პროცესი წააგო იმ მომჩივნამა

შოთა ღვინიაძე: თუ ვინმესთან წააგო, ჩვენთან არ წაუგია. ჩვენი პროცესი ჯერ არ დაწყებულა

ნიკოლოზ ლოლაძე: არის აქ ის ვისთანაც წააგო

არჩილ ბაკურაძე: შოთა, საინტერესო იქნება ინდუსტრიის სოლიდარობის კუთხით, რომ მართლა ვითანამშროლოთ. იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ასეთი ადამიანი მე სახელი და გვარიც არ

ვიცი და მგონი მეორემ პრობლემები შეუქმნა სხვა კომპანიებს და კარგი იქნება თუ მართლა ვითანამშრომლებთ. ეს იდეები დიდი ხანია არსებობს. მე ველაპარაკე წინა კვირას 20 წლის განმავლობაში აკეთებდა ამას „ერიქსონის“ ყოფილი თანამშრომელი შვედი კომპანიის წარმომადგენელი. ეს არ არის ახალი თემა. ეს ჩვენთვის არის ახალი. შესაბამისად, ის ვერ იქნება პატენტის თვისებების მქონე და ამიტომ კარგი იქნება თუ მერე ჩვენ ინფორმაციას გავცვლით ამასთან დაკავშირებით. ასევე, მაქვს იმედი რომ მაგთის იურისტები მოახერხებენ თავის დაცვას.

რეზო ორმოცადე: ეს ასეთი მარტივი საკითხი არ არის. მე მგონია, რომ შეიძლება დღეს არის და კანონმდებლობა ამას არ გვიკრძალავს. თავისუფალი სახსრები არის, როგორ არ უნდა გამოვიყენოთ. დღეს არის თქვენი პოლიტიკა, ხვალ შეიძლება შეიცვალოს ან თქვენ სადაც გექნებათ ის, იმან გამოიყენოს. ორი წლის წინ საინვესტიციო ბანკებს პრობლემა ჰქონდათ ერთ დღიანით ფინანსდებოდნენ და ხანგრძლივი ვადით აქტივები ჰქონდათ ეგ იყო ერთ-ერთი მთავარი პრობლემა. მე გირჩევთ, რომ ეს თანხები გამოიყენოთ და დააბანდოთ;

ნიკოლოზ ლოლაძე: გასაგებია, ნუ გამოვიყენოთ. ვიფიქროთ ამ მიმართულებით. არა, თუ გამოვიყენებთ ძალიან გახსნილად და ხმაძალა გამოვიყენებთ

არჩილ ბაკურაძე: მაგრამ თუ მოცულობა გაიზარდა, ეროვნულ ბანკს ექნება ლეგიტიმური ინტერესი თქვას, რომ ეს არის რისკის სფერო და უნდა გახდეს პოტენციური რეგულირების. ჯერ-ჯერობით მე ვიცი, რომ ეროვნული ბანკი ამას უყურებს ძალიან რაციონალურად. არ არის ისე, რომ სერიოზული პრობლემა შექმნა მაგრამ თუ შეექმნა იარსებებს წესები. ეს ლეგიტიმური პოზიციაა ეროვნული ბანკის და სწორედ ეს პოზიციის ქმნის არაპროგნოზირებადობას და რისკებს, რომელიც ინვესტორს და ამიტომ ჯობია განისაზღვროს დაიწეროს და შესაბამისად. მერე ეხლა 2-3 წელიწადში როგორ განვითარდება ეს სექტორი მერე შეიძლება კანონმდებლობა შეიცვალოს კიდევ ერთხელ თუ ამის აუცილებლობა იქნება.

ნიკოლოზ ლოლაძე: დიდი მადლობა. ჩვენი დოკუმენტების პაკეტის ბოლო გვერდზე არის ჩვენი დღევანდელი შეხვედრის შეფასების ფორმა რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

ნიკოლოზ ლოლაძე: დიდი მადლობა მინდა გითხრათ. სანამ დავიშლებოდეთ, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას თქვენი დროისთვის, მოზრძანებისთვის. განსაკუთრებით დიდი მადლობა ბატონ ნუგზარს, ბატონ გელას, ყველა ესპერტს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩვენს შეხვედრაში. მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ეს შეხვედრა საინტერესო იყო თქვენთვის და მინდა გითხრათ, რომ აუცილებლად გავაგრძელებთ ამ თემაზე და ამ ფორმატში და სხვა ფორმატში საუბარს. და აუცილებლად, ძალიან დიდი სურვილი გვაქვს თქვენთან ყველასთან თანამშრომლობის ამ საკითხებზე მუშაობის დროს.



მონაწილეები ავსებენ შეფასების ფურცელს